საპარლამენტო
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საფოსტო ბანკი
GEORGIAN POST BANK

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №155-156 (3197) კვირა-ორშაბათი, 13-14 ივნისი, 1999 წელი. ფასი შეთანხმებით.

## პრეზიდენტი

# ასეთი შეხვედრები ხელს უწყობს დაახლოებასა და ურთიერთობის განმტკიცებას ქართველ და რუს ხალხებს შორის



ახალ სახელმწიფოთა შორის ახალი ტიპის ურთიერთობის გამოხატულებად შეაფასა საქართველოს პრეზიდენტმა ეგრეთ წოდებული „წინანდლის შეხვედრები" მასში მონაწილე რუსეთის საზოგადოებრიობისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, რომელიც 12 ივნისს გაიმართა.

როგორც ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, ასეთი კონტაქტები ხელს უწყობს დაახლოებასა და ურთიერთობის განმტკიცებას უდიდესი კულტურული და მეგობრული ტრადიციების მქონე ქართველ და რუს ხალხებს შორის.

სტუმრებმა გაიზიარებს საქართველოს პრეზიდენტის მოსაზრება. მათ განსაკუთრებით აღნიშნეს, რომ მოვლენათა სწორი და ობიექტური შეფასებისათვის საჭიროა ინფორმაციის უფრო აქტიური გაცვლა. მათ ედუარდ შევარდნაძეს დაუდასტურეს, რომ ერთმნიშვნელოვნად უჭერენ მხარს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების კურსს.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

## ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა

12 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიული ხედვის" შესახებ საერთაშორისო კონფერენციის მომზადების თაობაზე.

განიხილეს საკითხები სამხედრო ტექნიკის შესყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული პრობლემატიკის, საქართველოს სამხედრო ძალებში სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის შემდგომი სრულყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა თაობაზე, აგრეთვე კანონპროექტი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ.

გაიმართა მსჯელობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილი ფინანსური მდგომარეობის თაობაზე.

სხდომაზე, რომელიც დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, განიხილეს სხვა საკითხებიც.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

## ფიქრები

# საწრონები ჰინაზე

ედუარდ შევარდნაძე ნამდვილი მონოლითია, ეს უნდა აღიაროს ნებისმიერმა მისმა მოწინააღმდეგემო, – მითხრა ამას წინათ ერთმა დაჯერებულმა ოპოზიციონერმა.

იუმორიანი სინანულით ისიც დაუმატა, მონოლითი და სხვებზე წელშევით მაღალი რომ არის, მასთან ბრძოლა იმიტომაც ძნელიაო.

ამის მთქმელი კაცი პოლიტიკოსია ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით, რაკი თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგის ობიექტური შეფასების უნარი აქვს (ამდენად, – საკუთარი სტრატეგიის რეალისტურად შემუშავებისაც).

სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ვერ დაიკვეხნის ასეთი ანალიტიკური ჭვრეტით, რადგან მთელს მათს პოლიტიკურ ვაინაჩრობას ამბიციები უდევს საფუძვლად და არა რეალობის მიუკერძოებელი აღქმა.

11 ივნისს გამართულ მოქალაქეთა კავშირის თბილისის ორგანიზაციის კონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ კენჭს იყრის მომავალ არჩევნებში.

ედუარდ შევარდნაძის ეს განცხადება მოულოდნელი არ ყოფილა, საზოგადოებრიობა ელოდა მას (ვინ – როგორც აუცილებლობას, ზოგი – როგორც დარტყმას). წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან.

იხ. მე-2 გვ.

## ეროვნული თანხმობისაკენ

# ჭეშმარიტად ჰუმანური აქტი

„საქართველოს რესპუბლიკამ" გუშინ შემოგთავაზათ ალეკო ასლანიშვილის რეპორტაჟი ტყეში გაჭრილი აკაკი ელიავასა და მისი 9 თანამზრახველის მიერ იარაღის დაყრისა და ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ შემორიგების პირობების მიღების შესახებ, აგრეთვე, საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების მიერ სენაკის სამხედრო ამბოხის მონაწილეთა ქუთაისის მეორე საგამოძიებო იზოლატორიდან გათავისუფლების შესახებ.

შედგა დიდი ჰუმანური აქტი, რომლის განხორციელებას განვითარების თავისი ლოგიკა ჰქონდა, თავისი საფუძველი.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ ერთი თვის წინათ სამეგრელო-ზემო სვანეთის პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა ბონდო ჯიქიამ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს 1998 წლის 19 ოქტომბრის სამხედრო ამბოხის მონაწილეთათვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის თაობაზე.

დღეს საშუალება მოგვეცა გაგაცნოთ ბონდო ჯიქიას წერილი პრეზიდენტს:

„ბატონო პრეზიდენტო,

გასული წელი მძიმე წელი იყო სამეგრელოსათვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების თვალსაზრისით, სწორედ შარშან მოხდა ისეთი დანაშაულობები, როგორიცაა: 19 თებერვალს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო დამკვირვებელთა მძევლად აყვანა ქ. ზუგდიდში, რომელიც 9 თებერვალს პრეზიდენტზე განხორციელებული ტერორისტული აქტის გაგრძელება იყო; გ. ესებუას დასაფლავების დღეს ტერორისტული აქტი და რამდენიმე აფეთქება ადამიანთა მსხვერპლით; სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით 19 ოქტომბერს ქ. სენაკში მოწყობილი სამხედრო ამბოხება.

მართალია, სამეგრელოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა არ აჰყვა საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართულ ავანტიურისტულ ქმედებებს, მაგრამ, სამწუხაროდ, მასში ჩათრეული მაინც აღმოჩნდა რეგიონის მოსახლეობის მცირე ნაწილი.

სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ამ საშიში დანაშაულის მონაწილეები, რა თქმა უნდა, იმსახურებენ მკაცრ სასჯელებს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მათ ქმედებას საბოლოოდ მძიმე შედეგები არ მოჰყოლია, ამასთან, ბევრი მათგანი მოტყუებითა და ნდობის ბოროტად გამოყენებით აღმოჩნდა ჩათრეული დანაშაულში, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათ მიმართ შეღავათების გავრცელება, ანუ ისეთი ღონისძიების განხორციელება, რომელიც არ იქნება დაკავშირებული ამბოხების მონაწილეთა შემდგომ თავისუფლების აღკვეთასთან.

ვფიქრობთ, რომ ასეთი შეღავათების გავრცელება მათ მიმართ, კიდევ ერთი დასტური იქნება ხელისუფლების მიერ გამოვლენილი ჰუმანურობისა და მიმტევებლობის, რაც ხელს შეუწყობს ეროვნულ თანხმობას და საზოგადოების კონსოლიდაციას.

პატივისცემით

ბონდო ჯიქია,
პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული სამეგრელო-ზემო-სვანეთის მხარეში".

ასეთივე შუამდგომლობით მიმართა პრეზიდენტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ, რომელშიც კერძოდ ნათქვამია:

„ბატონო პრეზიდენტო!

თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა როცა ამ ნაბიჯს ვდგამთ და თხოვნით მოგმართავთ, დარწმუნებული ვართ, რომ ამბოხში ნებსით თუ უნებლიედ მონაწილე ნებისმიერი სამხედრო მოსამსახურე სიცოცხლესაც არ დაიშურებს ერისა და ქვეყნის ინტერესების დასაცავად. დარწმუნებული ვართ, რომ ეს ჰუმანური ნაბიჯი ხალხის მიერ აღქმული იქნება, როგორც ხელისუფლების კეთილი ნება და არა მისი სისუსტის გამოვლინება".

ხელისუფლებამ მართლაც გამოხატა თავისი კეთილი ნება და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იგი რეალურად ახორციელებს ეროვნული თანხმობის მის მიერ დეკლარირებულ პოლიტიკას.

## პრეზიდენტის ფოსტიდან

# გვილოცავენ

საქართველოს პრეზიდენტის ფოსტაში კვლავ მრავლად არის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოსული წერილები, რომლებშიც სახელმწიფოთა მეთაურები და ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გვილოცავენ. მათ შორის არიან ფინეთის რესპუბილკის პრეზიდენტი მარტი აჰთისაარი, ტაჯიკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ემომალი რახმანოვი, ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი, სან მარინოს რესპუბლიკის რეგენტი ანტონელი ბაჭიოჩი, ბახრეინის სახელმწიფოს ემირი ხამად ბინ ესსა ელხალიფა, იორდანიის ჰაშემიტური სამეფოს მეფე აბდულა ბინ ალ-ჰუსეინი და სხვები.

* * *

საქართველოსა და მთელ მსოფიოში მცხოვრები ოთხ მილიონზე მეტი ასირიელის სახელით საქართველოსა და მის პრეზიდენტს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს ასირიელთა მსოფლიო კავშირის გენერალური მდივანი სენატორი ჯონ ნიმროდი. „საქართველოს ასირიელები თქვენი ქვეყნის აქტიური და ამაყი მოქალაქეები არიან. საქართველოს ასირიელთა საერთაშორისო კონგრესი ასოცირებულია ასირიელთა მსოფლიო კავშირთან. ჩვენ თქვენთან ერთად ვზეიმობთ ამ დღესასწაულს და გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს", ნათქვამია სენატორ ჯონ ნიმროდის წერილში.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

## ორბიტაზე

# ახალი იმპულსი– სამხედრო თანამშრომლობა

საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს მოწვევით პარიზში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე.

10 ივნისს, პირველად ფრანგულ-ქართული ურთიერთობების ისტორიაში, ერთმანეთს შეხვდნენ ორი ქვეყნის სამხედრო უწყებების მეთაურები. საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა ალან რიშარმა მიიღო ქართველი კოლეგა საფრანგეთის სამხედრო უწყების შტაბ-ბინაში.

იხ. მე-2 გვ.

## სახელდახელოდ

# რუსეთმა კოსოვოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესში მონაწილეობა სამხედროების კონფლიქტით დაიწყო

შუბმა ხალთიდან მაინც გამოყო თავი, ვერ დამალეს, პირიქით, იარაღის ძალის დემონსტრირება მოახდინეს, ანუ გააკეთეს ის, რასაც სამოცდაათი წლის განმავლობაში აკეთებდა მსოფლიო ჟანდარმად წოდებული ქვეყანა.

რუსეთზე მოგახსენებთ, გნებავთ, მოკრძალებულად ვიტყვი, გარკვეულ ძალებზე რუსეთში, რომელთაც ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეი კოზირევმა „ომის პარტია" უწოდა. რა შუბი და რა ხალთა! ტანკებზეა საუბარი ჯავშანტრანსპორტიორებზე და უახლეს იარაღში ჩამჯდარ მეღესანტეებზე, რომელთა მოქმედება, თუნდაც მშვიდობისმყოფელთა დროშით, ძალიან ჰგავს საოკუპაციო ოპერაციას, ანუ სხვისი ტერიტორიის მიტაცებას საკუთარი სტრატეგიული ამბიციების დასაკმაყოფილებლად.

რაზეა საუბარი, დღეს ყველამ იცის.

იხ. მე-2 გვ.



**წუხელ** გაიმართა აშშ ვიცე-პრეზიდენტის ალბერტ გორისა და რუსეთის პრემიერ-მინისტრის სერგეი სტეპაშინის ერთსაათიანი სატელეფონო საუბარი. როგორც ამბობენ, – კონსტრუქციული. საუბრის დეტალებს არ ახმაურებენ.

**გუშინ** ლე ბურჟეს (საფრანგეთი) ავიასალონში რუსეთის ავიაგამანადგურებელს СУ-30 МК სადემონსტრაციო ფრენების დროს ცეცხლი გაუჩნდა. პილოტებმა მოასწრეს კატაპულტირება. თვითმფრინავი აფეთქდა. ხომალდის მეთაურის თქმით, კატასტროფის მიზეზი ზედმეტი მარყუჟის გაკეთებაა.

**გუშინ** მოსკოვში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ, – ამ კვირა დღეს რომ გაიმართოს საპრეზიდენტო არჩევნები ვის მისცემთ ხმას, – უჩვენა, რომ ელექტორატის 18 პროცენტი გენადი ზიუგანოვს და ევგენი პრიმაკოვს ენდობა, 12 პროცენტი იური ლუჟკოვს, 9 პროცენტი გრიგორი იავლინსკის და 6 პროცენტი ალექსანდრე ლებედს.

**გუშინ** მოსკოვში, კრემლის გიორგის დარბაზში საზეიმოდ აღნიშნეს 9 წლის წინათ დაწესებული რუსეთის დღე. დარბაზობის მონაწილეებს პრეზიდენტმა ბორის ელცინმა მიმართა.

## უკანასკნელ საათს

## ინფორმაცია

### ჩვენი წარმომადგენელი ბრიუსელში

თბილისი ნატოსთან საქართველოს მისიაში თავის სამხედრო წარმომადგენელს – პოლკოვნიკ დავით ნაირაშვილს ბრიუსელში 15 ივნისს წარადგენს, – აცნობა პრაიმ-ნიუსს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბთან არსებული ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის შტაბის უფროსმა მაიორმა ირაკლი ბატკუაშვილმა.

### ნატოს ჩართვა აფხაზეთის კონფლიქტში რეალობაა

საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ნატოს ჩართვა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში რეალური პერსპექტივაა, მაგრამ ამ პროცესის დაწყებას გარკვეული დროის და ეტაპების გავლა სჭირდება, მიაჩნია საქართველოს ელჩს ბენილუქსის ქვეყნებში, საქართველოს წარმომადგენელს ნატოში ზურაბ აბაშიძეს.

„ნატოს წევრმა ქვეყნებმა არაერთხელ დაადასტურეს, რომ კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტებს შორის მკაფიო პარალელები არსებობს და ორივე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ეთნიკურ წმენდას", – უთხრა პრაიმ-ნიუსს აბაშიძემ.

მისი აზრით, საქართველოს არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ კოსოვოს კონფლიქტის მოგვარებისთანავე ნატო აფხაზეთისკენ გადმოინაცვლებს, მაგრამ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი ამ პრობლემის მოგვარებაში ეტაპობრივად აუცილებლად ჩაერთვება.

ელჩის თქმით, ნატოს ახალი კონცეფციის მიხედვით, ალიანსმა ევროატლანტიკურ სივრცეში, რომელშიც საქართველოც შედის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებაზე აიღო პასუხისმგებლობა.

### საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა გამართლებულია

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის (სედპ) ლიდერი ირაკლი წერეთელი მიესალმება პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ინიციატივას, კოსოვოს კონფლიქტის მოწესრიგების შემდეგ აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო კონფერენციის გამართვის თაობაზე.

სედპ-ს მიაჩნია, რომ პარლამენტმა და პრეზიდენტმა პირდაპირ უნდა მიმართონ ნატოს, რათა აფხაზეთის კონფლიქტი ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის სამხედრო ძალისხმევით გადაწყდეს, – უთხრა პრაიმ-ნიუსს წერეთელმა. მისი აზრით, აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად აღარ არის საჭირო ეუთოს და გაეროს ჩარევა, რადგან ამ საკითხში ნატოს მონაწილეობაც საკმარისია.

### ელიავა დადებითად აფასებს

აკაკი ელიავამ უარყო 11 ივნისს მასმედიით გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იგი საკუთარ სახლში დაბრუნდა.

როგორც აცნობა პრაიმ-ნიუსს ელიავამ, იგი სახლში მხოლოდ იმ შემთხვევაში დაბრუნდება თუ პარლამენტისგან შესაბამის პოლიტიკურ გარანტიებს მიიღებს.

ელიავამ დადებითად შეაფასა ხელისუფლების მხრიდან 39 დაკავებულის გათავისუფლების ფაქტი და მას „კეთილგონიერი ნაბიჯი" უწოდა.

მისივე თქმით, ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებმა კეთილი ნება გამოავლინეს და დანაპირები შეასრულეს, ახლა კი თავისი სიტყვა პარლამენტმა უნდა თქვას.

### ახალწვეულებმა ფიცი დადეს

გუშინ ქუთაისის 21-ე მოტომსროლელ ბრიგადაში სამხედრო ფიცის დადების საზეიმო ცერემონია გაიმართა, რომელიც აკურთხა ქუთაისის ღვთისმშობლის ხარების ტაძრის მოძღვარმა მამა პავლემ. 355 ახალწვეულმა, მშობლების და სამხედრო მეთაურების თანდასწრებით ფიცი დადო ერთგულად ემსახუროს საქართველოს და მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეს. შეხვედრას ესწრებოდნენ მხარისა და ქალაქის ხელმძღვანელები, სამხედრო მეთაურები.

### ოპერაციები – გენური თერაპიის გამოყენებით

გულის იშემიურ დაავადებებთან დაკავშირებით (სტენოკარდია, ინფარქტი, მიოკარდი და სხვ) საქართველოში შემოდგომაზე ასამდე უფასო ოპერაციას ჩაატარებს გენური თერაპიის გამოყენებით ბოსტონის „წმინდა ელიზაბეტის" სამედიცინო ცენტრის კარდიოქირურგი, წარმოშობით ქართველი თენგიზ ტყებუჩავა.

პაციენტების სპეციალური შერჩევის შემდეგ, ოპერაციები ქირურგიის ინსტიტუტში განხორციელდება. კერძოდ, ოპერაცია გაუკეთდებათ იმ ავადმყოფებს, რომელთა მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო.

თეორიულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ გულზე შუნტირების მეთოდისგან განსხვავებით, გენური ოპერაცია არ საჭიროებს განმეორებით ქირურგიულ ჩარევას რამდენიმე წლის შემდეგ.

### ტასისის პროგრამით

რეგიონულმა აგრობიზნესცენტრმა მუშაობა დაიწყო ოზურგეთში. პირველი მსმენელები ადგილობრივი ფერმერები და ბიზნესმენები არიან, რომლებმაც მიიღეს კონსულტაციები მათთვის საინტერესო ყველა საკითხზე ფინანსების, მარკეტინგის, ბიზნესგეგმების შედგენასა და სამეწარმეო საქმიანობის სხვა დარგებში. აგრობიზნესცენტრი ფუნქციონირებს ტასისის შესაბამისი პროგრამის ფარგლებში. ანალოგიური ორგანიზაციები უკვე შეიქმნა საქართველოს ორ სხვა რეგიონშიც.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

## შევეწიოთ!



# სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა

**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:**

| | |
|---|---|
| გიორგი იაშვილი | – 100 ლარი; |
| ლალი მაჭავარიანი-იაშვილი | – 100 ლარი; |
| ვახტანგ ქვილითაია | – 100 ლარი; |
| ბესიკ პეტრიაშვილი | – 50 ლარი; |
| გიორგი პეტრიაშვილი | – 50 ლარი; |
| ნინო დოლბაია | – 10 ლარი; |
| სამსონაძე | – 20 ლარი; |
| ლ. ბერძენიშვილი | – 10 ლარი; |
| გიორგი თეთრაძე | – 20 ლარი; |
| ლელა ქერდიკაშვილი | – 10 ლარი; |
| რეზიკო ვაშაყმაძე | – 2 ლარი; |
| ფიფქია ვაშაყმაძე | – 2 ლარი. |

## სიტუაცია

# კოტე გაბაშვილი კატეგორიულად უარყოფს

„პატივცემულო ბატონო ელჩო. დაუზარებლად გიდასტურებთ, რომ ჩვენი მრავალი ოფიციალური თუ არაოფიციალური შეხვედრების დროს არც ჩემთან და არც ჩემს თანამშრომლებთან არასდროს არ ყოფილა საუბარი აჭარაში რაიმე თბოელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ".

მოგმართავთ იმის გამო, რომ საკითხი ეხება არა მხოლოდ ჩემს პიროვნებას, არამედ, ასევე, ბრალდებას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიმართ, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისგან გახმიანებულა მის ინტერვიუში და რომლის შესახებ მე მევიტყვე „პრაიმ-ნიუსისა" და „ალიას" კორესპონდენტების ბონში დარეკვით. აჭარის მმართველს უთქვამს, რომ გერმანული ფირმები „ტისენი" და „კრუპი" აპირებდნენ აჭარაში თბოელექტროსადგურის აშენებას, რასაც ვითომ ხელი შეუშალა ცენტრალურმა ხელისუფლებამ გერმანიაში საქართველოს ელჩის კოტე გაბაშვილის, ანუ ჩემი მეშვეობით.

ჩემი პირველი სატელეფონო რეაქცია უკვე გამოქვეყნებულა ქართულ პრესაში. ეს რეაქცია მხოლოდ გაკვირვება იყო, ვინაიდან ინფორმაცია სრულიად ყალბია.

ჩემი ეს განცხადება საქართველოსთვის ცაში გამოკიდებული რომ არ იყოს, გადავდგით ნაბიჯები ვითარების დოკუმენტური შესწავლისთვის და დადასტურებისთვის. ერთი დღე დასჭირდა დოკუმენტების მიღებას გერმანული წყაროებიდან.

იხ. მე-2 გვ.

## საბაჟო

# ბიუჯეტში შეიტანეს

11 ივნისის ოპერატიული ინფორმაციით ადგილობრივი საბაჟო ორგანოებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხულია 4 867,0 ათასი ლარი, რაც თვის საბიუჯეტო დავალების 17,4 პროცენტია. 4-11 ივნისის პერიოდში ბიუჯეტში ჩარიცხულია 2 462,9 ათასი ლარი.

საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ გამოვლენილია საბაჟო წესების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 48 და კონტრაბანდისა და დიდი ოდენობით საბაჟო გადასახდელებისაგან თავის არიდების 1 ფაქტი. მოკვლევის პროცესში ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით მოქცეულია 90 000 ლარი, მათ შორის ადმინისტრაციული სახდელების (ჯარიმების) სახით 8 800 ლარი.

## ფინანსები

# ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 12 ივნისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.2192 | ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 1.0769 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.0050 | ლარი |
| ფრანგული ფრანკი | 1 | 0.3211 | ლარი |
| ევრო | 1 | 2.1063 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0823 | ლარი |

## ამინდი დღეს

**დასავლეთ საქართველოში**

დაბლობში: ღამით +16+21; დღისით +26+31.
მთაში: ღამით +13+18; დღისით +24+29.
მაღალ მთაში: ღამით +9+14; დღისით +18+23.

**აღმოსავლეთ საქართველოში**

ბარში: ღამით +14+19; დღისით +25+30.
მთაში: ღამით +10+15; დღისით +23+28.
მაღალ მთაში: ღამით +7+12; დღისით +17+22.

**თბილისში**

ღამით +17+19; დღისით +28+30.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

საქართველოს რესპუბლიკა
№155-156. კვირა-ორშაბათი, 13-14 ივნისი, 1999 წელი.

ფიქრები

# საწონები პინაზე

(პირველი გვერდიდან)

დგება ხალხისთვის — მხარდამჭერთა და მოწინააღმდეგეებისთვის ანგარიშის ჩაბარების ჟამი.

იოლი არ იქნება ეს.

სასწორის პინაზე უნდა დაიდოს ათასი ფუთი „პოც" და „არაც" — ამ ხუთ წელიწადში ხორცშესხმული საქმენი და სხვადასხვა მიზეზით აღუსრულებელი დაპირებანიც.

რა თქმა უნდა, სასწორი შეუმცდარად წარმოაჩენს სიმძიმეთა თანაფარდობას, მაგრამ მთავარია ადამიანთა მეტისმეტად (პირდაპირ — ავადმყოფურად) პოლიტიზებულმა გონებამ დააფიქსიროს ეს მეტნაკლებობა. თუნდაც ის, რაც ჩვენი სიდუხჭირის ფონზეც კარგად ჩანს:

საქართველო ევროსაბჭოში გაწევრიანდა, ევროპის ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გახდა;

ხორცი შეესხა (აღსრულდა!) ბაქო-სუფსის ნავთობსადენის დასავლეთის მიმართულების პროექტს და საქართველო მკვიდრად „ჩაიწერა" მსოფლიოს ეკონომიკურ ინტერესებში;

მწვანე შუქი აინთო „აბრეშუმის გზაზე" — საქართველო დიდი სატრანზიტო დერეფანი ხდება...

ეს სამი ყველაზე დიდი ნიშანსვეტია საქართველოს უახლესი ისტორიისა. სამივე მათგანის ავტორ-აღმსრულებელი საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეა.

სურთ თუ არა, მაინც მოუწევთ ამის აღიარება, რაგინდ თვალებზე ხელებაფარებულებმა გაქირი გაწიონ.

ეს სამი, ყველაფერს რომ გადაწონის ის სიმძიმეებია, თორემ უფრო მსუბუქი, რამდენიც გნებავს, იმდენია.

თუნდაც — შერიგების რეალურად დაწყებული და რეალურად მიმდინარე პროცესი („მსუბუქებში" შემაქვს!).

აი, ახლაც, 11 ივნისს ქუთაისის მე-2 საგამოძიებო იზოლატორიდან გაათავისუფლეს 1998 წლის 19 ოქტომბრის ცნობილ სამხედრო ამბოხებაში მონაწილეობის ბრალდებით დაპატიმრებული 39 კაცი და შემოირიგეს ტყეში გასული აკაკი ელიავა და მისი 9 თანამოაზრე. (პრეზიდენტმა ჩათვალა, რომ აბრაგ ელიავას სახლში უთოფოდ მჯდომი ელიავა სჯობს, რომ ქვეყნის, კუთხის, ოჯახების ინტერესებისათვის სჯობს აპატიო ტყეში გასულ დამნაშავეს, ვიდრე გაწირო).

წარმოჩნდა ჩვენი პოტენციალი კოსმოსურ და საკომუნიკაციო სისტემათა შექმნაში და საქართველოს ინტელექტი ჩაირთო მსოფლიოს „ტვინში". მაგალითად, თბილისის იზოტოპების ინსტიტუტი უშვებს უნიკალურ პროდუქციას და წარმატებით სძლევს კონკურენციას, მათ შორის იაპონელებისას.

საქართველო ქმნის კოსმოსურ და გლობალურ საკომუნიკაციო სისტემებს. ეს, ყველაფერთან ერთად, მაღლა სწევს ჩვენს ეკონომიკურ დონეს — ნებისმიერი „კოსმოსური აქცია" მილიონობით დოლარი ღირს. ჩვენმა მეცნიერებმა გაიმარჯვეს კოსმოსური ანტენის აგების ნებართვის მისაღებად გამართულ კონკურსში და იგი ახლა გამოცდას გადის. მას სათანადო ეკონომიკური ეფექტი ექნება.

ეს ბევრ დიდ სახელმწიფოსაც კი არ ძალუძს...

როცა აწონვის ჟამი დადგება, პინაზე ყველაფერი უნდა დაიდოს. ესენიც და ჯერაც დაუბრუნებელი აფხაზეთიც, რომლის პრობლემის გადაწყვეტის გზა კოსოვოს შემდეგ ასე რეალურად გამოჩნდა, გასაცემი პენსიები, ხელფასები...

და, რაც მთავარია, არა სიძულვილმა, არამედ სიყვარულმა, ან თუნდაც ჭეშმარიტების გამარჯვების სურვილმა, უნდა დააწყოს პინებზე ეს „საწონები".

მეტი არაფერი!...

ალეკო ასლანიშვილი

კანონმდებლები

# თანამშრომლობის სურვილი

11 ივნისს გაიმართა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელზეც პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ოსაძე და პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე ბადრი აბზიანიძე იყვნენ მიწვეულნი.

ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის რამაზ ხუროძის განმარტებით, სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე საპარლამენტო კომისიების თავმჯდომარეების მიწვევა განაპირობა იმ დიდმა ინტერესმა, რომელსაც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, საზოგადოება აღნიშნული კომისიების მუშაობის შედეგების მიმართ იჩენენ.

პარლამენტარებმა სამეცნიერო საბჭოს წევრებს გააცნეს საპარლამენტო კომისიების მუშაობის პრინციპები და ძირითადი ფუნქციები, უპასუხეს შეკითხვებს.

მიხეილ ოსაძის განმარტებით, სისხლის სამართლის საქმის წარმოება სამართალდამცავ ორგანოთა პრეროგატივაა, კომისია მოძიებულ მასალებს მხოლოდ პოლიტიკურ შეფასებას აძლევს.

ბადრი აბზიანიძემ იმ საკითხების შესახებ ისაუბრა, რომელთაც ამჟამად კორუფციასთან ბრძოლის საგამოძიებო კომისია სწავლობს. მისი თქმით, კორუფცია ერთობ რთული, სოციალური ბუნების მოვლენაა და მასთან ბრძოლა მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით არ არის გამართლებული. საჭიროა სისტემური ღონისძიებების გატარება, რომლებიც პირველ ეტაპზე შეზღუდავს და შემდეგ კონტროლის ქვეშ მოაქცევს მას. პრეზიდენტის ინიციატივით, ამ მიზნით მუშავდება კორუფციასთან ბრძოლის ეროვნული პროგრამა.

სამეცნიერო საბჭოს წევრების აზრით, ორივე კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს საზღვარგარეთული კრედიტების, ენერგეტიკულ და საბიუჯეტო სფეროში შექმნილ მდგომარეობას, მეცნიერ-მუშაკებისათვის გათვალისწინებული გრანტების განაწილების საკითხის შესწავლას.

გამოითქვა სურვილი, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალისტებს შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ კომისიებისთვის საჭირო საექსპერტო დასკვნების მომზადებაში.

პარლამენტის პრესსამსახური.

დოკუმენტი

# საქართველოს კანონი

## საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №41, 8.10.1997) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. 26-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) კომისიის თავმჯდომარე;"

ბ) მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ" ქვეპუნქტი:

„ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;" ხოლო „ბ" და „გ" ქვეპუნქტები შესაბამისად ჩაითვალოს „გ" და „დ" ქვეპუნქტებად.

2. მე-40 მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვები „საქართველოს სამხედრო კომისრის" შეიცვალოს სიტყვებით „ცენტრალური გამწვევი კომისიის თავმჯდომარის".

3. 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტში სიტყვები „საქართველოს სამხედრო კომისარი" შეიცვალოს სიტყვებით „ცენტრალური გამწვევი კომისიის თავმჯდომარე".

II. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997) მე-2 მუხლში სიტყვები „საქართველოს სამხედრო კომისარი" შეიცვალოს სიტყვებით „ცენტრალური გამწვევი კომისიის თავმჯდომარე".

III. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1999 წლის 28 მაისი.

### საიდან გაჩნდა ლაქები?

ქობულეთის სანაპიროსთან აღმოჩენილ ნავთობის ლაქებს სუფსის ტერმინალთან არავითარი კავშირი არა აქვთ, განაცხადა 12 ივნისს გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილემ ზურაბ თავართქილაძემ.

ბოლო დროს მასმედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს შავი ზღვისპირეთთან ნავთობის ლაქების აღმოჩენა შესაძლოა სუფსის ტერმინალზე ნავთობის ავარიულ ამოფრქვევასთან იყოს დაკავშირებული.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ სუფსის ტერმინალზე ტანკერის დატვირთვის დროს ნავთობის გაჟონვა შეუძლებელია, რადგან ტანკერთან ორი დამხმარე გემი მორიგეობს, რომელთაგანაც ერთ-ერთი ზღვის სისუფთავეს აკონტროლებს. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში არსებობს მოსაზრება, რომ ქობულეთთან ნავთობის ლაქების აღმოჩენა შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ხანგრძლივი გაზაფხულის წვიმებმა შავ ზღვაში ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ნიაღვარი ჩარეცხეს.

### „საქართველოს ბანკის" ახალი განყოფილება

მეტროს სადგურ „ვარკეთილის" მახლობლად გაიხსნა „საქართველოს ბანკის" სამგორის ფილიალის ახალი განყოფილება. სერვისცენტრი აღჭურვილია თანამედროვე საბანკო ტექნიკითა და უახლესი ტექნოლოგიით.

ხელსაყრელი ადგილმდებარეობა, მაღალი დონის დიზაინი, ახალგაზრდული კოლექტივი, მომსახურების სათანადო კულტურა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ სერვისცენტრის კლიენტებს, რომელთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. შესაბამისად იზრდება საბანკო დაწესებულების შემოსავალი და მოგება.

ბოლო ორი წლის განმავლობაში „საქართველოს ბანკის" ეს მეთხუთმეტე განყოფილებაა საქართველოში, რომლებიც ამ ბანკის 32 ფილიალთან ერთად მთლიანად მოიცავენ ქვეყნის ყველა რეგიონს.

### აქ ამერიკელი არქეოლოგები მუშაობენ

ქალაქი ვანი დიდი და მდიდარი ისტორიული წარსულის გამო მსოფლიოს უძველეს ქალაქთა შორის მოიხსენიება. აქ სისტემატურად ყოველ სამ წელიწადში ერთხელ იმართება მსოფლიოს არქეოლოგთა სიმპოზიუმები.

წლეულს, 19 სექტემბერს ვანში მსოფლიოს არქეოლოგთა მეხუთე სიმპოზიუმი გაიმართება. ამ დღესთან დაკავშირებით, რაიონში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვლენ არქეოლოგები. სტუმართა ერთი ნაწილი რაიონს ნაადრევად ეწვია. 9 ივნისს ვანში ჩამოვიდნენ ამერიკელი არქეოლოგები, რომლებიც აქ არქეოლოგიურ გათხრებს დაიწყებენ.

### დაზუსტება

„საქართველოს რესპუბლიკის" 12 ივნისის ნომერში დაბეჭდილ წერილში „ძნელი გზა მონისკენ" დაშვებულია უნებლიე შეცდომა: პირველივე სტრიქონი ასე უნდა იწყებოდეს: „11 ივნისს", შემდეგ როგორც ტექსტშია.

რედაქცია ბოდიშს უხდის მკითხველებს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.



ერთი კადრი საქართველოს პრეზიდენტის ცხოვრებიდან.
საქინფორმის ფოტოქრონიკა.

სახელდახელოდ

# რუსეთმა კოსოვოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესში მონაწილეობა სამხედროების კონფლიქტით დაიწყო

(პირველი გვერდიდან)



12 ივნისს, გამთენიისას რუსეთის მედესანტეთა ნაწილმა გადალახა იუგოსლავიის საზღვარი, და ნატოსთან მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, რომლითაც მშვიდობისმყოფელები სინქრონულად უნდა შესულიყვნენ კოსოვოში, გაცილებით ადრე მოახდინა სამხედრო მანევრი და მხარის დედაქალაქის პრიშტინის აეროპორტ სლატინაში განლაგდა გუშინ, დილის 5 საათზე.

უცხოელი ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა განაცხადა — ეს სამწუხარო შეცდომა იყო, რომელიც სულ რამდენიმე საათში გამოსწორდებოდა. მაგრამ არაფერი მსგავსი ამისა არ მომხდარა. დასავლეთელი ჟურნალისტები მარჩიელობენ — საკუთარი ინიციატივით იცრუა ივანოვმა, აიძულეს, თუ განტევების ვაცის მდგომარეობაში ჩააყენეს?

საკუთარი ინიციატივით რუსეთში არაფერი ხდება.

რა თქმა უნდა, არც სამხედროების გადაადგილება.

დღეისათვის გავრცელებული ინფორმაციით, რუსმა მედესანტეებმა საზღვრის გადალახვის შესახებ ბრძანება გენშტაბის უფროსისგან გენერალ კვაშნინისგან მიიღეს. კრემლს არ დაუმალავს, რომ პრეზიდენტი ელცინი ყველაფრის საქმის კურსში იყო, და რუსი სამხედროების მოქმედება არავისთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო.

ნატოში რუსეთის წარმომადგენელი გენერალი ზავარზინი, რომელიც მედესანტეთა კოლონის გადაადგილებას ხელმძღვანელობდა, ერთ ღამეში (აღნიშნული ოპერაციისათვის?) გენერალ პოლკოვნიკი გახდეს!

არ სჭირდება ამას კომენტარი.

რუსი სამხედროების ასეთ მოქმედებას ნატოს შტაბბინაში პოლიტიკური თავხედობა უწოდეს. დღეს ამ თემაზე ისაუბრებენ ბილ კლინტონი და ბორის ელცინი ტელეფონით. ვნახოთ...

გუშინვე დიდი ბრიტანეთის სამხედრო ნაწილი, რომელიც ჩრდილოეთ კოსოვოში უნდა განლაგებულიყო, მიადგა სლატინას აეროპორტს. სიტუაცია, როგორც მიმომხილველები ამბობენ, ძალიან დაემსგავსა მეორე მსოფლიო ომში მდინარე ელბაზე საბჭოთა და ამერიკული ჯარების პირისპირ დგომას. მაშინ, ფაშიზმზე გამარჯვების ეს საზეიმო აკორდი, ცივი ომის ათვლის წერტილად იქცა.

როგორ იქნება ამჯერად?

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ სავსებით შესაძლებელია, შექმნილი სიტუაციიდან რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობის კრიზისი ამოვიდეს ბოროტი ჯინივით.

როგორ აფასებენ ყოველივე ამას ქართველი პოლიტიკოსები?

— რუსეთის მიერ იუგოსლავიაში ცალმხრივმა მოქმედებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ხელმძღვანელობის მოსაზრება, რომ რუსეთში არსებობენ ძალები, რომლებიც კოსოვოს და აფხაზეთის მსგავსი კონფლიქტების მოწესრიგებით ნაკლებად არიან დაინტერესებულნი, — მიიჩნია საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კახა ჩიტაიამ.

— რუსეთის მხრიდან სამშვიდობო ოპერაციის ჩაშლის შემთხვევაში შესაძლოა საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა გარკვეულწილად დაიძაბოს, რადგან, აფხაზეთის პრობლემიდან გამომდინარე, საქართველო იუგოსლავიაში ნატოს სამშვიდობო ოპერაციას უჭერს მხარს, ხოლო რუსეთის ქმედება უფრო სუბიექტური პოლიტიკური ინტერესებით არის გამოწვეული, — უთხრა პრაიმ-ნიუსს ჩიტაიამ.

არმაზ სანებლიძე.

ორბიტაზე

# ახალი იმპულსი— სამხედრო თანამშრომლობა

(პირველი გვერდიდან)

რომელიც პარიზის მეშვიდე არონდისმანის ერთ-ერთ ულამაზეს უბანში, სენ დომინიკის ქუჩაზე მდებარეობს. მხარეები შეეხნენ ორმხრივი ურთიერთობის სხვადასხვა საკითხს. ისინი შეთანხმდნენ, რომ უახლოეს მომავალში შესაბამისი ექსპერტები შეიმუშავებენ ორი სამინისტროს მომავალი თანამშრომლობის კონკრეტულ პროექტებს და ჩამოაყალიბებენ მემორანდუმს. გენერალმა დავით თევზაძემ ფრანგი კოლეგა საქართველოში ვიზიტად მიიწვია ამა წლის შემოდგომისათვის. სწორედ ამ პერიოდისთვისაა დაგეგმილი ხსენებული მემორანდუმის ხელმოწერაც, რასაც შემდგომში ფრანგული მხარე კანონის სახეს მისცემს და მოახდენს მის რატიფიკაციას. ბატონმა ალან რიშარმა კმაყოფილებით მიიღო ქართველი კოლეგის მოწვევა და განაცხადა, რომ ის აუცილებლად ეწვევა საქართველოს, რომლის სილამაზეზეც მას არაერთგზის სმენია.

ფრანგმა მინისტრმა უაღრესად მაღალი შეფასება მისცა ბალკანეთის კონფლიქტის პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის მიზანმიმართულ პოლიტიკურ პოზიციას. დიალოგი შეეხო ევროპის უსაფრთხოებისა და მშვიდობიანი მშენებლობის პროცესში საქართველოს მონაწილეობის, კერძოდ, კოსოვოს კონფლიქტისშემდგომი ეტაპის მშვიდობიანი მოწესრიგების, საერთაშორისო მშვიდობის ძალებში ქართველი ჯარისკაცების შესაძლო ჩაბმის, საფრანგეთის უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში ქართველ ოფიცერთა კადრების მომზადების, ექსპერტთა ჯგუფების გაცვლისა და სხვა კონკრეტულ საკითხებს. საუბარმა უაღრესად გულახდილ და გულთბილ ატმოსფეროში ჩაიარა. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში გოჩა ჩოგოვაძე, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი ქათამაძე, საფრანგეთის თავდაცვის მინისტრის სამხედრო კაბინეტის უფროსი, დივიზიის გენერალი ბერნარ ტორეტი და სხვა ოფიციალური პირნი.

იმავე დღეს, საქართველოს თავდაცვის მინისტრი მიიღო საფრანგეთის სენატის თავმჯდომარემ კრისტიან პონსლემ. ბატონი პონსლე შეეხო ფრანგულ-ქართული ურთიერთობების დღევანდელ მდგომარეობას და აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის ისტორიულად დამკვიდრებული მეგობრული და საქმიანი ურთიერთობები დღეს ახალ იმპულსს იძენს. მხარეებმა ისაუბრეს სამხედრო თანამშრომლობის სფეროში ამ ურთიერთობათა იმ შესანიშნავ დებიუტზე, რომელიც ესესაა შედგა. სენატის თავმჯდომარემ უაღრესად მაღალი შეფასება მისცა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის როლს დღევანდელი მსოფლიოს მოწყობის პროცესში და შეეხო საფრანგეთის სენატისა და საქართველოს პარლამენტის ნაყოფიერი თანამშრომლობის ზოგიერთ კონკრეტულ საკითხს. ბატონმა კრისტიან პონსლემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ ძალისხმევასა და შესამჩნევ დიპლომატიურ რუდუნებას, რითაც ხასიათდება საფრანგეთში საქართველოს ელჩის გოჩა ჩოგოვაძის ყოველდღიური საქმიანობა ფრანგულ-ქართული ურთიერთობების გაღრმავება-განმტკიცებისთვის და ამით საფრანგეთის უმაღლესი ხელისუფლების აზრი გამოხატა ქართველი დიპლომატის მოღვაწეობაზე. საფრანგეთის სენატის თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ ამა წლის ივლისში იგი თბილისს ეწვევა საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელობის მოწვევით. შეხვედრამ უაღრესად მეგობრულ და გულახდილობის ატმოსფეროში ჩაიარა.

* * *

11 ივნისს, დაგეგმილი იყო დავით თევზაძის შეხვედრები საფრანგეთის სამხედრო მრეწველობის რამდენიმე მსხვილ ფირმაში, მათ შორის „ტომსონის" ჯგუფში. ამ შეხვედრების დროს საქართველოს სამხედრო უწყების მეთაური გაეცნობა თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიის უახლეს მიღწევებს რადიოელექტრონიკის სფეროში.

ვლადიმერ ზარიძე,
„სრ" სპეც. კორ.
პარიზი.

სიტუაცია

# კოტე გაბაშვილი კატეგორიულად უარყოფს

(პირველი გვერდიდან)

ახლა მოგახსენებთ შემდეგს:

1. THYSSEN-ი და KRUPP-ი კარგა ხანია აღარ არის ორი სხვადასხვა ფირმა. საქმეში ჩახედულმა მილიონობით დაინტერესებულმა პირმა, დაწყებული ბანკების ოფიცრებიდან და სამაკლერო ბირჟების თანამშრომლებიდან და დამთავრებული აქციების მფლობელი პენსიონერების ჩათვლით, იცის (ეს ჩანს საქართველოში ჩართული გერმანული, ბრიტანული თუ ამერიკული საინფორმაციო სატელევიზიო არხების აქციების [illegible] მორბენალი სტრიქონებიდან), რომ ფირმის სრული სახელია THYSSEN-KRUPP. ეს არაფერი აჭარის მმართველმა შეიძლება არც იცოდეს ასეთი დეტალები. ეს, უბრალოდ, იმის საჩვენებლად, თუ რა განათლებისა და ცოდნის ხალხია იმ გარემოცვაში, ვინც მას ნეგატიურად ამუშავებს.

2. გუშინ, 10 ივნისს, დილით მე მივმართე „ტისენ-კრუპის" ერთ-ერთ ხელმძღვანელს, კონცერნის გაერთიანებული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ რეინჰარდ კვინტს საქართველოში გავრცელებული ინფორმაციის შესახებ. ცნობისთვის: ბატონი კვინტი პასუხისმგებელია კონცერნის აღმოსავლურ პოლიტიკაზე და უმაღლესი პირია ამ საკითხებისთვის. ცოტა ხანში მივიღეთ წერილობითი პასუხი. წერილის აზრი ის არის, რომ კონცერნი საქართველოში კი აქტიურობს სხვა სფეროებში, მაგრამ კონცერნის სპეციფიკა საერთოდ არ არის თბოელექტროსადგურები. მასზე სხვა, ენერგეტიკული ფირმები მუშაობენ და, როგორც „ტისენ-კრუპისთვის" არის ცნობილი, შეუფერხებლადაც.

3. მე განმეორებით გავუგზავნე თხოვნა „ტისენ-კრუპის" კონცერნის ხელმძღვანელს, რათა დამეზუსტებინა საკითხი უშუალოდ აჭარის მმართველიდან წამოსული საელჩოს და ელჩის მიმართ ბრალდებისა. ბატონმა კვინტმა უკვე მეორე წერილი გამოგზავნა: **„პატივცემულო ბატონო ელჩო. დაუზარებლად გიდასტურებთ, რომ ჩვენი მრავალი ოფიციალური თუ არაოფიციალური შეხვედრების დროს არც ჩემთან და არც ჩემს თანამშრომლებთან არასდროს არ ყოფილა საუბარი აჭარაში რაიმე თბოელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ. კვინტი."**

ასეთია საკითხის არსი. ამჯერად, შესაძლო კომენტარებისგან თავს ვიკავებ. მშვენივრად ჩანს, რომ ბრალდება სიცრუეზეა აგებული. სამწუხაროა.

ღრმა პატივისცემით
კოტე გაბაშვილი,
საქართველოს ელჩი გერმანიაში.


## საქართველოს საფოსტო ბანკი, მისი ფილიალები და განყოფილებები

საქართველოს საფოსტო ბანკი
GEORGIAN POST BANK

გთავაზობთ:

1. ანგარიშების გახსნას იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის უფასოდ;
2. სწრაფ ანგარიშსწორებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
3. სწრაფ გადარიცხვებს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში სასურველი ვალუტით;
4. „ამერიკან ექსპრესის" სამგზავრო და საბანკო ჩეკების რეალიზაციასა და განაღდებას;
5. „ჯორჯიან კარდის" პლასტიკური ბარათების დამზადებას და განაღდებას;
6. თქვენი საბანკო ანგარიშის ელექტრონული ფოსტით მართვის პროგრამას „ბანკი — კლიენტი";
7. პროცენტიანი ანაბრების მიღებას, როგორც ლარებში, ისე აშშ დოლარებში;

მიმართეთ საქართველოს საფოსტო ბანკს, მის ფილიალებსა და განყოფილებებს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

380064, თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. № 95.
ტელ: 956720, 940099, 964371.
ფაქსი: 94-01-10.

## სხვა გაზეთებიდან

# არ მიყვარს ტროლეიბუსის გაჩერებაზე საკითხავი გაზეთები

თამაზ წივწივაძე – საქართველოში თითქმის არ არსებობს ადამიანი, ვისაც ეს გვარ-სახელი არ გაუგონია. სხვა საქმეა, თუ ვინმეს ამ გვარ-სახელის გაგონება არ სურს – სამაგიეროდ, სხვებს იგი უყვართ და პატივს სცემენ.

პირადად ჩვენ, ბატონ თამაზს შეიძლება ზოგიერთ საკითხში არ ვეთანხმებოდეთ, მაგრამ მის ნიჭიერებას ნამდვილად ვერ უარვყოფთ. იგი „საფეხურების" ერთ-ერთი საინტერესო სტუმარია.

შესავლის მაგიერ

ბატონი თამაზი ჟურნალისტებს წერილობით პასუხობს ხოლმე, როცა ეს კითხვები თაბახის ფურცელზე ჩამოვაწიკწიკეთ, ჩვენი რესპონდენტის არა მარტო ნიჭიერებაში, მის უხესიტყვაობამიც ღრმად ვიყავით დარწმუნებულნი. წინასწარ გეგმებიც კი დავაწყეთ. ვიფიქრეთ, პასუხებიდან ყველაზე საინტერესო ამბებს შევარჩევთ და რუბრიკას თავის ფორმაში მოვაქცევთ-თქო. კოვზი ნაცარში ჩაგვივარდა, ბატონმა თამაზმა ამჯერად დეპეშის სტილი არჩია.

ვინაიდან, საგაზეთო ცხოვრება თავისას მოითხოვს, გვერდი კი – შევსებას, ჩვენს საუბარს უცვლელად, აბზაცების სრული დაცვით გთავაზობთ.

* * *

– როგორია თქვენი საპასპორტო ანუ ბიოგრაფიული მონაცემები?

– დავიბადებულვარ ქუთაისის რაიონის სოფელ კვახჭირში!

საპასპორტო ჩანაწერების მიხედვით – 1941 წლის 1 დეკემბერს.

რეალურად კი 1942 წლის 4 იანვარს!

(ჩემს მომავალ ბიოგრაფებს ვთხოვ, ამ მონაცემებით ისარგებლონ!)

– ბავშვობის ყველაზე ტკბილი და მწარე მოგონება.

– მწარე მოგონებად ახლა მხოლოდ ის მახსენდება, დედას ბაზარში რომ დავეკარგე!

სამაგიეროდ, ყველაზე ტკბილი მოგონებაც ამ შემთხვევას უკავშირდება – იმ წუთებს რა დამავიწყებს, როცა ბაზრის დირექციაში დაკარგული დედა-შვილი ერთმანეთს შეგვახვედრეს!

– ბავშვობაში ხილი თუ მოგიპარავთ?

– არა მარტო მომიპარავს, ყოფილა შემთხვევა, შემთხვევის ადგილას ჩავვარდნილვარ კიდეც!

– სკოლაში მისვლის პირველი დღე.

– პირველ კლასში პირველად მეზობლის ქალს – პელაგია კობეშავიძეს გამაყოლეს!

კარგი ფეხის ყოფილა, ღმერთმა აცხონოს!

– გვიამბეთ თქვენს გვერდით მჯდომ გოგონაზე!

– პირველ კლასში მთელი წელი ჩემს გვერდით ეთერ მაჩალაძე იჯდა და იმ ერთი წლის განმავლობაში ერთმანეთიც კაი გვარიანად შეგვიყვარებია!

სამთვიანი სასკოლო არდადეგების დადგომისას მშობლებმა ერთმანეთს ძლივს დაგვაწიწკნეს!...

მეორე კლასიდან იგი საცხოვრებლად სხვა ქალაქში გადავიდა და, მას აქეთაა:

მე მივტირი ღამეს ზამბახებიანს

და სიყვარულს მაჩალაძის ქალისას!...

– რას იტყოდით პელაგოგზე, რომელიც ძალიან არ გიყვარდათ (მხედველობაში გვაქვს თქვენი ემოციები და არა მასწავლებლის გვარ-სახელი)?

– იმის მიუხედავად, რომ ცუდად არ ვსწავლობდი, ფიზკულტურისა და სიმღერის მასწავლებლების მსგავსად, მაინც არავინ მიყვარდა!...

– როგორ გამოიყურებოდა თამაზ წივწივაძის სიმწიფის ატესტატი?

– ახლა თქმა მრცხვენია, თორემ სულ ხუთები მყავდა!...

– მისაღები გამოცდების ციებ-ცხელება... კმაყოფილი ბრძანდებით თუ არა უმაღლეს სასწავლებელში მიღებული ცოდნით?

– ჯერ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალში ვსწავლობდი – ჰიდროტექნიკური და ჰიდრომელიორაციული განხრით!

შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის სპეციალობით!

რაც შეეხება გამოცდების ციებ-ცხელებას, მაღალი სასტარტო ცოდნის გამო, ამის პრობლემა არასდროს მქონია!

ყოველი გამოცდის ჩაბარებაზე, შეიძლება, ასეც მეთქვა: „თამამად და მიჩანს მღერად"-მეთქი!

უმაღლესში მიღებული ცოდნით, რასაკვირველია, კმაყოფილი ვარ, მაგრამ კიდევ უფრო კმაყოფილი მაშინ ვიქნებოდი, ყველა ის ცოდნა რომ არ მიმელო, რასაც მთავაზობდნენ!

– რა განსხვავებაა თქვენი დროისა და ამჟამინდელ უნივერსიტეტებს შორის?

– ვერ გეტყვით. მე ჩემი დროინდელი უნივერსიტეტი კარგად ვიცოდი, ახლა იქ რა ხდება, სხვებისგან ვიგებ!

– გთხოვთ, მოიგონოთ პირველი პაემანი.

– პირველი პაემანი განსაცვიფრებლად ძვირფასი გახლდათ!...

აწ, უკვე სულ სხვა პაემნის დროა! გახსოვთ გალაკტიონი?

... მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი,

როგორც ყვავილი შემოდგომის, ხშირად

პირველს სჯობს!

– თქვენი პირველი სამსახური

– პირველი სამსახური თუ პირველი ხელფასის აღებიდან იწყება, მე ასეთად პირველი სტიპენდიის აღება მიმაჩნია!

სხვათა შორის, არასდროს ისეთ უწყებაში არ მიმუშავია, ჩემი თვიური ხელფასი პირველ სტიპენდიაზე აღმატებული რომ ყოფილიყოს!...

– გაიხსენებთ წერილს, რომელიც ოდესღაც, ახალგაზრდობაში არ დაგიბეჭდეს?

– ჯერ შემთხვევა არ მქონია, ჩემი წერილი ვინმეს უკან დაებრუნებინოს!

– რას ნიშნავს თამაზ წივწივაძისათვის შინაგანი ცენზი წერისას?

– წერის დროს ამ საგანზე არასდროს მიფიქრია; ეტყობა შინაგანი ცენზი ჩემში ინტუიტურად მუშაობდა!

ხშირად გადამიჭარბებია კიდეც, მაგრამ იმაზე ფიქრს – ვინმემ რამე არ თქვას-მეთქი – თავს ვერ გავახმობინებდი!

– გინანიათ თუ არა თქვენი რომელიმე წერილის გამო და რატომ?

– მე თვითონ არასდროს მინანია, მაგრამ საქმეც ისაა, რომ სხვებს (ხშირად მთავრობასაც!) ბევრჯერ უნანებიათ ჩემთვის!

ყოფილა შემთხვევა, თავზეხელაღებული ხერხებისათვის მიუმართავთ!

ჯერ ხელისუფლება არ მოსულა, ჩემი საქმე სასამართლოსთვის რომ არ გადაეცა!

სხვა საქმეა, ვერაფერ მოგებას რომ ვერ ნახულობენ ისინი აქედან!...

– როგორ შეაფასებდით მწერალთა კავშირში დღეს არსებულ მდგომარეობას?

– უფრო გაწონასწორებული და შემოქმედებითად დამუხტული მწერალთა კავშირი აქამდე არავის უნახავს!

– თქვენგან რამდენიმე მწერალი წამოვიდა (თამაზ ჩხენკელი, ოთარ ჩხეიძე...) მიზეზი?

– თამაზ ჩხენკელი არსადაც არ წამოსულა!

ხოლო რისთვისაც ბატონი ოთარ ჩხეიძე მწერალთა კავშირიდან წამოვიდა, იმის გამხელაც კი უხერხულია – ლიტერატურულ გაზეთში როსტომი რატომ გამიკრიტიკეთო!

– როცა ლევან ბერძენიშვილი საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორად გადაიყვანეს, კულუარებში ხმები გავრცელდა, თითქოსდა მწერალთა კავშირის ინიციატივით საპროტესტო გამოსვლას აპირებდნენ, მაგრამ გთხოვეს, ბიუჯეტის განხილვისათვის ხელი არ შეგვეშალათ და ეს აქცია გადაგვედოთ. ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ კი არაფერი მომხდარა. გადაიფიქრეთ თუ...

– კარგია, ასეთი, ინფორმაცია რომ მოგეპოვებათ!

ხოლო რაც შეეხება თქვენს გულდაწყვეტას, „ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ კი არაფერი მომხდარა. გადაიფიქრეთ თუ..."

არაფერიც არ გადამიფიქრებია! – ისეთ დღეს დავაყრით საჯაროდ, შეიძლება, საჯაროდანაც კი ვერ გაასწროს!

– რამდენად თავისუფალია პრესა საქართველოში?

– გიჟებისათვის სრულიად თავისუფალია! შედარებით ნორმალურებისათვის – ნორმალურად თავისუფალი!

– როგორ არ უნდა წეროს ჟურნალისტმა?

– როგორ არ უნდა წეროს ჟურნალისტმა, ეს ნამდვილად არ ვიცი. მე მხოლოდ ის ვიცი – ჟურნალისტმა კარგად უნდა წეროს, ვთქვათ – ჩემსავით!

– ქართული პრესიდან რომელ გაზეთებს გამოარჩევდით და რატომ?

– არ მიყვარს ტროლეიბუსის გაჩერებასთან საკითხავი გაზეთები!

არადა, ასეთები ბევრია, „მერიდიანივით" კარგი გაზეთები კი – ცოტა!

– რას იტყოდით მმართველ ფენაზე საქართველოში? დღეს ჩვენთან რა იცვლება – ხელისუფლება თუ მმართველი ფენა?

– მმართველი ფენა ყველა დროში და ყველა ფორმაციაში ერთნაირად აუტანელია!

აქედან გამომდინარე, თუ ახლანდელი შეიცვლება, მომავალი მმართველი ფენაც ასეთი იქნება!...

– გვიამბეთ თქვენს ოჯახზე – გაგვაცანით მეუღლე და შვილები.

– როცა მეუღლე და შვილები მეყოლება, აუცილებლად გაგაცნობთ!...

– როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი ცხოვრების უმაღლესი საფეხური?

– ეს კითხვა კარგად ვერ გავიგე, ჩემი ცხოვრების უმაღლეს საფეხურად თანამდებობას გულისხმობთ, თუ მაღალ დონეზე მოწესრიგებულ საყოფაცხოვრებო პირობებს?

თუ თანამდებობა გაქვთ მხედველობაში, ჩემი ახლანდელი მდგომარეობა, ჩემი პროფესიის კაცისთვის, საბოლოოა – მწერლისათვის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეზე მეტი თანამდებობა არ არსებობს!

ხოლო მაღალ დონეზე მოწესრიგებულ საყოფაცხოვრებო პირობებამდე ჯერ კიდევ ბევრი მიკლია!...

– „ღმერთის გარეშე ლიტერატურას არავითარი აზრი არა აქვს. და თუ ღმერთი არის, ალბათ, მაინც სჯობს კაცმა სხვა რამეს მოჰკიდოს ხელი და არა ლიტერატურას". თქვენი კომენტარი ეჟენ იონესკოს ამ სიტყვებზე...

– ჩვენს ძვირფას ეჟენს თუ უკეთესი აზრები არა აქვს, უკაცრავად პასუხია და, ამ სისულელის კომენტარისაგან ნუ მომაცდენთ!...

– რატომ ბეჭდავთ თქვენს ინტერვიუებს (სხვადასხვა გაზეთში თქვენგან აღებულ ინტერვიუებს) „ლიტერატურული საქართველოს" პირველ გვერდზე – თქვენ ხომ პოპულარობა არ გაკლიათ?

– არა, ძვირფასო, მე რომ ამას პოპულარობის გამო ვაკეთებდე, ეს ჩემი მხრიდან მხოლოდ უხერხული საქციელი იქნებოდა!

ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩავდივარ, როცა შევატყობ, ინტერვიუში წამოჭრილი საკითხები „ლიტერატურული საქართველოს" მკითხველებისათვისაც საინტერესო საკითხავი იქნება!

როგორც, მაგალითად, თქვენს მიერ აღებული ეს ინტერვიუ!...

პოსტსკრიპტუმი

*„ვერიკო თევზაძეს – გაზეთ „მერიდიანის" მომხიბვლელ კორესპონდენტს", ასეთი მინაწერით იწყებოდა თამაზ წივწივაძის ინტერვიუ. ძვირფასო მკითხველო, შენ, ალბათ, გაღიზიანდი (რა საჭირო იყო, მაგასაც რომ გვაკითხებო). ვერც გაგამტყუნებ, მაგრამ თუ წარმოსახვაში ჩემ გაბრწყინებულ სიფათსაც ხედავ, ძალიანაც ცდები. მე არც შენი ნერვიული სისტემის გაკონტროლება მსურდა, უბრალოდ, დამავიწყდა, წინასწარ მეთქვა, რომ მე და ბატონი თამაზი ერთმანეთს არასდროს შევხვედრივართ – ეს კითხვები მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მისაღებში დავტოვე, ხოლო პასუხები იქიდან ჩემმა მეგობარმა და კოლეგამ წამოიღო.*

*და ბოლოს, პატივი მაქვს, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს მივმართო: არა მგონია, ბატონო თამაზ, ისეთი მოსაწყენი ადამიანი ბრძანდებოდეთ, რომ ჟურნალისტებს საერთო მინაწერით, ტრაფარეტული კომპლიმენტით (სადაც მხოლოდ გვარ-სახელი იცვლება) უმასპინძლდებოდეთ. როგორც ჩანს, ჩემი მომხიბვლელობის ამბავმა თქვენს ყურამდეც მოაღწია.*

*დიდ მადლობას მოგახსენებთ კომპლიმენტისა და, რა თქმა უნდა, ინტერვიუსათვის.*

ვერიკო თევზაძე.

გაზეთი „მერიდიანი". 1999 წლის 2-4 ივნისი.

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო". 1999 წლის 11-18 ივნისი.

## სიტუაცია

# ნატო აფხაზეთის საკითხით დაინტერესდა

ბოლო დღეებში აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების თემამ მეტი აქტუალობა შეიძინა, რაც ამ საკითხის მიმართ საერთაშორისო ორგანიზაციების მზარდმა ინტერესმა განაპირობა. სტამბოლში ახლახან გამართული ე. წ. ნდობის შეხვედრა რაიმე კონკრეტული შედეგებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის. რაც შეეხება თამაზ ნადარეიშვილის ხელმძღვანელობით აფხაზეთიდან დევნილი ხელისუფლების დელეგაციის ვიზიტს ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში, აი, ამ მხრივ კი დიდ პოლიტიკურ გარღვევასთან გვაქვს საქმე. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის საკითხის გამო ჩვენს მიერ ნატოს კარებზე „მიკაკუნება" კოსოვოს კრიზისში ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გადამწყვეტმა როლმა განაპირობა. ლოგიკურადაც – თუ ნატო სერბებს კოსოვოელი ალბანელობის გენოციდისათვის სჯის, ვითომ რატომ არ უნდა დასაჯონ აფხაზი სეპარატისტები ქართველთა გენოციდისათვის? როგორც ჩანს, ნატოელმა მაღალჩინოსნებმა ბალკანეთსა და კავკასიაში არსებულ ამ ორ კონფლიქტს შორის მრავალი პარალელი აღმოაჩინეს და აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებისადმი ერთმნიშვნელოვანი დაინტერესება გამოხატეს.

თანაც, როგორც ბრიუსელიდან მოსული ცნობები მოწმობს, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი გარკვეულწილად იზიარებს აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების პოზიციას ძალით მშვიდობის დამყარების პრინციპის გამოყენების თაობაზე.

თუმცა, აფხაზეთის საკითხში ამ შთამბეჭდავი საერთაშორისო წარმატების პარალელურად აფხაზეთის დევნილ ხელისუფლებას „საშინაო პოლიტიკაში" სერიოზული პრობლემები შეექმნა, რაც, უწინარეს ყოვლისა, დევნილების მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას უკავშირდება. როგორც აფხაზეთის დევნილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლონდერ ცაავა აცხადებს, აფხაზეთის ოფიციალურ სტრუქტურებს საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები იგნორირებას უწევენ. ეს შეეხება როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის საკითხებს. მაგალითად, დევნილი ხელისუფლება უკმაყოფილებას გამოხატავს იმის გამო, რომ აფხაზეთის საკითხის განსახილველად საქართველოში სხვადასხვა საერთაშორისო დელეგაციების ჩამოსვლის შესახებ ინფორმაციებს ისინი მასმედიის საშუალებით იგებენ. აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება უკმაყოფილოა იმითაც, რომ დევნილებს თვეების განმავლობაში არ მიუღიათ ხელფასები, პენსიები, დახმარებები და ეს მაშინ, როცა პრეზიდენტის სპეციალური მითითებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავალებული აქვს ამ თანხების დროული გაცემა. არადა, დღევანდელი მონაცემებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი 60 პროცენტითაც კი არ არის დაფინანსებული. ამას გარდა, დევნილი მთავრობა თავის უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულის ბოლოდროინდელი ქმედების გამოც.

როგორც ცნობილია, კოდორის ხეობა აფხაზეთის ტერიტორიაზე ის ერთადერთი „თავისუფლების კუნძულია", რომელზეც რეალურად საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება და იგი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაქვემდებარებაში იმყოფება. ერთი წლის წინათ კი პრეზიდენტმა კოდორის ხეობაში საკუთარი რწმუნებულის ინსტიტუტი შემოიღო. ამ ხნიდან მოყოლებული, ეს ინსტიტუტი და დევნილი მთავრობა კოდორის ხეობის პრობლემებზე შეხმატკბილებულად მუშაობდნენ. ამას წინათ კი კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულმა ივერი ჭელიძემ ცენტრალურ აღმასრულებელ ხელისუფლებას კოდორის ხეობაში ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში წარუდგინა. რწმუნებულმა მადლობა გამოუცხადა ცენტრალური ხელისუფლების ყველა აღმასრულებელ სტრუქტურას და რატომღაც ამ ჩამონათვალში აფხაზეთის დევნილი მთავრობა გამორჩა, რამაც, ბუნებრივია, ამ უკანასკნელის გულისწყრომა გამოიწვია. არადა, დევნილ მთავრობას, როგორც მისი თავმჯდომარე ლონდერ ცაავა აცხადებს, არცთუ მცირე წვლილი მიუძღვის კოდორის ხეობაში განხორციელებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში, კრიმინოგენული ვითარების სტაბილიზებაში, გზებისა და ხიდების მოწესრიგებაში, მეეულმფრენთა რეისების აღდგენაში. ამიტომაც აფხაზეთის დევნილი მთავრობის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ისინი საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში არავის სჭირდება, გარდა პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრისა, რომლებიც ხშირად ეხმიანებიან.

ასე რომ, ამ დღეებში აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების გზაზე ზოგადად ქართულმა პოლიტიკამ დიდი საერთაშორისო გარღვევა განახორციელა, რასაც ვერ ვიტყვით შიდა ქართულ პოლიტიკურ პროცესებზე აფხაზეთთან მიმართებაში. აქ ჯერ კიდევ „ჩაკეტილი წრეა" და ამ საქმეში „გარღვევა" საერთაშორისო ასპარეზზე მოპოვებულ წარმატებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია.

ბექა ჭედია.

## ფონდი

# კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენისათვის

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი საქართველოს მთავრობის, მსოფლიო ბანკისა და ევროსაბჭოს ერთობლივ პროგრამას წარმოადგენს, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა. პროგრამა მსოფლიო ბანკის სესხით ფინანსდება (4 მილიონ 470 ათასი აშშ დოლარი) და ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, მის გადარჩენას მოხმარდება.

ფონდის ბიუჯეტი საინვესტიციო და ტექნიკურ კომპონენტებად იყოფა. საინვესტიციო ფონდის ნაწილი გადაუდებელ რეაბილიტაციას მოხმარდება და საქართველოს სულიერი და ფიზიკური კულტურული მემკვიდრეობის იმ ნიმუშთა გადარჩენას ემსახურება, რომელთა მდგომარეობა საგანგამოა და სასწრაფო აღდგენით სამუშაოებს საჭიროებს. გადაუდებელი რეაბილიტაციის პროგრამა (გრპ) სამი წლის განმავლობაში იმუშავებს, კონკურსიც სამ ეტაპად ტარდება. საკონკურსოდ წარმოდგენილ განაცხად-პროექტებს პრეზიდენტთან არსებული საქართველოს კულტურის აღორძინების საბჭო აფასებს.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის დირექტორის დავით ნინიძის თქმით, გრპ-ს პირველი ეტაპი დასრულებულია და კიდევ მიმდინარეობს სამუშაოები. კერძოდ, ხელნაწერთა ინსტიტუტში იწყება თანამედროვე საკონდიციონერო სისტემების დამონტაჟება, რაც 10 ათასამდე ქართულ ხელნაწერ წიგნსა და 60 ათას ისტორიულ დოკუმენტს გადაარჩენს. აღდგება მიწისძვრის შედეგად დანგრეული იკორთა და ბორჯომის ეკლესიის ექვსივე აფსიდის ზეთავები, ოქროს ფონდში ძველი ტექნიკური საშუალებებით შესრულებული და სავალალო მდგომარეობაში მყოფი უნიკალური ჩანაწერები. მოხდება მათი კონსერვაცია და კომპაქტ-დისკებზე გადატანა. მარტვილის მცირე ჩიქვანების ეკლესიის, აგრეთვე, უძველესი სვანური სიმღერებისა და ფერხულების რეაბილიტაცია.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილესთან თედო ისაკაძესთან კულტურის აღორძინების საბჭოს საქმიანი შეხვედრა შედგა, სადაც კონკურსით 14 პროექტი გაიდა – ვანის ნაქალაქარი; ვაჩნაძიანის სამონასტრო კომპლექსთან სამების მცირე ზომის დარბაზული ეკლესია; ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი; დავით აღმაშენებლის საფლავისა და განჯის ციხის რკინის კარების რესტავრაცია; ანტიკური ხანის ნაქალაქარ ძალისის კონსერვაცია; იკვის წმინდა გიორგის ეკლესია; ყინწვისის წმინდა ნიკოლოზის ტაძარი; ბუგეულის ღვთისმშობლის ეკლესია; ქართული ხალხური საკრავების აუდიო-ვიზუალური საინფორმაციო ბანკი; ახატანის ნათლისმცემლის სახელობის დარბაზული ეკლესია; 1917-1921 წლების ქართული პრესის მიკროფირები; ნიქოზის ღვთაების ტაძარი; თილვის გუმბათიანი ტაძარი და სხალთის ღვთისმშობლის ეკლესია. მათი აღდგენისათვის 400 ათასი დოლარი გამოიყო. ივნისის დამლევს ამ პროექტებს საბოლოოდ დაამტკიცებს ქართული კულტურის აღორძინების საბჭო ქვეყნის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით. ივლისიდან კი, პრაქტიკული სამუშაოები დაიწყება.

შემოდგომაზე კონკურსის მესამე ეტაპი გაიმართება და ახალ განაცხადებთან ერთად იგივე უფლებებით კონკურსის მეორე ეტაპზე ვერგასული აპლიკაციებიც მიიღებს მონაწილეობას.

ლელა დონაძე.

## პოლიცია

# ტაჯიკეთიდან გამოფრენილმა ნარკოვაჭარმა თბილისში „იმშობიარა"

**გასული კვირა ერთ-ერთი ყველაზე მშვიდობიანი იყო ამ უკანასკნელ პერიოდში. რეგისტრირებულია 105 სისხლის სამართლის დანაშაული, რაც 44-ით ნაკლებია წინა კვირასთან შედარებით. იკლო ყველა სახის მძიმე დანაშაულმა. მათ შორის მკვლელობამ და მკვლელობის მცდელობამ, სხეულის დაზიანებამ, ძარცვამ და ყაჩაღობამ. 14 ერთეულით შემცირდა ქურდობის შემთხვევები.**

**განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავეს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა. მათ 28 დანაშაული გამოაავლინეს, მათ შორის ნარკოტიკების რეალიზაციის 5 შემთხვევა. ამოიღეს განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ჰეროინი და ოპიუმი.**

ჰეროინის ეს დოზა – 169 გრამი –50 ათას კაცს ეყოფოდა ერთჯერადი მოხმარებისათვის. ნარკოვაჭრები კი ამაში 45 ათას ამერიკულ დოლარს ჩაიჯიბავდნენ. საბედნიეროდ, ნარკომანების მასობრივი „კაიფი" არ შედგა. ვერც კონტრაბანდისტებმა იხეირეს. 45 ათასი დოლარის ნაცვლად ჯერ ხელბორკილები, შემდეგ კი საგამოძიებო იზოლატორის საკანი ხვდათ წილად.

ჰეროინის ეს დიდი პარტია ტაჯიკეთიდან შემოიტანეს, რომელიც სავარაუდოდ ავღანური წარმოშობისაა. ხოლო თვით კონტრაბანდისტები, ტაჯიკეთში დაბადებულნი, იქაური მოქალაქეები არიან, თუმცა, მათი მამა-პაპა იმ შორეულ ქვეყანაში საქართველოდან გადასახლდა. 44 წლის კონსტანტინე ჯიქურიძეს და მის ძმას 43 წლის სერგო ჯიქურიძეს, როგორც ჩანს, ისტორიული სამშობლოს ნოსტალგია მოეძალათ და გადაწყვიტეს მისი მონახულება, ოღონდ არა პატრიოტული აღტკინების დასაოკებლად, არამედ სარფის სანახავად.

ნარკოტიკების გასაღების „კონიუნქტურის" შესასწავლად ჯერ უფროსი ძმა – კონსტანტინე ჯიქურიძე ეწვია თბილისს. გაიკითხ-გამოიკითხა და შეიტყო, რომ საქართველოში ნარკოტიკები, განსაკუთრებით, ჰეროინი ძალიან ძვირი ღირს – გრამი 300-400 დოლარი. ეს „სასიხარულო ამბავი" ტაჯიკეთში მაშინვე აცნობა ძმას – სერგო ჯიქურიძეს. მანაც არ დაახანა და საქართველოში წამოსაღებად სასწრაფოდ შეიძინა ჰეროინი. ჩქარობდა. რაკი ნაღდი ფული არ ეყო, ოჯახის ავეჯი „ჩადო" გირაოდ.

აღმოსავლელმა კონტრაბანდისტებმა კარგად უწყიან, რომ ნარკოტიკების გადატანა რამდენიმე ქვეყნის გავლით ურთულესი საქმეა. თუმცა, მათ შესაბამისი კონტრმეთოდებიც აქვთ შემუშავებული. ერთ-ერთ ასეთ მეთოდს მიმართა სერგო ჯიქურიძემაც. მან პოლიეთილენის რამდენიმე ტომსიკაში „ჩეკებად" დააფასოვა 169 გრამი ჰეროინი და... გადაყლაპა. ფიზიოლოგიური ნორმებით „მშობიარობა" 24 საათის შემდეგ უნდა შემდგარიყო. არც ადრე, არც გვიან. წინასწარი გაანგარიშებით ამდენი დრო უნდა დახარჯულიყო დუშანბედან თბილისამდე ჩამოსვლაში. ასეც გაკეთდა. ნარკოტიკების „დაბადება" საქართველოს დედაქალაქში „შედგა", მაგრამ ჯიქურიძეებმა ერთი გრამი ჰეროინის გაყიდვაც ვერ მოასწრეს.

1 ივნისს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს და ქვემო ქართლის პოლიციის სამხარეო მთავარი სამმართველოს შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა ისინი დააკავეს, გასაყიდად გამზადებული განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი მთლიანად ამოიღეს. ეს ოპერაცია დილის 5 საათიდან დაიწყო, როცა უმცროსმა ძმამ სერგო ჯიქურიძემ გადმოლახა საქართველოს საზღვარი, და საღამოს 6 საათამდე გრძელდებოდა.

ეროვნული ბიუროს თანამშრომლები ჯერ კიდევ მაშინ „დაადგნენ" ნარკოვაჭრების კვალს, როცა უფროსი ძმა „ბაზრის" დასაზვერად ჩამოვიდა საქართველოში. ოპერატიულმა მუშაკებმა მთელი ამ ხნის მანძილზე ხუთი თითივით იცოდნენ მათი ყოველი ნაბიჯი არა მარტო საქართველოში, ტაჯიკეთშიც კი.

ოპერაციას ხელმძღვანელობდნენ ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე პოლიციის პოლკოვნიკი დავით კაჭკაჭიშვილი და მისი მოადგილე პოლიციის პოლკოვნიკი გოჩა სისაური. ოპერატიული ინფორმაციის მოპოვება-გადამოწმებისა და ნარკოვაჭართა დაკავებისას განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ეროვნული ბიუროს განყოფილების უფროსმა პოლიციის პოლკოვნიკმა მერაბ გოგოლაძემ, მისმა მოადგილემ პოლიციის პოლკოვნიკმა მურმან ზარანდიამ და უფროსმა ინსპექტორმა ნოდარ მანიჟაშვილმა.

მასალები გამოძიებისათვის გადაეცა საქართველოს უშიშროების სამინისტროს.

ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა უზადო პროფესიონალიზმით, ორგანიზებულობითა და გამბედაობით წლეულს ბევრჯერ ისახელეს თავი. 1999 წლის იანვარ-თებერვალში იმდენი რეალიზატორი დააკავეს და ნარკოტიკები ამოიღეს, რამდენიც მთლიანად 1997 წელს. ნარკობიზნესთან ბრძოლის წარმოებისას, ნაღდმა პროფესიონალებმა მრავალი სხვა სახის დანაშაულიც გამოაავლინეს და შესაბამის სამსახურებთან ერთად აღკვეთეს.

ე. წ. „კანონიერ ქურდებს", კრიმინალური სამყაროს „ავტორიტეტებსა და ლიდერებს", სისხლის სამართლის სხვადასხვა დანაშაულის ჩამდენი პირების 70-80 პროცენტს უშუალო შეხება აქვთ ნარკოტიკებთან, როგორც მოხმარების, ისე ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის კუთხით.

შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამსახურები და შესაბამისი დანაყოფები გასულ კვირასაც აქტიურად მუშაობდნენ კრიმინალური ჯგუფების გამოვლენასა და დაკავებაზე. მაგალითად, იმერეთსა და თბილისში დააკავეს ყაჩაღთა, ავტომანქანების გამტაცებელთა რამდენიმე ჯგუფი, ერთ კვირაში დაკავებულია 23 ძებნილი, მათ შორის ბევრია მკვლელი, ყაჩაღი და მძარცველი.

ამ ფაქტების შესახებ „საქართველოს რესპუბლიკა" უკვე წერდა. მომავალი კვირიდან ელოდეთ ახალ ინფორმაციებს.

ვალერიან გოგოლაშვილი,
შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მრჩეველ-სპეციალისტი.


# საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემია

**აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1999-2000 სასწავლო წლისათვის. სამხედრო აკადემია ამზადებს ოფიცრებს შემდეგი სპეციალობებით:**

სახმელეთო ფაკულტეტი
(ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №117, ტელ: 95-21-85; 66-20-14)

1. მოტომსროლელი
2. სახმელეთო არტილერია
3. სასაზღვრო
4. შინაგანი ჯარი

სამხედრო-საავიაციო ფაკულტეტი
(ქ. თბილისი, ქ. წამებულის ქ. №16, ტელ:. 77-65-72)

1. საფრენი აპარატების ექსპლოატაცია და საბრძოლო გამოყენება
2. საფრენი აპარატებისა და ძრავების ექსპლუატაცია და რემონტი
3. საფრენი აპარატების რადიოელექტრონული მოწყობილობების ექსპლოატაცია და რემონტი
4. საფრენი აპარატების ელექტრო სისტემებისა და საპილოტაჟო-სანავიგაციო კომპლექსების ექსპლოატაცია და რემონტი.
5. საავიაციო შეიარაღების ექსპლოატაცია და რემონტი

სამხედრო-საზღვაო ფაკულტეტი
(ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №53, ტელ:. 7-34-29)

1. ხომალდის ინჟინერ-შტურმანი
2. ხომალდის ენერგეტიკული დანადგარების ექსპლოატაცია

საბუთები მიიღება 15 ივნისიდან, მისაღები გამოცდები ჩატარდება 15 ივლისიდან 5 აგვისტომდე.

აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებს აბარებენ:

ა) სახმელეთო ფაკულტეტზე: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (წერა), საქართველოს ისტორია (წერა);

ბ) სამხედრო-საავიაციო და სამხედრო-საზღვაო ფაკულტეტებზე: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (წერა) ფიზიკა (ზეპირი).

ღია კარის დღე ჩატარდება 3 ივლისს, 12.00 საათზე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიებს.

გაერთიანებული სამხედრო აკადემია.

## პაპს ჯვრის აღება სთხოვეს



მშობლიურ პოლონეთში ვიზიტის დამთავრებისას რომის პაპმა იოანე-პაველე II პატივი მიაგო ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნას. მანამდე ცოტა ხნით ადრე პოლონეთის უზენაესმა რაბინმა პაპს სთხოვა, დაეხმაროს ოსვენციმის ყოფილი სიკვდილის ბანაკის მახლობლად აღმართული უზარმაზარი ჯვრის აღებაში. როგორც პოლონელი ებრაელები ამტკიცებენ, ჯვარი ხელს უშლის მათ, ილოცონ ოსვენციმში. მაგრამ ვატიკანის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჯვრის გამო ატეხილი დისკუსიები, რომლებშიც ჩაბმული არიან ადგილობრივ ებრაელთა ჯგუფები და რადიკალი კათოლიკები, — პოლონეთის შინაური საქმეა. გუშინ რომის პაპს ზეიმით შეხვდნენ პოლონეთის პარლამენტში, სადაც მან სიტყვა წარმოთქვა.

## კათოლიკები და ლუთერანები რიგდებიან

რომის კათოლიკური და ლუთერანული (პროტესტანტული) ეკლესიების ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტეს დავა ცხონების ფუძემდებელი საკითხის გამო, რომელმაც XVI საუკუნეში დასავლეთის საქრისტიანოში გამოიწვია განხეთქილება და, საბოლოოდ, პროტესტანტული რეფორმაცია. ლუთერანთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ღირსმა ისმაელ ნოკომ თქვა, რომ მიღწეული თანხმობა შეიძლება გახდეს გადამწყვეტი ნაბიჯი ეკლესიების გაერთიანების გზაზე. ორივე ეკლესია ცნობს რომ შენდობისა და ცხონების მომნიჭებელია მხოლოდ ღვთის წყალობა. ერთობლივი დეკლარაცია, რომელსაც 31 ოქტომბერს მოაწერენ ხელს, გახდა შედეგი თეოლოგთა 30 წლის კონსულტაციებისა. ხელმოწერის დღე შემთხვევით როდია შერჩეული. სწორედ 31 ოქტომბერს აღინიშნება მარტინ ლუთერის იმ 95 თეზისის პუბლიკაციის (1517 წ.) მორიგი წლისთავი, რომლებშიც ჩამოყალიბებული იყო კათოლიკური ეკლესიის ცვლილებათა მოთხოვნები, დასაბამი რომ მისცეს რეფორმაციის პროცესს. ბი-ბი-სის რომაელი კორესპონდენტი იუწყება რომ პაპი იოანე-პაველე ცდილობს, შეარიგოს და გააერთიანოს სხვადასხვა ქრისტიანული ეკლესიები, მაგრამ ანგლიკანურ ეკლესიასთან დიალოგს ართულებს ის გარემოება, რომ მან ქალებს ნება დართო, მღვდლად ეკურთხონ.

## ომს დოლარის „წვიმა“ მოჰყვება?



იუგოსლავიის ომი მილიარდობით დოლარის „წვიმად“ შეიძლება შემობრუნდეს პენტაგონის მოიჯარეებისათვის, რომლებიც დასპეციალებული არიან შეიარაღების „გონიერულ“ სისტემებზე, მიაჩნიათ ამერიკელ ექსპერტებს. მათი შეფასებით, საომარმა მოქმედებამ ამოწურა დამიზნების ყველაზე თანამედროვე სისტემების მქონე საბრძოლო მასალების მარაგი, რომელიც შეერთებულ შტატებს ჰქონდა, და დამამზადებლები შეეცდებიან, არა უბრალოდ შეავსონ ეს არსენალები, არამედ, ალბათ, გააფართოონ კიდეც. ამ ომმა ცხადყო, რომ სწორედ „გონიერი“ საბრძოლო მასალებია წარმატების მომტანი, — უთხრა ასოშიეიტედ პრესის წარმომადგენელს კრის პელმენმა, თავდაცვითი ინფორმაციის ცენტრის ანალიტიკოსმა. ექსპერტთა აზრით, დაბომბვის ნატოსეულმა კამპანიამ განამტკიცა იმ სისტემების გრძელვადიანი პერსპექტივა, რომლებსაც იყენებენ ზუსტი დამიზნებისათვის კომპიუტერული ან ლაზერული ტექნოლოგიებით.

იუგოსლავიის წინააღმდეგ მოქმედებამ ხელი შეუწყო იმ ტენდენციების შემდგომ განვითარებას, რომელსაც სათავე დაედო სპარსეთის ყურის ზონაში ომის დროს, როცა მოკავშირეთა ძალებმა პირველად მოახდინეს ზუსტი შეიარაღების სისტემების ეფექტიანობის დემონსტრაცია. ასეთი სისტემები, ასოშიეიტედ პრესის თანახმად, სამხედროებს იმიტომ მოსწონთ, რომ ამცირებენ გაუთვალისწინებელ ზარალს და რისკის დონეს, რომელსაც სწევენ თვითმფრინავის ეკიპაჟები. პოლნისბეტის, „ჯი-ეს-ეი-რესერჩის“ კომპანიის სამხედრო მრეწველობის დარგის ექსპერტის აზრით, საომარი მოქმედება ბალკანეთში ცვლილებებს გამოიწვევს მომავალი ოპერაციების ტაქტიკაში ამ სისტემების როლის გაზრდის თვალსაზრისით.

რაც შეეხება უშუალოდ „წვიმას“, „რეიტიონის“ კომპანიის შეფასებით, ბალკანეთში დახარჯული საბრძოლო მასალების შესავსებად ახალი კონტაქტების ღირებულებამ შეიძლება შეადგინოს დაახლოებით მილიარდი დოლარი. კომპანიამ, ექსპერტთა აზრით, შეიძლება მოიგოს 420 მილიონი დოლარი მარტო მათ მიერ ადრე გამოშვებული „ტომაჰავკის“ ტიპის ფრთოსანი რაკეტების ხელახლა აღჭურვისა და მოდერნიზაციისათვის, და ეს თანხა მოხმარდება იუგოსლავიის დაბომბვის დროს დახარჯული საბრძოლო მასალების ანაზღაურებას. მათზე, კერძოდ, დააყენებენ დამიზნების კომპიუტერულ სისტემას, რომლებიც გამოიყენებენ თანამგზავრებიდან მიღებულ ინფორმაციას.

## დიდი შვიდეული ბჭობს

გუშინ ფრანკფურტში ერთმანეთს შეხვდნენ შვიდი ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნის ფინანსთა მინისტრები, რათა განიხილონ მესამე სამყაროს ქვეყნების ვალის პრობლემები. ეს თემა ძირითადი იქნება დიდი შვიდეულის სახელმწიფოების მეთაურთა შეხვედრაზე, რომელიც ამ კვირის ბოლოს დაიწყო. დიდ შვიდეულს სურს, შეუმსუბუქოს ვალების ტვირთი განვითარებად ქვეყნებს, მაგრამ ვერ მიუღწევია თანხმობისათვის იმასთან დაკავშირებით, თუ რა გზით მიაღწიონ ამას. ბრიტანეთის მთავრობა მაქსიმალური შეღავათების მომხრეა, მაშინ როდესაც იტალია და იაპონია ამ იდეას დიდი ენთუზიაზმით არ ხვდებიან. ამასობაში, შაბათ-კვირას მოტლანდიის დედაქალაქ ედინბურგში მიმდინარეობს დემონსტრაციები მოწოდებით, ჩამოაწერონ ვალები განვითარებად ქვეყნებს.

## ნატო კოსოვოში შედის



დაიწყო ნატოს ძალების შეყვანა კოსოვოს ტერიტორიაზე, ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო ოპერაცია ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ჯარები გუშინ გამთენიისას დაიძრნენ: ბრიტანული კონტინგენტის პირველი ჯგუფი შეეულმფრენებით გავიდა მაკედონიის ბაზებიდან. მერე კი სახმელეთზე დაიძრა საბრძოლო ტექნიკის უზარმაზარი ავტოკოლონა. ბრიტანელებს შეუერთდნენ საფრანგეთისა და გერმანიის ჯარები — ავანგარდი კონტინგენტისა, რომლის საერთო რიცხვი 15 ათასს შეადგენს.

## რუსეთის ჯარები პრიშტინაში გამოჩნდნენ



ნატომ ჯარის ნაწილების გადაყვანა დაიწყო სულ რამდენიმე საათში მას შემდეგ, რაც პრიშტინაში მოულოდნელად გაჩნდა რუსეთის სამხედრო კონტინგენტი. რუს მშვიდობისმყოფლებს, რომლებიც მეზობელი ბოსნიის სასტაბილიზაციო კონტინგენტის შემადგენლობაში სამსახურიდან წამოვიდნენ, პრიშტინაში ათასობით გახარებული სერბი შეხვდა როგორც გამათავისუფლებელ არმიას. მაგრამ მათი ჩამოსვლა, რაც არსებულ მორიგებათა დარღვევით განხორციელდა, საგანგებო მოლაპარაკების საგანი გახდა. როგორც ბი-ბი-სის კორესპონდენტი იუწყება, კოსოვოში ჯარების გაგზავნის გადაწყვეტილების მიღება რუსეთის ხელმძღვანელობას შეიძლება ძვირად დაუჯდეს, ვინაიდან ეს არის ბალანსირება დასაშვების ზღვარზე. შეერთებულმა შტატებმა, რომლის დესპანი სტროუბ ტელბოტი მეთაურობს მოსკოვს წარგზავნილ ამერიკის დელეგაციას, მიიღო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურის იგორ ივანოვის განმარტება, რომ ჯარები კოსოვოში შეცდომით შეიყვანეს, და მათ ნაბრძანები აქვთ, დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ უკან.

## აფეთქდა თვითმფრინავი

ალბანეთის ქალაქ კუკესის მახლობლად ასაფრენად მომზადებისას აფეთქდა ბრიტანეთის სატრანსპორტო თვითმფრინავი, როგორც ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, უშუალოდ აფრენის წინ ხანძარი გაჩნდა. 12-კაციანი ეკიპაჟიდან მხოლოდ ერთი დაშავდა.

## გამოსავალია პირდაპირი მოლაპარაკება



ინდოეთმა და პაკისტანმა უნდა გამართონ პირველი პირდაპირი მოლაპარაკება ქაშმირის სადემარკაციო ხაზთან დაკავშირებით მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების დროიდან. ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები დელში შეხვდებიან ერთმანეთს, რათა განიხილონ სიტუაცია, და ორივემ განაცხადა, რომ სურთ დავა დიალოგის გზით გადაწყვიტონ. მოლაპარაკება მაინც გაიმართება მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთი ამტკიცებს, თითქოს მისთვის პაკისტანის მხარის მიერ გადაცემული 6 მოკლული ჯარისკაცის ცხედრებს წამების კვალი ატყვია. პაკისტანი უარყოფს ამ ბრალდებას.

## რუსეთი: იწყება ციხის რეფორმა



რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ პრინციპულად მოიწონა მთავრობის წინადადება, შეუდგნენ საპატიმროების სისტემის რეფორმირებას. სათათბირო თანახმაა, ამნისტია გამოუცხადდეს 94 000 დამნაშავეს, რომლებიც არ უქმნიან საფრთხეს საზოგადოებას. ეს პატიმართა საერთო რიცხვის დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენს. იუსტიციის მინისტრმა კრაშენიკოვმა თქვა, რომ რეფორმების მიზანია, უფრო ადამიანური პირობები შექმნან რუსეთის საპატიმროებსა და ბანაკებში. მან მოუწოდა სასამართლოებს, დააჯარიმონ წვრილმანი დამრღვევები და არ გაგზავნონ მაშინვე საპატიმროში.

## განახლდა აშშ - ლიბიის კონტაქტები

აშშ და ლიბიის ელჩებმა გაეროს ნიუ-იორკის შტაბბინაში გამართეს პირველი ოფიციალური შეხვედრა მას შემდეგ, რაც 18 წლის წინათ შეწყდა დიპლომატიური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის. შეხვედრამ ჩაიარა გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის თავმჯდომარეობით და ბრიტანელი ელჩის თანდასწრებით.



განიხილეს ლიბიის წინააღმდეგ მოქმედი იმ საერთაშორისო სანქციების გაუქმების პირობები, რომლებიც შემოღებულ იქნა 1988 წელს შოტლანდიის თავზე ამერიკის ავიალაინერის აფეთქების შემდეგ. სანქციების მოქმედება შეჩერდა მიმდინარე წლის აპრილში, როდესაც ლიბიამ გასასამართლებლად გადასცა ჰოლანდიის ხელისუფლებს ამ აფეთქების ორგანიზაციაზე ეჭვმიტანილი ორი პირი. მაგრამ, სანამ სანქციების გაუქმებას დათანხმდებიან, ვაშინგტონსა და ლონდონს სურთ, მიიღონ იმის გარანტიები, რომ ლიბია ითანამშრომლებს სასამართლოსთან და გადაიხდის კომპენსაციას, თუ ეჭვმიტანილებს ბრალეულებად სცნობენ.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან
არჩილ მანჯგალაძე, ლევან ბოჭორიშვილი.

---

### სიახლე







## პირველი შოუ-ტურნირი, რომელიც ფედერაციის პრეზიდენტმა მოიგო

**ქართული ჭადრაკის ისტორიაში კიდევ ერთი ახალი ფურცელი ჩაიწერა — 11 ივნისს თბილისის ჭადრაკის სასახლის დარბაზში პირველად გაიმართა საჭადრაკო შოუ-ტურნირი კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით.** სამართავ პულტთან იჯდა ამ საქმის პიონერი სანკტ-პეტერბურგელი ბორის ემანი. 1994 წლიდან იგი და მისი ფირმა „მახკომი“ („მახმატნიე კომპიუტერი“) მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ახორციელებს საერთაშორისო ტურნირების კომპიუტერულ უზრუნველყოფას. ბათუმის ევროპის გუნდური ჩემპიონატის წინ ემანმა გადაწყვიტა, მის კომპიუტერს ერთგვარი რეპეტიცია თბილისში გაევლო. საღამოს ხუთ საათზე საერთაშორისო არბიტრმა თენგიზ გიორგაძემ საჭადრაკო საათი ჩართო და ვეებერთელა ეკრანზე დიდოსტატების — გია გიორგაძის და მაია ლომინეიშვილის პირველი პარტიის პირველი სვლები აკიაფდა.

ტურნირის ხუთ-ხუთწუთიანი პარტიებისთვის თვალყურის დევნება, როგორც ამ ასპარეზობის ორგანიზატორმა, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა დიდოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა აღნიშნა, შეეძლოთ არა მარტო იმ დღეს სასახლის დარბაზში მყოფთ, არამედ ჭადრაკის ყველა ქომაგს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, რადგან თბილისის შოუ-ტურნირის გადასაცემად „პროვაიდერმა სანეტმა“ ინტერნეტისთვის ხაზი გამოყო. ტურნირის კომპიუტერულ უზრუნველყოფაში თავისი წვლილი შეიტანა კომპანია „იუ ჯი თი“-მ, რომელიც „კომპაკის“ წარმომადგენელია საქართველოში.

როგორც ბორის ემანმა განაცხადა, მას შეეძლო ერთდროულად ორი სადემონსტრაციო დაფა აემოქმედებინა, მაგრამ, რადგანაც სწრაფი ჭადრაკი ორ დაფაზე ძნელი საყურებელი იქნებოდა, ამიტომ ტურნირის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს ეს მიმზიდველი სანახაობა მხოლოდ ერთ დაფაზე გაემართათ.

რაც შეეხება თვით შეჯიბრებას, მასში საქართველოს რვა საუკეთესო მოჭადრაკე ჩაება: დიდოსტატები — ზურაბ აზმაიფარაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, გია გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, ნინო ხურციძე, მაია ლომინეიშვილი, საერთაშორისო ოსტატი თამაზ ტაბატაძე და ფიდეს ოსტატი გერმანელი ალექსანდრე ფონგლეიხი — საქართველოში გერმანული კომერციული ბანკის გენერალური დირექტორი.

რეგლამენტის მიხედვით, მეტოქეებმა ითამაშეს ორ-ორი ხუთ-ხუთწუთიანი პარტია. მეოთხედფინალში გიორგაძემ ლომინეიშვილს მოუგო 1,5:0,5. ასეთივე ანგარიშით ჩიბურდანიძემ ფონგლეიხს სძლია. ხურციძემ იოლად დაამარცხა ტაბატაძე — 2:0. აზმაიფარაშვილ-გურგენიძის შეხვედრაში დაინიშნა დამატებითი მე-3 პარტია. რადგანაც თეთრებით მოთამაშე გურგენიძემ მისი მოგება ვერ შეძლო (საბოლოო ანგარიშია 1,5:1,5), დებულების თანახმად, ნახევარფინალში აზმაიფარაშვილი გავიდა. აქ მან ხურციძეს მოუგო 1,5:0,5. მცირე ნახევარფინალურ პაექრობაში გიორგაძე-ჩიბურდანიძეს შორის გამარჯვებული გიორგაძე გამოვიდა (1,5:0,5).

ფინალური პაექრობა ოთხი პარტიისგან შედგებოდა. პირველ ორთაბრძოლაში მეტოქეები დაზავდნენ, მომდევნო ორი შეხვედრა აზმაიფარაშვილმა მოიგო და კომპიუტერული უზრუნველყოფით საქართველოში პირველი შოუ-ტურნირის გამარჯვებულიც გახდა.

**ვაჟა დანელია.**

**სურათებზე: პირველი შოუ-ტურნირი თბილისის ჭადრაკის სასახლეში.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

***P.S. გუშინ ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა 59-ე ერთვნული ჩემპიონატი. პირველი ადგილი და 1999 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა გია ბაღათუროვმა.***

### კარატე

## ამიერიდან — ტრადიციულად

ბათუმში გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა კარატე — დოში საქართველოს და თურქეთის ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც დამთავრდა ანგარიშით 7:1 საქართველოს სპორტსმენების სასარგებლოდ. ეს იყო სტუმრების საპასუხო ვიზიტი. აპრილის დასაწყისში, ართვინში, გაიმართა პირველი შეხვედრა და იქაც ანგარიშით 5:3 იმარჯვეს საქართველოს წარმომადგენლებმა. აჭარის დედაქალაქში შეხვედრას ესწრებოდა კარატე-დოს მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენელი, რომელმაც დადებითად შეაფასა ჩატარებული ღონისძიება და საქართველოს ფედერაციას მიანიჭა საერთაშორისო ტურნირების გამართვის უფლება.

ამიერიდან, თურქეთის და საქართველოს ნაკრები გუნდების შეხვედრები ტრადიციული გახდება, ყოველ წელს გაიმართება ორი ასპარეზობა, შინ და სტუმრად.

**გარი ამირხანოვი.**

### ათლეტიზმი

## ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

სხეულის სილამაზეში, სწორ აღნაგობასთან ერთად, გადამწყვეტ როლს თამაშობს წელის სიწვრილე, რაც თუ ბუნებით არ არის მონიჭებული, საკმაოდ რთული და შრომატევადი წვრთნით მიიღწევა. იმ უამრავ ვარჯიშს მორის, რომელიც წელის დამუშავებას ესაჭიროება, გამოვყოფთ ზურგისა და მუცლის კუნთების ვარჯიშებს. გთავაზობთ რამდენიმე ვარჯიშს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნაზი გოგიშვილის შესრულებით.







### ლამაზი სხეული

**1. ზნექები ღვირზე სიმძიმით** (სურ. 1, 2). სრულდება 6 მისვლა 10-15 გამეორებით. თავქვეშ ამოიდეთ 10-15 კგ. სიმძიმე.

**2. ზნექები შტანგით ზურგზე დგომსა და ჯდომში** (სურ. 3, 4). სრულდება ერთ-ერთი ვარჯიში, იშვიათად ორივე. თითოეულ ვარჯიშს ეთმობა 4 მისვლა 10-15 გამეორებით. შტანგის წონაა 50-60 კგ.

**3. მუცლის კუნთების ვარჯიში ღვირზე** (სურ 5). სრულდება თავქვეშ ამოდებული სიმძიმით (წონა 10-15 კგ). ვარჯიშს ეთმობა 6-8 მისვლა 10-15 გამეორებით.

**4. მუცლის კუნთების ვარჯიში სწორ ზედაპირზე** (სურ. 6). სრულდება წონის გარეშე. იგი საკმაოდ ძნელი შესასრულებელია. ეთმობა 4 მისვლა 10-12 გამეორებით.







**ზურაბ ჟავჟანიძე.**

**თორღვა მაზრაქველიძის ფოტო.**

## პირველობა ახალი სისტემით

ქალთა კალათბურთში 2001 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩები (ფინალი კი საფრანგეთში გაიმართება) ახალი ფორმულით წარიმართება: ერთწრიანი ტურნირების ნაცვლად, როცა ჯგუფებად დაყოფილი გუნდები რამდენიმე დღით ევროპის რამდენიმე ქალაქში იკრიბებოდნენ, ახლა ორწრიანი მიმოსვლითი ტურნირია ნავარაუდევი.

წილისყრის შედეგად გუნდები ასე დაჯგუფდნენ:

„A“ ჯგუფი — ბოსნია, საბერძნეთი, ისრაელი, სლოვაკეთი.

„B“ ჯგუფი — დანია, გერმანია, ლიტვა, რუმინეთი.

„C“ ჯგუფი — ფინეთი, უნგრეთი, იტალია, რუსეთი,

„D“ ჯგუფი — ბულგარეთი, ჩეხეთი, ლატვია, ესპანეთი.

„E“ ჯგუფი — ხორვატია, თურქეთი, უკრაინა, იუგოსლავია.




### ყოველი მხრიდან

## ჩემპიონობისათვის ჩემპიონთან მოემზადება

წლეულს, ოქტომბრის ბოლოს გაიმართება საუკუნის საჭადრაკო მატჩი მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინისათვის — გარი კასპაროვი — ვიშვანათან ანანდი.

იქამდე კი ესპანეთის ქალაქ ლეონე უმასპინძლებს ექვსი პარტიისაგან შემდგარ მიკრომატჩს, რომელშიც ანანდი შეხვდება ფიდეს ვერსიით ახლანდელ ჩემპიონს ანატოლი კარპოვს. ამ მატჩის უჩვეულობა ისაა, რომ თითოეულ მოწინააღმდეგეს საშუალება ექნება, ისარგებლოს ელექტრონული თანაშემწის — კომპიუტერის კარნახით.

შარშან ასეთივე მატჩი გაიმართა კასპაროვსა და ტოპალოვს შორის, მაგრამ მაშინ დიდოსტატები სხვადასხვა სათამაშო საჭადრაკო პროგრამას იყენებდნენ, ახლა ორივე მეტოქეს ერთნაირ დახმარებას აღმოუჩენს პროგრამა „ფრიტც-5“.

მაყურებლებს კი სათამაშო მაგიდასა და მის ირგვლივ დამონტაჟებული ელექტროტექნიკის და ეკრანების მეოხებით საშუალება ექნებათ, ნახონ არა მარტო მთელი პარტია, არამედ გაეცნონ ვარიანტებსაც, რასაც მოწინააღმდეგენი მორიგი სვლის წინ არჩევენ და ამით გახდნენ დიდი მოჭადრაკეების შემოქმედებით პროცესის ერთგვარი მონაწილენი.

შეიძლება ითქვას, მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვთან საჭადრაკო გვირგვინისათვის ორთაბრძოლის წინ, ფიდეს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონთან ანატოლი კარპოვთან მატჩი კარგი სკოლა იქნება ინდოელი დიდოსტატისთვის.

## რეკორდსმენი დები

ნყვილთა თანრიგში „როლან გაროსის“ ჩემპიონატში ამერიკელები ვინუს და სირენა უილიამსები პირველი დები არიან, ვინც XX საუკუნეში გაიმარჯვა „დიდი მუზარადის“ დიდ საჩოგბურთო ტურნირზე. იქამდე ასეთ წარმატებას მხოლოდ ისევ ამერიკელმა დებმა ელენ და გრეის რუზველტებმა, ჯულიეტა და კეტლინ ატკინსონებმა მიაღწიეს ამერიკის ღია ჩემპიონატებზე, მაგრამ წინა საუკუნეში, 1890 და 1897-1898 წლებში.

უძღვება ანზორ ბასილაია

## ჭიდაობა

## მიშიკო აბაშიძის ხსოვნას მიეძღვნა

თერჯოლაში გაიმართა გამოჩენილი ფალავნის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, მსოფლიოს ორგზის, ევროპის სამგზის გამარჯვებულის ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსნის, სამბოსა და ძიუდოში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, 19 წლის ტრაგიკულად დაღუპული მიშიკო აბაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი.

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თერჯოლის, ქუთაისის (2 გუნდი), ზუგდიდის, ფოთის, ზესტაფონის 1986-87 და 1984-85 წლებში დაბადებული სპორტსმენები.

საინტერესო ორთაბრძოლებმა გამოავლინა უძლიერესნი, კერძოდ, 1986-87 წლიანთა მორის გამარჯვებული გახდნენ: 23 კგ. ბესო ტყუშია (ფოთი), 26 კგ. ლევან ჩუბინიძე (ზესტაფონი), 29 კგ. არჩილ ივანიშვილი (თერჯოლა), 32 კგ. გურამ კაკოიშვილი (ზესტაფონი), 35 კგ. ვანო ღერიძე, 38 კგ. ნიკა კუცია (ორივე — ფოთი), 41 კგ. ვარლამ კოპაძე, 45 კგ. გელა თორდია, 49 კგ. გიორგი მაღლაკელიძე; 53 კგ. ზურაბ თუთბერიძე, მძიმე წონა — მამუკა ჭანკვეტაძე (ყველა — ზესტაფონი).

1984-85 წელს დაბადებულთა მორის უძლიერესი იყვნენ: 38 კგ. დათო სისაური (ზუგდიდი), 42 კგ. ვალერი კიკნაძე, 45 კგ. გელა სანიკიძე, 49 კგ. ბერდია ონიანი (სამივე — ქუთაისი), 53 კგ. დათო თოხვანი (ზუგდიდი), 57 კგ. დათო მუსელიანი (ქუთაისი), 62 კგ. ზურაბ კახნიაშვილი, მძიმე წონა — ბიქტორ ჩუბინიძე (ორივე — ზესტაფონი).

ტურნირის საუკეთესო მოჭიდავეებს გადაეცათ სპეციალური პრიზები. ყველა პრიზიორი, აგრეთვე, დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრებითა და საქართველოს მოქალაქეთა კავშირის დიპლომებით.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ თერჯოლის ცენტრალურ ქუჩას მიშიკო აბაშიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად გამგეობის განკარგულების საფუძველზე მიენიჭა მისი სახელი, გაიხსნა მემორიალური დაფა.

**თენგიზ კიკნაძე.**

ექსპრესიკა

საქართველოს რესპუბლიკა | ყოველკვირეული დამატება | № 22 (74) 13-14 ივნისი. 1999 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავიაცია

# სისხლით დაწერილი კანონები

## პროფესიონალიზმი - მფრინავის მფარველი ანგელოზი

თვითმფრინავის გამართულად ფრენისათვის რომ მარტო მიწაზე მისი მომზადება და შემწეობა არ კმარა, დამეთანხმებით. ყველაზე მძიმე ტვირთი და მისია მაინც მფრინავს, ხომალდის მეთაურსა და ეკიპაჟს აწევს მხრებზე.



ამას წინათ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში" ამოვიკითხე: 1996 წელი მსოფლიოში ავიაკატასტროფების მხრივ განსაკუთრებით რიცხვმრავალი იყო. დაიღუპა ათას ცხრაასი კაცი. როგორც საერთაშორისო საავიაციო სამსახურები აღნიშნავენ, ამ უბედურ შემთხვევათა მთავარი დამნაშავენი მფრინავები ან მიწისზედა ავიასამსახურების წარმომადგენლები არიან. ავარიის მიზეზების კვლევისა და „შავი ყუთის" გაშიფვრის შემდეგ კომისიების დასკვნებში ყველაზე მეტად გავრცელებული სიტყვაა „უდისციპლინობა" და „უპასუხისმგებლობა". საბედნიეროდ, როგორც სტატისტიკა მოწმობს, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საბჭოთა პერიოდშიც და დღესაც ყველაზე ნაკლებად მოსდიოდა ავარიები. ეს უდავოდ ჩვენი მფრინავების მაღალპროფესიონალიზმსა და დიდ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს.

რუსული ტექნიკა უცხოურთან შედარებით ცოტა მძიმეა, მაგრამ უფრო საიმედო. ძრავები კი ენერგოალჭურვილობით თუ ეკონომიურობით ნამდვილად ვერ შეედრება უცხოურს. დღეს ამ კლასის რუსული თვითმფრინავებით მუშაობა წამგებიანია. იგი საკმაოდ ხარჯიანი და ხმაურიანია. თუმცა, ფრენების უსაფრთხოება მაინც ადამიანების გონიერად მუშაობაზეა დამოკიდებული. ხომალდის მეთაურსა და ეკიპაჟის წევრებს შორის მოვალეობები განსაზღვრულია. ისინი დადგენილი წესითა და რეჟიმით, ეკიპაჟის მოქმედების სახელმძღვანელო ინსტრუქციით მუშაობენ. ინსტრუქციაში ზუსტად არის მითითებული სამსახურში გამოცხადების დროიდან რა და როგორ აკეთოს, როგორ მივიდეს ექიმთან, მოემზადოს, გაუშვას ძრავი თუ სხვა, როგორ მოიქცეს განსაკუთრებულ ვითარებაში ძრავის გათიშვის, ხანძრის თუ სხვა შემთხვევაში.

ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზების" საფრენოსნო კომპლექსის დირექტორი ვახტანგ ოსაძე უმაღლესი კლასის მფრინავია. რამდენიმე ათეული წელი აქვს ნაფრენი და, ბუნებრივია, ზედმიწევნით კარგად იცის თავისი საქმე. როგორც იგი აღნიშნავს, ხომალდის მეთაურს არ უნდა დასჭირდეს ახსნა-განმარტების მიცემა ეკიპაჟის წევრებისთვის ვინ როდის რა აკეთოს, ამიტომაც სასურველია ეკიპაჟი „შეთამაშებული" იყოს, ერთად ფრენის პრაქტიკა ჰქონდეს, თუმცა არც ეს არის აუცილებელი, რადგან ყველა მფრინავმა ზუსტად იცის თავისი საქმე. ადრინდელთან შედარებით ფრენის წესებში ცოტა ცვლილებებია შესული. ადრე თუ ძრავა გიმტყუნებდა, ყველა ბრძანებას ხომალდის მეთაური იძლეოდა.

იხ. მე-6 გვ.

გაგრძელება. დასაწყისი

იხ. „სრ" № 148-149.

ნავთობსადენი

# კავკასიის რეგიონისადმი ინტერესი იზრდება

გლობალური პოლიტიკისა და ევრაზიის რეგიონში დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, კავკასიის რეგიონისადმი ინტერესი დღითიდღე იზრდება. კასპიის ენერგორესურსების გატანა მსოფლიო ბაზარზე ამ ინტერესის ერთ-ერთი გამოხატულებაა და საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ნავთობსადენი პირველი ნაბიჯია ამ გზაზე.

სწორედ სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის ნავთობსადენის როლს მიეძღვნა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ამ დღეებში სახალხო დამცველის რეზიდენციაში გაიმართა აშშ საინფორმაციო სააგენტოსა და ამერიკული ორგანიზაცია IREX-ის ეგიდით (IREX მეცნიერთა საერთაშორისო გაცვლის საბჭოა, საქართველოში მისი დირექტორია რიკ სტივენსონი, პროექტის დირექტორი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გუგული მაღრაძე).

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: აშშ საელჩოს ეკონომიკური მრჩეველი სანდრა კლარკი, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის ექსპერტი პროფესორი თეიმურაზ გოჩიტაშვილი, ბაქოს რასულ-ზადეს უნივერსიტეტის პროფესორი არაზ მამედოვი, თსუ დოცენტი მერაბ აბდალაძე, პროფესორი კახა კაციტაძე, სანაპირო ზონის ინტეგრალური მართვის ცენტრის დირექტორი მამუკა გვილავა, პროფესორი გუგული მაღრაძე, და სხვ. დამსწრეთ უჩვენეს რეჟისორ დავით გოგუაძის დოკუმენტური ფილმი, „შავი არტერია", რომელიც ნავთობსადენთან დაკავშირებით რეგიონის ეკოლოგიის პრობლემებს ეძღვნება. კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები მოიცავდა ნავთობსადენსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის განვითარების თითქმის ყველა ასპექტს. კერძოდ, საუბარი იყო აშშ პოლიტიკაზე კასპიის ენერგორესურსების მიმართ, მისი (ნავთობის და ბუნებრივი გაზის) დასავლეთის ქვეყნებში საქართველოს ტერიტორიის გაელით ტრანსპორტირების ეკონომიკურ მნიშვნელობაზე რეგიონისთვის, კავკასიის ნათობსა და XXI საუკუნის გეოპოლიტიკაზე, ნავთობსადენის მნიშვნელობაზე ქართული სახელმწიფოებრიობის დამკვიდრებაში და ა.შ.

კონფერენციის შედეგების მიხედვით განზრახულია მომზადდეს ბროშურა ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე, რომელიც მიეწოდება როგორც კავკასიის რეგიონის, ისე მსოფლიოში აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და სპეციალისტებს.

თეონა ლომთაძე.



რეგიონი

# „ჭიათურმანგანუმში" იმედის შუქი აკიაფდა

საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით სს „ჭიათურმანგანუმში" შექმნილი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლისა და კრიზისიდან გამოყვანის მიზნით კონკრეტული წინადადებების შესამუშავებლად შეიქმნა ჯგუფი პარლამენტის წევრების გაიოზ ნოზაძის, ზურაბ ჩხეიძის, გურამ ქაშაკაშვილის და თენგიზ მოცრაძის შემადგენლობით. ისინი რამდენჯერმე ეწვივნენ ჭიათურასა და ზესტაფონს გადასაწყვეტი საკითხების ადგილზევე განხილვისათვის. მათთან ერთად სააქციო საზოგადოების „ჭიათურმანგანუმისა" და „ფეროს" შრომით კოლექტივებს შეხვდნენ სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე და იმერეთის მხარის გუბერნატორი თეიმურაზ შამიაშვილი.

ახლახან კი საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა „ჭიათურმანგანუმის" სატკივარი ქვეყნის საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების, ჭიათურის რაიონის გამგეობის, სს „ჭიათურმანგანუმისა" და სს „ფეროს" დირექტორატის მონაწილეობით განიხილა და შესაბამისი გეგმაც დაამტკიცა.

ჯგუფის მოხსენებაში ჩაწერილია, რომ ბოლო წლებში, ჭიათურაში უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაა, რომლის მიზეზი „ჭიათურმანგანუმის" საწარმოების გაჩერებაა. მაღაროები, დამხმარე ობიექტები და კომუნიკაციები სავალალო მდგომარეობაშია. 120 კმ სიგრძის გვირაბებიდან დანგრეულია 70 კმ. დაზიანებულია მიწისქვეშ მოქცეული მანქანა-მექანიზმები, ელექტრომოწყობილობა, სავენტილაციო, წყალსატუმბი და კავშირგაბმულობის საშუალებები. მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა მიწისზედა ნაგებობებს, საბაგირო გზებს, სარკინიგზო ჩიხებს.

საერთაშორისო ბაზარზე შეუღწევლობამ, წელში გატეხა „ჭიათურმანგანუმი". შარშან გამართულ ტენდერში გამარჯვებულმა რუსეთის ფირმა „ინდუსტრიამ" არნახული გაიძვერობით კიდევ უფრო დაამძიმა ჭიათურის მარჩენალი საწარმოს მდგომარეობა. წლეულს გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა არავინ მიიღო. დაიკარგა დრო, საწარმოს ვალები 15 მილიონ ლარამდე გაიზარდა. პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის თავმჯდომარის ზურაბ ცქიტიშვილის აზრით, სს „ჭიათურმანგანუმის" მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია ინვესტიციების მოზიდვისა და ფინანსური რესტრუქტურიზაციით, მანვე კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სს „ფეროს" მმართველმა კომპანიამ „ჭიათურმანგანუმს" გაუხსნა საკრედიტო ხაზი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა მუშაობის განახლება. კომიტეტის თავმჯდომარეს მიზანშეწონილად მიაჩნია, ენერგეტიკის ეროვნულმა მარეგულირებელმა კომისიამ განიხილოს საკითხი ჭიათურისა და ზესტაფონისათვის ელექტროენერგიის სამართლიანი ტარიფით მიწოდების თაობაზე, ამასთან, შესაძლებლად მიიჩნია საკითხის განხილვა იმერეთის რეგიონში მოქმედი ჰიდროელექტროსადგურების გარკვეული ვადით მართვის უფლებით ინვესტორზე გადაცემის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის ბიურომ მოიწონა სს „ჭიათურმანგანუმის" კრიზისიდან გამოყვანის წინადადებები და სთხოვა ფინანსთა, მრეწველობის, იუსტიციის, სათბობ-ენერგეტიკის, ქონების მართვის სამინისტროებს, რომ სათანადო დახმარება აღმოუჩინონ ამ წინადადებათა რეალიზაციაში.

ამასთან, საგაზაფხულო სესიის დამთავრებამდე, უნდა მოამზადონ საკითხი საქართველოს პარლამენტის ბიუროზე განსახილველად.

ჭიათურის მანგანუმის მრეწველობას 120 წელი შეუსრულდა, ამ ხნის განმავლობაში აქაურმა მაღაროელებმა 250 მილიონი ტონა ნედლი მადანი ამოიღეს, 130 მილიონი ტონა კონცენტრატები აწარმოეს. შედეგი ჩინებულია. დღეს კი უსაშველოდ უჭირს „ჭიათურმანგანუმს", არადა, მანგანუმის მადნების საბალანსო რაოდენობა ამ რეგიონში 200 მილიონ ტონას აჭარბებს.

სს „ფეროს" მმართველი კომპანიის თავმჯდომარე დავით შალიკაშვილი რეალური ინვესტიციების მოძიებამდე და ტენდერის შედეგების დამთავრებამდე აგრძელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით ურთიერთობას სს „ჭიათურმანგანუმთან".

წლეულს ჯერჯერობით, მხოლოდ 12 ათასი ტონა მადანი გადაუტვირთეს ზესტაფონელ მეტალურგებს, მაგრამ, როგორც ჭიათურელი სამთოელები იმედოვნებენ, ივნისში სს „ფეროს" 6 ათას ტონა კონცენტრატს გაუგზავნიან, შემდეგ კი რაოდენობას თანდათან გაზრდიან.

„ჭიათურმანგანუმში" იმედის შუქი აკიაფდა.

სოზარ კუპატაძე
„სრ" საკ. კორ.

№155-156. კვირა-ორშაბათი, 13-14 ივნისი, 1999 წელი.

## რეფორმა

**საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებს შორის პირველობა წყალსა და წყალთან დაკავშირებულ რესურსებს ეკუთვნის. მისი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი 100 მლრდ კვტ საათს შეადგენს და ბევრად აღემატება საფრანგეთის, იტალიის, შვეციის, ნორვეგიისა და ესპანეთის ჰიდრორესურსებს.**

# ჰიდროენერგეტიკული რეკონსტრუქცია

საქართველოში პირველად ელექტროენერგიის წარმოება 1887 წელს დაიწყო, როცა თბილისში, ქართული დრამატული თეატრის გასანათებლად თბური ძრავები დააყენეს. ამას მოჰყვა ბორჯომულას ხეობაში პირველი ჰიდროელექტროსადგურის აშენება. 1913 წლისათვის უკვე 7 მცირე ჰიდროელექტროსადგური და რამდენიმე ათეული თბოძრავიანი ელექტროსადგური მუშაობდა. მას რამდენიმე წლის შემდეგ ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური შეემატა. ელექტროსადგურებთან ერთად ელექტროგადამცემი ხაზი ზაჰესი-რიონჰესი შენდებოდა, რითაც დასაბამი მიეცა საქართველოს ენერგოსისტემის შექმნას.

90-იანი წლებიდან საქართველოში ენერგეტიკული ბაზის ნგრევა დაიწყო, რაც ძირითადად ეკონომიკური კავშირების დარღვევამ, საწვავისა და ელექტროენერგიის იმპორტის შემცირებამ გამოიწვია.

1996 წელს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება „ელექტროენერგეტიკულ სექტორში რესტრუქტურიზაციის შესახებ“ და ენერგოსისტემაში რეფორმა გატარდა, რის შედეგადაც საქენერგო დაიშალა და ჩამოყალიბდა სხვადასხვა კომპანიები: „საქენერგო“, „საქენერგოგენერაცია“, „ელექტროგადაცემა“, „საქრუსენერგო“, სათბობ-ენერგეტიკული სამინისტრო, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია, ელექტროენერგეტიკის საბითუმო ბაზარი.

**— რა მოიტანა ამ რეფორმამ ელექტროენერგეტიკულ დარგში და თქვენს კომპანიაში?** ამ კითხვით მივმართე ენერგოსისტემაში დასაქმებულ სხვადასხვა ხელმძღვანელს.

**ნოდარ ბადურაშვილი, სახელმწიფო კომპანია „საქენერგოგენერაციის“ გენერალური დირექტორი:** — რეფორმა ელექტროენერგეტიკულ დარგში აუცილებელი იყო და მან ბევრი სიახლეც მოიტანა (თუმცა მისი განხორციელება ჯერ არ დასრულებულა). აქედან დაიწყო ენერგეტიკაში პრივატიზაციის პროცესი. იგი კანონის მიხედვით და წინარსწარ დადგენილი მიმდევრობით უნდა განხორციელდეს, რაც ენერგოკრიზისიდან გამოსვლას დააჩქარებს.

რეფორმის შედეგად, ენერგეტიკის გენერაციის ობიექტების რეაბილიტაციისათვის მოიზიდა უცხოური ინვესტიციები, დახმარებები. „თბილსრესში“ დაიდგა ახალი სამართავი პულტი, აღდგა მე-9 და მე-10 ენერგობლოკები.

განვლილი სამი წლის განმავლობაში „საქენერგონერაციის“ ობიექტების ტექნიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

**შოთა მაისურაძე, „საქრუსენერგოს“ გენერალური დირექტორი:** — დღეისათვის ელექტროენერგეტიკის ყველა მიმართულებით მიმდინარეობს მიზანდასახული მუშაობა. რეფორმამდე 500-კილოვატიანი ხაზების მიზეზით ბევრი სასისტემო ავარია ხდებოდა. 1996 წელს მაღალი ძაბვის 500-კილოვატიანი ხაზები „საქრუსენერგოს“ ბალანსზე გადავიდა და მას შემდეგ სასისტემო ავარიებმა საგრძნობლად იკლო. განვლილი ორი წლის განმავლობაში აღნიშნული ხაზების მიზეზით ენერგოსისტემაში ავარია საერთოდ არ მომხდარა.

აქტიურად ვმუშაობთ, რათა შავი ზღვის ქვეყნების ერთიანი ენერგოსისტემაში ჩავერთოთ.

**ვაჟა მეტრეველი, სახელმწიფო კომპანია „ელექტროგადაცემის“ გენერალური დირექტორი:** — რეფორმა ეტაპობრივად ხორციელდება და უპირველესად საჭიროა დაჩქარდეს ელექტროენერგეტიკის რესტრუქტურიზაცია.

„ელექტროგადაცემა“ აერთიანებს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებსა და ქვესადგურებს, ანუ შუამავალი რგოლია გენერაციის ობიექტებსა და სადისპეტჩეროს შორის.

ამჟამად ვმუშაობთ პროექტზე, რომლის განხორციელების შემდეგ საქართველო ელექტროენერგიის სატრანზიტო ქვეყანა გახდება. საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ელექტროენერგიის გაცვლის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების შედეგები ცხადყოფს, რომ 500-კილოვოლტიანი ხაზის „შესტაფონი-ახალციხე-თბილსრესი-ახალციხე-ყარსის“ მშენებლობა სამივე ქვეყნის ენერგოსისტემების ტექნიკური და ფინანსური განვითარებისათვის ძალიან მომგებიანი იქნება, რაც პირველი ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს ყოველწლიურად 50 მილიონ დოლარს მოუტანს, ხოლო მომდევნო ხუთ წელიწადში — 100 მილიონს.

**ფრანკ ბელონი, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის წარმომადგენელი:** — ჩვენმა ბანკმა საქართველოს ენერგეტიკის აღდგენისათვის გარკვეული ინვესტიციები მოიზიდა. ამ დარგის რეაბილიტაციისათვის აღსანიშნავია პროექტები — „ენერგეტიკა-1“, „ენერგეტიკა-2“ და „ენერგეტიკა-3“.

გერმანული ინვესტიციებით წინსვლა აშკარად აღსანიშნავია, მაგრამ ბანკი მაინც არ არის კმაყოფილი დარგში არსებული მდგომარეობით — „თბილსრესში“, გენერაციის ობიექტებზე, სადისპეტჩეროში ბევრი რამ კიდევ გასაკეთებელია.

რეფორმის დამთავრების შემდეგ ბანკი თანამშრომლობას გააგრძელებს სახელმწიფო კომპანია „ელექტროგადაცემასთან“ და ახალ პროექტებსაც დააფინანსებს.

**ჰიდრორესურსებით** მდიდარი და გეოპოლიტიკურად ევროპა-აზიის გზაგასაყარზე მდებარე საქართველო ინვესტიციებსა და ინვესტორებს ელის, რომლებიც, ორივე მხარისათვის ურთიერთხელსაყრელი პირობების გათვალისწინებით, საქართველოს ენერგეტიკაში კაპიტალს დააბანდებენ.

ლელა დონაძე.



## ავიაცია

**(მეხუთე გვერდიდან)**

დღეს იგი ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ნიშანს „СТОП“ იძლევა. ბორტინჟინერმა ამის შემდეგ თავად, სახელმძღვანელოს მიხედვით, უნდა იმოქმედოს.

ეკიპაჟის მთავარი ღირსება განისაზღვრება იმით, როგორ მოქმედებს იგი ავარიული ვითარების დროს, როგორი ალღო აქვთ მფრინავებს. მფრინავს, ორმოცი წლის ფრენის გამოცდილებაც რომ ჰქონდეს, მაინც ყოველდღე რაღაც ახალს სწავლობს. ეს მუდმივი პროცესია. პრაქტიკულთან ერთად, — ამბობს ბატონი ვახტანგი, — თეორიულადაც ვემზადებით. ტექნიკური უნივერსიტეტის საავიაციო ინსტიტუტის სასწავლო ცენტრში პერიოდულად სპეციალურ პროგრამას გავდივართ. კვარტალში ერთხელ 3 საათს მაინც ვვარჯიშობთ ტრენაჟორებზე. ვთქვათ, არ გაიხსნა ბორბალი, მიმტყუნა ძრავამ ან სულაც ხანძარია ბორტზე, ვამოწებთ როგორ სწორად და სწრაფად მოქმედებს ეკიპაჟი. ირჩევა ყოველი მომენტი, რა გაკეთდა არასწორად, როგორ უნდა ემოქმედა ეკიპაჟებს. მათი მოქმედება პირუთვნელად ფასდება. ავიაციაში მიტევება და საქმის მიფუჩეჩება დაუშვებელია. ის ინსტრუქციები, ამა თუ იმ ვითარებაში როგორ იმოქმედოს ეკიპაჟმა, სისხლითაა დაწერილი. სხვათა გამოცდილებაზე და შეცდომებზეა გაკეთებული ასეთი დასკვნები. ხშირად ისეც ხდება, რომ მფრინავს არაორდინალურად, სახელმძღვანელო ინსტრუქციის გვერდის ავლით უწევს მოქმედება. ბატონი ვახტანგი რამდენიმე ასეთ შემთხვევას იხსენებს.

— **აკაკი მამულაშვილს** თბილისიდან აფრენის დროს ძრავზე გაუჩნდა ხანძარი. ეს ურთულესი შემთხვევაა. აფრენის დროს დატვირთვა, დაწოლა დიდია, თანაც ამინდი იყო ცუდი, მაგრამ ეკიპაჟმა შეძლო ხანძრის ჩაქრობა და უკან მშვიდობიანად დაჯდომა. **შოთა ჯვარშეიშვილის** თვითმფრინავს არ გაეხსნა მარჯვენა ბორბალი. მან შეძლო უვნებლად დაესვა თვითმფრინავი. ხომალდიც გადარჩა, არც მგზავრები დაშავებულან. ბატონმა შოთამ იმ ვითარებაში არასტანდარტულად იმოქმედა, არ გააკეთა ის, რაც ასეთი შემთხვევის დროს არის გათვალისწინებული. ვითარების გაანალიზების შემდეგ დადგინდა, რომ ეკიპაჟმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო. სხვათა შორის, ამ შემთხვევისა და მათი მოქმედების საფუძველზე საკონსტრუქტორო ბიურომ მოწყობილობა სერიოზულად შეცვალა.

თვითმფრინავით ბევრ თქვენგანს უმგზავრია და, ბუნებრივია, უნებური შიშიც აგყოლიათ. თურმე ნუ იტყვით და, თუ თვითმფრინავის მტურვალთან გამოცდილი მფრინავები არიან, შიშის საფუძველი ძალზე უმნიშვნელოა. თვითმფრინავზე სამივე ძრავის გათიშვის შემთხვევაშიც შეიძლება მდგომარეობიდან გამოსვლა. სადისპეტჩერო სამსახურის უფროსი **როსტომ მეტრეველი** იხსენებს (იგი უმაღლესი კლასის მფრინავია, წლების განმავლობაში ხომალდის მეთაური იყო. აფხაზეთის ომის დროს სწორედ მისი მეთაურობით გადაჰქონდათ სოხუმში სურსათ-სანოვაგე და საბრძოლო მასალა, გადაჰყავდათ ხალხი. ამის თაობაზე მოგვიანებით მოგითხრობთ):

ТУ–154-ს, რომელსაც მართავდა **ზერლეგ მიქელაძის** ეკიპაჟი, მინერალური წყლებიდან აფრენის დროს რამდენიმე წუთის შემდეგ სამივე ძრავი გაეთიშა. მაშინ ამ თვითმფრინავით ქალბატონი ნინო ჟვანიაც მოფრინავდა. ხომალდის მეთაურმა და ეკიპაჟმა მაშინ გააკეთეს ის, რაც მანამდე არავის მოუხერხებია. წამებში მოახერხა ერთ-ერთი ძრავის კვლავ ამუშავება და შეძლო უთუო ავიაკატასტროფის თავიდან აცილება. ხომალდის მეთაურმა წამიერად გააანალიზა ვითარება, ზედმიწევნით ზუსტად შეასრულა ის, რაც იმ მომენტისთვის იყო საჭირო, ძრავებს საწვავი მიაწოდა და თვითმფრინავი იმავე აეროდრომზე უვნებლად დასვა.

ერთი ძრავითაც თავისუფლად შეიძლება ფრენის უსაფრთხოების დაცვა. გააჩნია, რა სიმაღლეზე გიმტყუნებს იგი, რადგან სიმაღლის ეტაპობრივად დაკარგვის ხარჯზე შესაძლებელია სიჩქარის შენარჩუნება და უახლოეს აეროდრომზე დაჯდომა.

ელექტრონული თუ სანავიგაციო ტექნიკის განვითარებამ დღეს უკვე ფრენები საგრძნობლად გააიოლა და უსაფრთხო გახადა. როგორც ბატონი როსტომი ამბობს, მან, როცა პირველად ფრენა დაიწყო, მაშინ მფრინავები ყველაფერს თავად აკეთებდნენ. კომპასი და ავიაჰორიზონტის მაჩვენებელიც კი არ ჰქონდათ. დღეს ფრენა დასვენებაა... თუმცა, ეს ერთი შეხედვით, საერთოდ კი ხომალდს „ცივი თავით“ უნდა მართვა. მფრინავს და მტურვალს „წვენი“ არ უნდა გასდიოდეთ.

## სისხლით დაწერილი კანონები

**თანამედროვე სუპერტექნიკის წყალობით, როგორც ანალიტიკოსები ამტკიცებენ, კაცმა განუწყვეტლად 60 ათასი საათი უნდა იფრინოს, ავიაკატასტროფაში რომ მოხვდეს.** მართლაც, საავიაციო ტრანსპორტი დღეს მსოფლიოში ყველაზე უსაფრთხო გადაადგილების საშუალებაა. აქ უბედური შემთხვევის ალბათობა, მიუხედავად გარეგნული სირთულისა და ეფექტისა, მინიმუმამდეა შემცირებული.

**— ბატონო ვახტანგ** — კითხვით კვლავ „საქართველოს ავიახაზების საფრენოსნო კომპლექსის დირექტორს მივმართავთ, — **მფრინავები ფსიქოლოგიურ მომზადებას თუ გადიან?**

— სამედიცინო კომისიის გავლის დროს, ცხადია, ფსიქოლოგიური ტესტების შევსებაც უწევთ. მათ ამ მხრივ ისედაც ამზადებენ. ტესტი ანალიზდება, თუ მფრინავი ვერ აკმაყოფილებს გარკვეულ ნორმებს, მცირედზე ლიზიანდება, გარკვეული პერიოდით ან საერთოდ არ მისცემენ ფრენის უფლებას.

უცხოეთში სხვაგვარად არის, პასუხისმგებლობას ხომალდის მეთაური კისრულობს და გადაწყვეტილებასაც ის იღებს. თუ ეკიპაჟი ან რომელიმე წევრი მზად არ არის, მას შეუძლია საერთოდ უარი თქვას გაფრენაზე ან რომელიმე წევრი შეცვალოს. ჩვენი მფრინავი კი, რომელსაც ჰაერში საკვებად გარკვეული თანხა ეძლევა, ხშირად იძულებულია იგი დაზოგოს და ოჯახს მოახმაროს. ეს კარგი ცხოვრებით არ არის გამოწვეული.

შოთა მაჭარაშვილი.

## აუქციონი

# ლარის კურსის სტაბილურობამ განაპირობა

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების აუქციონი, სადაც რესურსების განთავსება 60-დღიანი ვადით მოხდა. წლეულს ასეთი ღონისძიება პირველად განახორციელეს.

აუქციონზე მონაწილეობა მიიღო ორმა კომერციულმა ბანკმა. გარიგებათა საერთო მოცულობამ 200 ათასი ლარი, ხოლო წლიურმა საპროცენტო განაკვეთმა 35 პროცენტი შეადგინა.

ესქპერტთა აზრით, კომერციული ბანკების მიერ საკრედიტო რესურსების გრძელვადიანი პერიოდით გაცემა ბოლო ხანს საქართველოს სავალუტო ბაზარზე ლარის კურსის სტაბილურობამ განაპირობა.

იამზე ალდგომელაშვილი.

## მკითხველის თხოვნით

# სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ

ამას წინათ რედაქციამ მიიღო ჩვენი მკითხველის სერგო კილაძის წერილი. იგი შეშფოთებას გამოთქვამდა ლარის კურსის მერყეობის, მისი სწრაფი ცვლილებების გამო და მოითხოვდა ამის გამომწვევ მიზეზთა ახსნას. წერილი, რა თქმა უნდა, პასუხის გასაცემად ეროვნულ ბანკს გადავუგზავნეთ. პასუხი კი, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, ვფიქრობთ, სხვებსაც დააინტერესებს.

ნებისმიერ ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაციის ცვლილება და თვისობრივად სხვა ტიპის ეკონომიკაზე გადასვლა არ განხორციელებულა ღრმა სოციალური თუ პოლიტიკური კატაკლიზმების გარეშე. საქართველოსთვისაც ადვილი არ ყოფილა ამ ისტორიული ეტაპის დაძლევა. თუმცა, დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ უკან მოვიტოვეთ ომისა და ყაჩაღური ბანდფორმირებების თარეშის უმძიმესი მემკვიდრეობა, წარმატებებს მივაღწიეთ საგარეო პოლიტიკაში, ჩავერთეთ გლობალურ საერთაშორისო ეკონომიკურ პროექტებში. ამ ფაქტს არც ავტორი უარყოფს, როცა აღნიშნავს, რომ მიმდინარეობს საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება და ქვეყნის აღმშენებლობა.

ასეთ სიტუაციაში ქართული ვალუტის კურსის აშშ დოლართან ყოველდღიური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ანუ იმ ქვეყნის ვალუტასთან „პაექრობა", სადაც მატერიალური ჭარბწარმოებაა და, შესაბამისად ცხოვრების მაღალი დონე, ბუნებრივია, რთული ამოცანაა.

მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ვალუტის გაცვლითი კურსები პრაქტიკულად უწყვეტად იცვლება მთელი დღის განმავლობაში, რაც განპირობებულია როგორც შიდა სავალუტო ბაზარზე ვალუტის მიწოდება-მოთხოვნის თანაფარდობით, ასევე საშინაო და საგარეო ეკონომიკურ-პოლიტიკური გარემოს ზემოქმედებით.

რთული გასახსენებელი არ უნდა იყოს გასულ წელს საფინანსო ბაზარზე განვითარებული პროცესები, როცა როგორც ქვეყნის შიდა, ასევე გარეშე ფაქტორების გავლენით, სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის მოწოდება-მოთხოვნის დისბალანსმა აშშ დოლართან მიმართებაში ლარის გაცვლითი კურსის მკვეთრი რყევა განაპირობა. შედეგიც საკმაოდ მწვავე აღმოჩნდა – სავალუტო რეზერვები კრიტიკულ ზღვრამდე შემცირდა და ქვეყანა სრული ფინანსური კრახის წინაშე დადგა.

ბატონი სერგო კილაძე ლარის ხშირი საკურსო რყევების ავტორებად „დოლარების მეპატრონეებს" და საბაზრო მექანიზმების უმოქმედობას მიიჩნევს, რასაც საბჭოთა პერიოდში 70 წლის მანძილზე აშშ დოლარის მიმართ მანეთის კურსის უცვლელობით ასაბუთებს.

ბევრისათვის „სანატრელად" ქცეულ საბჭოთა პერიოდში ვალუტის ყიდვა-გაყიდვა აკრძალული იყო და კანონით ისჯებოდა. შესაბამისად, არ არსებობდა სავალუტო ბაზარი, რომ არაფერი ვთქვათ საბაზრო კურსებზე. სწორედ იმ პერიოდში აფიქსირებდა სახელმწიფო ხელოვნურად მანეთის დოლარზე გაცვლის ოფიციალურ კურსს, რაც განპირობებული იყო მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებებით და არა ეკონომიკური ფაქტორებით. სწორედ „რეპრესირებული" სავალუტო ბაზრის შედეგი გახლდათ ის გარემოება, რომ 1991 წლის ნოემბერში – საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისათვის, მანეთის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში შეადგენდა: ოფიციალური – 56,8 კაპიკს, კომერციული – 1,71 მანეთს და ტურისტული – 47 მანეთს. თავისთავად, უკვე ადმინისტრირების და არა საბაზრო მექანიზმების გამართული ფუნქციონირების მაუწყებელია აშშ დოლარის მიმართ მანეთის კურსის ამგვარი დიფერენცირება.

ის ფაქტი, რომ სადღეისოდ ლარის კურსი ყოველდღიურად და ზოგჯერ დღის მანძილზე რამდენჯერმე იცვლება, სწორედ საბაზრო მექანიზმების მუშაობაზე მეტყველებს, ანუ ბაზარი დაუყოვნებლივ რეაგირებს უცხოური ვალუტის მიწოდება-მოთხოვნაზე და თუ წერილის ავტორს დავესესხებით „ლარი შესაბამისობაში მოჰყავს დოლართან".

მარშან ლარის კურსის დაცემამ, ბუნებრივია, ფასების ზრდა გამოიწვია როგორც იმპორტულ, ასევე ადგილობრივი წარმოების საქონელზე, რაც, სამწუხაროდ, საკმაოდ მწვავედ აისახა საზოგადოების ფართო ფენების გადახდისუნარიანობაზე. ქვეყანაში გადახდისა და მსყიდველუნარიანობის ამაღლება კი ეკონომიკურ აქტიურობაზეა დამოკიდებული და მიუხედავად იმისა, რომ იგი ყოველწლიურად იზრდება, შემოსავლების დაბალი დონის გამო, მოსახლეობა მას ნაკლებად აღიქვამს.

აბსოლუტურად მართალია ბატონ სერგო კილაძის მოსაზრება, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ დასაქმებული ქართველების მიერ შემოტანილი თუ გადმოგზავნილი ვალუტა ხელს უნდა უწყობდეს ლარის კურსის გამყარებას. ასეც ხდება, რადგან ეს უკანასკნელი, ყველა შემთხვევაში, ხვდება სავალუტო ბაზარზე. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უზარმაზარ სავაჭრო დეფიციტთან შედარებით, როცა იმპორტი გაცილებით სჭარბობს ექსპორტს, ეს თანხები უმნიშვნელოა. შედეგად, ამ სახსრების ეფექტი ლარის კურსის გამყარების თვალსაზრისით, პრაქტიკულად შეუმჩნეველია.

ჩვენი არგუმენტები, ალბათ, ნაკლებად დაამშვიდებს წერილის ავტორს. მაგრამ ალბათ დადგა დრო, როცა თითოეულმა ჩვენგანმა სიმართლეს უნდა გაუსწოროს თვალი, რეალურად დაძლიოს „საბჭოთა საკურსო ნოსტალგია" და ობიექტური შეფასება მისცეს კრიზისის დასაძლევად ხელისუფლების ძალისხმევას.

**მერაბ კაკულია,**
საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი.

## კავშირგაბმულობა

# ფიჭური ტელეფონები ჯანმრთელობას არ ვნებს

ყოველი სიახლე ძნელად იკიდებს ფეხს საზოგადოებაში, მაგრამ სანამ შევაფასებდეთ მის სიავკარგეს, ალბათ, მეტი დაფიქრება გვმართებს. ეჭვებზე აგებული შეფასებები ზოგჯერ მცდარია და მასზე დაყრდნობა არას გვარგებს.

ფიჭური კავშირგაბმულობა რეალურად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში და ფეხი ისე მოიკიდა, რომ არა მგონია მისი იგნორირება ვინმემ შეძლოს. თუმცა, მავანთა მხრიდან ამისი წადილი ნამდვილად არსებობს, არადა დამოუკიდებელ ფიჭურ სატელეკომუნიკაციო სისტემებს ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის შევსებაში საკმაოდ დიდი როლი აკისრია.

ფიჭურ კავშირგაბმულობას ექსპლოატაციის დონეზე 70-იან წლებში პოლანდიაში ჩაეყარა საფუძველი, მისი პირველი მომხმარებლები მაშინ მსს და უშიშროების მუშაკები იყვნენ, მაგრამ ცოტა ხანში მოთხოვნილება გაიზარდა, და მისი შეძენის სურვილი ჩვეულებრივ მოქალაქეებსაც გაუჩნდათ.

ფიჭური სატელეკომუნიკაციო სისტემა „მეგაკომი" ჩვენში 1993 წელს შეიქმნა. ერთ-ერთი შეძლებული ამერიკელი ბიზნესმენი თბილისში მაშინ ჩამოვიდა, როცა დედაქალაქში განია ომი მიმდინარეობდა და სურვილი გამოთქვა საქართველოში შეექმნათ პირველი ფიჭური სატელეკომუნიკაციო კავშირგაბმულობა. მას სწამდა, რომ მიუხედავად სიძნელეებისა, ამ საქმეს მომავალი ექნებოდა. ამერიკელი მართალი გამოდგა. „მეგაკომს" ამჟამად 2000 აბონენტი ჰყავს. თითქოს ამჟერად კომპანიას არაფერი უჭირს და ღირსეულად ინარჩუნებს თავისთავადობას, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. ახლა მათი წუხილის საგანი გამხდარა ის დაუსაბუთებელი ეჭვები და მითქმა-მოთქმა, რაც ჩვენში არსებულ სატელეკომუნიკაციო სისტემებზე არსებობს.

მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ მას შემდეგ რაც მასმედიაში და მოსახლეობაში გარკვეული ეჭვი გაჩნდა ჯანმრთელობისთვის სატელეკომუნიკაციო სისტემის უარყოფით ზემოქმედებაზე, კომპანია „მეგაკომის" ხელმძღვანელობამ პირველმა წერილობით მიმართა საქართველოს კავშირგაბმულობის, გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს, რათა ერთობლივად დაინტერესებულიყვნენ ამ საკითხით, მოეწვიათ კომპეტენტური სპეციალისტები, მეცნიერები ტექნიკური უნივერსიტეტიდან და ჩამოეყალიბებინათ საერთო აზრი. ამასთან დაკავშირებით, სპეციალური ერთობლივი ბრძანებაც კი შეიქმნა, რომლის თანახმად ამ საკითხზე სამივე სამინისტროს უნდა ემუშავა და წერილობითი პასუხები მოემზადებინა, რასაც გაეცნობოდნენ როგორც მასმედიის წარმომადგენლები, ისე მოქალაქეები, ე.ი. მთელი საზოგადოება იქნებოდა ინფორმირებული. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, ფაქტობრივად შეიქმნა სულ სხვა შინაარსის მასალები.

აღნიშნულ საკითხზე „მეგაკომის" გენერალურ მენეჯერს მამუკა ლობჟანიძესა და მის პირველ მოადგილეს გიორგი სიხარულიძეს დამაჯერებელი ობიექტური მასალები გააჩნიათ, რაც ფაქტობრივად მთლიანად გამორიცხავს მავანთა შიშსა და ეჭვს ფიჭური კავშირგაბმულობის ჯანმრთელობისათვის მავნებლობის შესახებ.

უპირველესი, რაც ბატონმა გია სიხარულიძემ დაასახელა, – გახლავთ ის, რომ ტექნიკა, რომელიც შემოტანილია საქართველოში, სერტიფიცირებულია და აშშ და დასავლეთ ევროპაშია დამზადებული. ამ ქვეყნებში კი, მოგეხსენებათ, წარმოება როგორ დონეზეა. რომელ ჭკუათმყოფელს აძლევს ხელს, საზღვარზე უსერტიფიკატო პროდუქცია მიიტანოს და საბაჟომ უკან გააბრუნოს. ამით ხომ ნებისმიერი მწარმოებელი დიდად დაზარალდება, დაკარგავს უამრავ თანხას, ავტორიტეტს. გარდა ამისა, ამ პროდუქციას საბაჟოდან ვერ გამოვიტანთ, თუ არ გვექნება სათანადო ნებართვა. საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტრო კი გვაძლევს უფლებას ეს ტექნიკა შემოვიტანოთ და გამოვიყენოთ საქართველოში. ამასთან, არსებობს საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 11 იანვრის №380 ბრძანებულება საქართველოს ტერიტორიაზე ნედლეულის, პროდუქციისა და ობიექტების სახელმწიფო ჰიგიენური სერტიფიკაციისა და რეგისტრაციის შესახებ. იგი პირდაპირ გვავალებს შემოტანილი პროდუქციის სერტიფიცირებას. ამასთან, ჩვენი მომსახურება უნდა იყოს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო და ვარგისიანი. პრეზიდენტის ბრძანებულებიდან გამომდინარე, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში არსებობს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ცენტრალური ინსპექცია, რომელიც ყოველწლიურად ახდენს ჩვენი ობიექტების სერთიფიკაციას. ყოველი ახალი ანძის დადგმის დროს ხდება მასზე სათანადო ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა. მასში მითითებული გამოსხივების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ზემოაღნიშნული სანიტარიული სამსახურის მიერ შემოწმებულ და დამტკიცებულ ნორმას, ამით სახელმწიფო სრულად იცავს თავის მოსახლეობის უსაფრთხოებას. ამიტომ ზოგიერთი მოქალაქის მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ფიჭური სატელეკომუნიკაციო ანძები მავნებელია, და ისინი დიდი ოდენობით ასხივებენ, სიმართლეს არ შეესაბამება. „მეგაკომის" გენერალური მენეჯერის მამუკა ლობჟანიძის აზრით, რადიაცია თავისთავად ცუდს არაფერს ნიშნავს და მასზე ამგვარი შეხედულება სსრკ-დან გადმოგვყვა. უბრალოდ გასარკვევია, კონკრეტულ შემთხვევაში ეს რადიაცია მავნეა თუ არა. სიტყვა რადიაციამ რატომღაც უარყოფითი დატვირთვა მიიღო. ამით სარგებლობენ

იხ. მე-8 გვ.

## საწარმო

# ხაშურის დეპო მოწინავეა

დარგში ერთ-ერთი მოწინავეა ხაშურის სავაგონო დეპო, რომელსაც გამოცდილი მევაგონე, საპატიო რკინიგზელი, ღირსების მედლის მფლობელი თეიმურაზ კაკიაშვილი ხელმძღვანელობს. დეპოს კოლექტივი დროულად უზრუნველყოფს გადაზიდვებისათვის საჭირო ვაგონების შეკეთებას, განსაკუთრებული გულისყურით ისინჯება სურამის უღელტეხილზე გასაშვები შემადგენლობები, რათა უზრუნველყონ უსაფრთხო მოძრაობა.

წლევანდელ პირველ კვარტალში სხვადასხვა სახის შეკეთება ჩაუტარდა 767 ვაგონს, გაისინჯა 41715 სატვირთო და 6888 სამგზავრო ვაგონი. შემოსავალმა 669,6 ათასი ლარი, მოგებამ კი 19,5 ათასი ლარი შეადგინა.

დიდი ყურადღება ექცევა დამხმარე ნაგებობებისა და დანადგარ-მოწყობილობათა რემონტს. ამწყობი, ურიკებისა და გოგორწყვილების საამქროების უვარგისი ფურცლოვანი ლითონით გადახურვაზე დაიხარჯა 120 ათასი ლარი. დამონტაჟდა ახალი, გოგორწყვილთა გორვის ზედაპირის გადასაჩარხი „კზტს"-ის ტიპის ჩარხი. დეპოს წყლით მომარაგების უზრუნველსაყოფად მოეწყო ჭაბურღილი.

**გურამ ძიმერიძე.**



**სურათზე:** ხარატი დათო მალიძე სამუშაო უბანზე.

ავტორის ფოტო.

კავშირგაბმულობა

# ფიჭური ტელეფონები ჯანმრთელობას არ ვნებს

(მეშვიდე გვერდიდან)

ჭორების მოყვარულნი, მსოფლიო პრესაში ატეხენ ხოლმე უაზრო ყაყანს, ერთ ამბავს. წვიმასავით წამოვა ხოლმე ბრალდებები, მაგრამ ბოლოს გაირკვევა, რომ ყოველივე ეს დამატებითი დაფინანსებისათვის მოხდა. ფაქტები და ციფრები მეტყველებს, რომ ფიჭური ტელეფონების გამოსხივების სიმძლავრე 1 ვატამდეა, მაშინ, როდესაც ნებისმიერი სამომხმარებლო მოწყობილობის, გნებავთ ტელევიზორის, გამოსხივების სიმძლავრე 75 ვატია.

ამას წინათ აშშ ფედერალურმა მთავრობამ დახარჯა 25 მლნ დოლარი პროგრამაზე, რომლის ფარგლებში ტესტირება ჩაუტარდა მობილური ტელეფონების მწარმოებელ ყველა ფირმას, მაგრამ ვერ აღმოაჩინა ვერანაირი საფუძველი იმისთვის, რომ შეეზღუდა მათი საქმიანობა.

საანტენო მოწყობილობებში რადიოანტენების გამოსხივება 5000-ჯერ, ხოლო სატელევიზიო ანტენების გამოსხივება 100-ათასჯერ აღემატება ფიჭური ანტენების გამოსხივებას. რაც შეეხება მიკროტალღოვან ღუმელსა და ტოსტერს, რომლებიც უმეტესობას სახლში გვიდგას, პირველი მათგანის გამოსხივება 650 ვატია, მეორისა კი – 1700.

ვაშინგტონის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის მეცნიერებმა ჯოზეფ როტის ხელმძღვანელობით უსადენო ტექნოლოგიების შესწავლის კვლევის ცენტრის შეკვეთით ჩაატარეს ცდები. შედეგები ოფიციალურად გამოქვეყნდა, სადაც აღნიშნულია, რომ არ არის არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ ფიჭური ტელეფონები არასასურველ, საზიანო ზემოქმედებას ახდენდნენ და ონკოლოგიური დაავადებების გამომწვევ მიზეზად ითვლებოდნენ.

დიდი ბრიტანეთის რადიოლოგიური დაცვის ეროვნული კოლეგიის დასკვნით: მობილური რადიოტელეფონების გამოყენება არ უქმნის ჯანმრთელობას არანაირ საშიშროებას, დღემდე არ არსებობს მკაფიო დადასტურება იმისა, რომ მათი გამოსხივება კიბოს გამომწვევია, ხოლო იელის (აშშ) უნივერსიტეტის ფიზიკის პროფესორი რობერტ ედირი მიიჩნევს, რომ „ადამიანის ჯანმრთელობაზე ფიჭური კავშირგაბმულობის ვითომცდა საშიში ზემოქმედებით შეწუხებულთა არგუმენტები ვარირებენ მარტივი უაზრობიდან სრულ ბოდვამდე“. სამწუხაროდ, ამგვარი სპეციფიკური საკითხების გადაწყვეტაში და უარყოფითი ინფორმაციის გავრცელებაში ყველაზე მეტად ის ადამიანები მონაწილეობენ, რომლებსაც სათანადო კვალიფიკაცია არ გააჩნიათ და ამ თემაზე ყველაზე ნაკლებს დარგის სპეციალისტებს ეკითხებიან.

სხვათა შორის „მეგაკომის“ კომპანია ერთ-ერთი მაღლივი შენობის მე-14 სართულზე ბინადრობს, მათს თავზე ჭერია, ხოლო სახურავზე „მაგთის“ სატელეკომუნიკაციო ანტენები. ეს რომ სახიფათო იყოს, „მეგაკომის“ ხელმძღვანელობა ამას არ დაუშვებდა.

ლალი ძინძლაძე.

მომსახურება




# „შერატონ მეტეხი პალასი“ — სტუმართმასპინძლობის დახვეწილი სტილი

**დღეს სასტუმრო-ტურისტული ბიზნესი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებადაა აღიარებული. კლიმატი, ძველი კულტურა, ეროვნული თავისთავადობა – ყოველივე ამით იზიდავს უცხოელებს საქართველო. მაგრამ ჯერჯერობით ქვეყანაში მცირეა იმ სასტუმროთა რიცხვი, რომელთაც საერთაშორისო დონეზე მომსახურება შეუძლიათ. ერთ-ერთი მათგანია „შერატონ მეტეხი პალას ოტელი“, რომლის გამოცდილებაზე საქინფორმის კორესპონდენტს ესაუბრა გენერალური მენეჯერი თომას მონი.**

**– ბატონო მონ, კომპანია „შერატონი“, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ, სასტუმროს მართავს 1997 წლიდან. გვიამბეთ ცოტა რამ თქვენი ფირმის შესახებ.**

– კომპანია „შერატონი“ სასტუმრო-სათამაშო ბიზნესის „თარვუდის“ ერთ-ერთი შვილეულია. ამ გიგანტს მსოფლიოს 72 ქვეყანაში 720 სასტუმრო აქვს, რომლებსაც 150 ათასი კაცი ემსახურება. ეს ციფრები დინამიკურია და ყოველდღე იცვლება. კომპანიამ, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში 30-იან წლებში დაარსდა, მეოცე საუკუნის მიწურულს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა მსოფლიო სასტუმრო ბიზნესში.

**– სასტუმრო „მეტეხი“ რვა წელია არსებობს. აქედან თითქმის ორი წელი „შერატონზე“ მოდის. რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში და როგორია სამერმისო გეგმები?**

– ვიდრე თანამშრომლობის შესახებ გენერალურ ხელშეკრულებას დავდებდით, ჩვენმა სპეციალისტებმა, „შერატონის“ ევროპის ცენტრალური შტაბ-ოფისის წარმომადგენლებმა ზედმიწევნით შეისწავლეს სიტუაცია თქვენს ქვეყანაში და დედაქალაქში, აგრეთვე, სასტუმროში არსებული სტანდარტები და მომსახურების შესაძლებლობანი: სასტუმრო კომპლექსი, ოთახების მოხერხებულობა და განლაგება, თანამედროვე კომუნიკაციები, ბევრი საკითხი გასაანალიზებელი იყო. ტურისტული ბიზნესის კომპანია ხომ პოტენციურ კლიენტს მარტო სასტუმროს კი არა, იმ ქვეყანასაც სთავაზობს, სადაც იმყოფება.

ორი წლის განმავლობაში დავრწმუნდით, რომ სწორი არჩევანი მოვახდინეთ. სასტუმროში ჩვენს მიერ განხორციელებულმა ზოგიერთმა სიახლემ დადებითი შედეგები გამოიღო. კერძოდ, დავხვეწეთ კომპიუტერული სისტემა, განვაახლეთ სატელეფონო კავშირი, გავხსენით ახალი ფაბი „სლემერსი“ და რაც მთავარია, უზრუნველვყავით სპეციალისტების მომზადება და მუდმივი ტრეინინგი. ჩვენს ბიზნესში ხომ კადრები ყველაფერს წყვეტს. ამიტომ დიდი ყურადღებით ვადევნებთ თვალს თითოეული თანამშრომლის მუშაობას, ვცდილობთ მათ წახალისებას. ეწყობა ყოველწლიური კონკურსი. თვის თო[illegible] ვებულიდან ვირჩევთ წლის ლიდერს, რომელსაც კომპანია თავის ხარჯზე აგზავნის საზღვარგარეთის ქვეყანაში სამოგზაუროდ.

**– დღეს თბილისში „შერატონ მეტეხი პალას ოტელს“, ალბათ, ბევრი კონკურენტი ჰყავს?**

– ხშირად, თქვენი ქვეყნის სტუმრები უფრო სასურველად მიიჩნევენ პატარა, მყუდრო და კომფორტულ სასტუმროებს. თბილისში საკმაოდ ხშირად შეხვდები პანსიონებს, რომლებიც თავიანთ ბინადრებს კარგ სერვისს სთავაზობენ. ბევრი მათგანი ახლოა მომსახურების ჩვეულ დონესთან. სასიამოვნოა, როცა ჯანსაღი კონკურენციაა. ასე რომ, თვითდამშვიდებას არ ვეძლევით, კლიენტისათვის უნდა ვიბრძოლო.

**– როგორ თვლით, ხელსაყრელია თუ არა საქართველოს ეკონომიკისათვის ისეთი კომპანიები, როგორიც თქვენია?**

– ვფიქრობ, რომ ხელსაყრელია. საქართველოს სათამაშო-სასტუმრო ბიზნესს შეუძლია ბევრი რამ საყურადღებო შეიძინოს ჩვენი კომპანიის მრავალწლიანი გამოცდილებიდან. გარდა ამისა, ჩვენ სამუშაოს მიმცემნი ვართ, მაღალი ანაზღაურებისა და მაღალი კვალიფიკაციის სამუშაოთი უზრუნველვყოფთ „შერატონ მეტეხი პალას ოტელის“ სამას თანამშრომელს. მუდმივ შეკვეთებს ვაძლევთ აგროსექტორს, აგრეთვე, სასტამბო და სამშენებლო სამუშაოებზე ვიყენებთ ადგილობრივ ტრანსპორტს. ვმონაწილეობთ საერთაშორისო გამოფენებში, სადაც წარმოვადგენთ არა მარტო საკუთარ ტურისტულ პროდუქციას, არამედ, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს, მის ისტორიასა და კულტურას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კურსს, ტრადიციებსა და ხალხს. ყოველივე ეს ხელს უწყობს უცხოელი ტურისტების მოზიდვას. ამასთან, ვართ გადასახადის სანიმუშო გადამხდელნი.

**– ცნობილია, რომ კომპანია „შერატონი“ აქტიურ სპონსორულ საქმიანობასაც ეწევა..**

– ბოლო ორ წელიწადში დავაფინანსეთ მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთაგან განსაკუთრებით მინდა გამოვყო ხელოვნების ფესტივალი „გიფთი“, საბალეტო წარმოდგენა „პარიზის გრანდ ოპერის ვარსკვლავები“, ვიყავით საოპერო ფესტივალის „ბრავოს“, გიტარის საერთაშორისო ფესტივალის, ჩოგბურთში ქალთა თბილისის ტურნირის გენერალური სპონსორი და ა. შ. სამომავლოდაც ბევრის გაკეთებას ვაპირებთ. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს სასტუმრო ბიზნესში უდიდესი პერსპექტივები აქვს.

მაია ერისთავი,
საქინფორმის კორ.

რეკლამა

# გვითხრა ეკრანიდან ლამაზმა თეკლამა

გაფიცებთ დობას, გაფიცებთ ძმობას –
დაემორჩილეთ წყურვილის გრძნობას!...

* * *

ერთ სიბრძნეს გაგიმხელთ, აქამდე ვმალავდი:
სიცოცხლე მოკლეა, გემოა მარადი!...

* * *

„გალინა ბლანკა“, „გალინა ბლანკა“,
„კუჭ-კუჭ, კუჭ-კუჭ“ და – შიგ კუჭში გამკრა;
ნერწყვმორეულმა არ ვიცი, რა ვქნა,
ნეტავ მაჭამა და მერე მამკლა!

* * *

ბულიონი „მაგი“ საუცხოო „მაგი“
მოუსმენ და მჯერა, რაც იქნება მაგი.
მოუბდება პური, მაგრამ არა მჭადი.
მადა თუ გაქვს მოდი, თუ არა და – წადი..

* * *

შეიძინე „უინსტონი“ „ქემელი“ და „მარლბორო“,
ოღონდ ლიფტში, ავტობუსში როდი უნდა აბოლო!
შეიძინეთ „ვაისროი“, ანუ მოკლედ „ვაისი“,
მაგრამ ფიქრი მაინც გქონდეთ ვუისი და ვაისი...

* * *

წყალი-იგავი იგემეთ „გევა“,
სხეულში იგი სიცოცხლედ შევა.
გაითავისეთ „გევა“ სავსებით,
გვჯერა-ყოველთვის დაგევასებით..

* * *

გვითხრა ეკრანიდან ლამაზმა თეკლამა:
– სად იყო ამდენი უნიჭო რეკლამა!...

თამაზ ეგანიძე.

ღიმილის დოზა



ეს შენი აქცია მევწვა, თუ მოვხარშო?

სიახლე

# კომპიუტერული სისტემა მგზავრობას გაგვიადვილებს

სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად თბილისის აეროპორტში განახორციელა სასაზღვრო-საკონტროლო ძველი კომპიუტერული სისტემის ახლით შეცვლა. ძველი სისტემა ერთი მგზავრის შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში (გვარი, სახელი, პასპორტის ნომერი, ვიზა, რეისი და ა. შ.) მიღებასა და ჩაწერას ანდომებდა 30 წამს, ახალი სისტემა ამას ერთ წამში აკეთებს. ამ გარემოებამ საგრძნობლად გაზარდა მგზავრთა ნაკადის გატარების ინტენსივობა.

მოცემული სამუშაოების შესრულებაზე მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ დახარჯა დაახლოებით 130 000 დოლარი.

სარედაქციო საბჭო:
თემურ ბასილია (საბჭოს თავმჯდომარე), ელგუჯა ლებანიძე, თამაზ მაღლაკელიძე, რუსლან რუსია, ზურაბ ტყემალაძე, ნოდარ ჟითანავა, ოთარ ხუციშვილი (რედაქტორი), ვახტანგ გელაშვილი (ტექნიკური რედაქტორი).

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 1999-2000 სასწავლო წლისათვის მიღებას განახორციელებს შემდეგი ფაკულტეტების საბიუჯეტო და ფასიან სექტორებზე:

## ა. საბიუჯეტო სექტორზე

### დღის სწავლება

#### სამშენებლო ფაკულტეტი

(მ. კოსტავას ქ. №68, I კორპუსი, V სართული, ოთახი 522)

„სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა" – (ქართული, რუსული და ფრანგული სექტორები); „საქალაქო მშენებლობა და მეურნეობა"; „სამშენებლო კონსტრუქციებისა და ნაკეთობების წარმოება"; „მშენებლობის კომპიუტერული პროექტირების სისტემები"; „მშენებლობის კონსტრუქციების დაზიანების ტექნიკური დიაგნოსტიკა და ექსპერტიზა" – (ქართული სექტორები). მისალებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: მათემატიკა (წერა) ფიზიკა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

„მშენებლობის მენეჯმენტი" (ქართული სექტორი): მათემატიკა (წერა); უცხო ენა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

#### ენერგეტიკის ფაკულტეტი

(მ. კოსტავას ქ. №77, VIII კორპუსი, IV სართული, ოთახი 409)

„ელექტრული სადგურები"; „ელექტროენერგეტიკული სისტემები და ქსელები"; „სამრეწველო დანადგართა ელექტროამძრავი და ავტომატიზაცია"; „თბოელექტროსადგურები"; „სამრეწველო თბოენერგეტიკა"; „თბოფიზიკა"; „ელექტრული მანქანები"; „ელექტრული აპარატები" – (ქართული სექტორები); „სამრეწველო საწარმოთა და ქალაქების ელექტრომომარაგება"; „სამრეწველო ელექტრონიკა" – (ქართული და რუსული სექტორები): მათემატიკა (წერა); ფიზიკა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

„სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსთა დარგების მენეჯმენტი" (ქართული სექტორი): მათემატიკა (წერა); უცხო ენა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

#### სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი:

(მ. კოსტავას ქ №77, III კორპუსი, I სართული, ოთახი 122)

„გეოლოგიური აგეგმვა, ძებნა და ძიება"; „ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია"; „ნავთობისა და გაზის გეოლოგია"; „სასარგებლო წიაღისეულ საბადოთა ძებნა-ძიებითი სამუშაოების ტექნიკა და ტექნოლოგია"; „სამარკშეიდერო საქმე"; „სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავება"; „სასარგებლო წიაღისეულთა გამდიდრება"; „სამთო საწარმოთა და მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობა"; „საქალაქო მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობა"; „ღია სამთო სამუშაოები"; „ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავება, ნავთოგაზსადენების და ნავთობგაზსაცავების ექსპლოატაცია"; „სამთო მანქანები და მოწყობილობები"; „სამთოელექტრომექანიკა"; „სამთო მრეწველობის კომპლექსური ავტომატიზაცია"; „გამოყენებითი გეოდეზია" – (ქართული სექტორები): მათემატიკა (ზეპირი); ფიზიკა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა):

„სამთო საქმისა და გეოლოგიის მენეჯმენტი (ქართული სექტორი): მათემატიკა (ზეპირი); უცხო ენა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

#### ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი:

(მ. კოსტავას ქ. №68, II კორპუსი, II სართული, ოთახი 202)

„არაორგანულ ნივთიერებათა და საყოფაცხოვრებო პროდუქტების ქიმიური ტექნოლოგია"; „ელექტროქიმიური ინჟინერინგი"; „ელექტრონული ტექნიკის მასალებისა და ნაკეთობების ქიმიური ტექნოლოგია"; „გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება"; „ორგანულ ნივთიერებათა და ნავთობპროდუქტების ქიმიური ტექნოლოგია"; „ბიოსამედიცინო პოლიმერების ქიმია და ტექნოლოგია"; „ცხიმებისა და გამრეცხი საშუალებების ტექნოლოგია"; „სილიკატური და ძნელდნობადი არამეტალური მასალების ქიმიური ტექნოლოგია"; „ქიმიური და კვების წარმოების პროდუქტების ექსპერტიზა" – (ქართული სექტორები): ქიმია (ზეპირი); მათემატიკა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

„ფარმაცია" – (ქართული სექტორი): ქიმია (ზეპირი); ბიოლოგია (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

„ბიოტექნოლოგია"; „პურის, მაკარონის და საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლოგია"; „სამადუღრე წარმოების ტექნოლოგია" – (ქართული სექტორები): ქიმია (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა); მათემატიკა (ზეპირი) ან ბიოლოგია (ზეპირი) აბიტურიენტის არჩევით.

„ქიმიური და კვების მრეწველობის მენეჯმენტი" – (ქართული სექტორი): ქიმია (ზეპირი); უცხო ენა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

#### მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი:

(მ. კოსტავას ქ. №68, I კორპუსი, V სართული, ოთახი 202)

„მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია (სპეციალიზაციები: ბუნებრივი ქვების (სამშენებლო, მოსაპირკეთებელი და საიუველირო) დამუშავების ტექნოლოგია; სამედიცინო და პრეციზიული მიკროიარაღების კონსტრუირება და წარმოება; მანქანათსაშენი წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაცია და კომპიუტერული დაპროექტება; მანქანათა აღდგენა-შეკეთების ტექნოლოგია და მენეჯმენტი)" – (ქართული და რუსული სექტორები); „ტექნოლოგიური მანქანები, ტექნიკური და ეკონომიკური ექსპერტიზა მანქანათმშენებლობაში"; „მანქანათმშენებლობის ავტომატიზაცია"; „ხის დამუშავების ტექნოლოგია და სატყეო-საინჟინრო საქმე"; „კვების პროდუქტების გადამუშავების, შენახვის და ტრანსპორტირების სამაცივრო ტექნიკა და ტექნოლოგია"; „კვების მრეწველობის საწარმოთა მოწყობილობები და ტექნოლოგიური პროცესების ავტომატური მართვა"; „მანქანათმშენებლობის ინჟინერ-პედაგოგი"; პოლიგრაფიული მრეწველობის სპეციალობები („ბეჭდვითი ნაწარმის ტექნოლოგია და კომპიუტერული საგამომცემლო სისტემები"; „ბეჭდვითი ნაწარმის ტექნოლოგია და კომპიუტერული გრაფიკული სისტემები") – (ქართული სექტორები): მათემატიკა (წერა); ფიზიკა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

„მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი" – (ქართული სექტორი): მათემეტიკა (წერა); უცხო ენა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

– მსუბუქი მრეწველობის სპეციალობები („ტყავის ნაწარმთა მოდელირება, ტექნოლოგია და მენეჯმენტი"; „სამკერვალო ნაწარმის მოდელირება და ტექნოლოგია"; „საფეიქრო ნაწარმთა ტექნოლოგია და მენეჯმენტი") – (ქართული სექტორები): მათემატიკა (წერა); ქიმია (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

#### არქიტექტურის ინსტიტუტი:

(მ. კოსტავას ქ№ №68, I კორპუსი, IV სართული, ოთახი 402)

„არქიტექტურა (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო კომპლექსების და შენობების არქიტექტურა, არქიტექტურის თეორია და ისტორია, მცირე არქიტექტურული ფორმები, შენობათა აღდგენა და რეკონსტრუქცია, არქიტექტურული მენეჯმენტი)"; „ურბანისტიკა (ქალაქების, სოფლების და სხვა ტიპის დასახლებული პუნქტების დაპროექტება, რაიონული დაგეგმარება, ლანდშაფტური არქიტექტურა, ქალაქმშენებლობითი ეკოლოგია, საქალაქო ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი, ქალაქების რეკონსტრუქცია, არქიტექტურული დაგეგმარების კომპიუტერული სისტემები)"; „არქიტექტურული დიზაინი (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და სამრეწველო შენობების ინტერიერები, ავეჯი და ალჭურვილობა, საქალაქო დიზაინი და რეკლამა, ფასადების, ვიტრინების და ღამის განათების მოწყობა, სიძველეთა ექსპერტიზა და აღდგენა, არქიტექტურულდიზაინერული მენეჯმენტი, მარკეტინგი, ტექნიკური ესთეტიკა და მხატვრული კონსტრუირება)" – (ქართული და რუსული სექტორები); გასაუბრება მათემატიკაში; ხატვა; მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

#### ფიზიკა-ტექნიკის და ელექტრონიკის ფაკულტეტი:

(მ. კოსტავას ქ. №77, IV კორპუსი, II სართული, ოთახი 151)

„მყარი ტანის ფიზიკა"; „ელექტრონული ტექნიკის მასალების და კომპონენტების ფიზიკა და ტექნოლოგია"; „მიკროელექტრონიკა და ნახევარგამტარული ხელსაწყოები" – (ქართული სეტორები): ფიზიკა (ზეპირი); მათემატიკა (წერა); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

„ელექტრონული ტექნიკის მენეჯმენტი" – (ქართული სექტორი): ფიზიკა (ზეპირი); უცხო ენა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

„სასამართლო ტექნიკური ექპერტიზა" – (ქართული სექტორი): ფიზიკა (ზეპირი); ქიმია (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

#### ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი:

(მ. კოსტავას ქ. №77, VI კორპუსი, III სართული, ოთახი 322)

„ბიოტექნიკური და სამედიცინო აპარატურა და სისტემები"; „საინფორმაციო საზომი ტექნიკა" – (ქართული სექტორები); „მეტროლოგია, სტანდარტიზაცია და ხარისხის მართვა"; „მართვა და კომპიუტერული ავტომატიზაცია"; „ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის ავტომატიზებული სისტემები" – (ქართული და რუსული სექტორები); „კომპიუტერული სისტემები და ქსელები" – (ქართული, რუსული და ინგლისური სექტორები); მათემატიკა (წერა); ფიზიკა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

„ეკონომიკური ინფორმატიკა – (ქართული სექტორი): მათემატიკა (წერა); უცხო ენა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა);

„გამოყენებითი მათემატიკა – საფინანსო მათემატიკა"(ქართული სექტორი): მათემატიკა (ზეპირი); ფიზიკა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

#### სატრანსპორტო ფაკულტეტი:

(მ. კოსტავას ქ. №68, I კორპუსი, V სართული, ოთახი 547)

„ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა"; „ავტომობილების მოძრაობის ორგანიზაცია და უსაფრთხოება"; „ავტომომსახურების სერვისი"; „ავტომობილების ეკოლოგიური უსაფრთხოება (შიგაწვის ძრავები)"; „ამწესატრანსპორტო, სამშენებლო, საგზაო მანქანები და მოწყობილობანი"; „ვაგონები"; „საავტომობილო გზები და აეროდრომები"; „გადაზიდვების ორგანიზაცია და საავტომობილო ტრანსპორტის მართვა"; „გადაზიდვების ორგანიზაცია და რკინიგზის ტრანსპორტის მართვა" – (ქართული სექტორები): „რკინიგზების მშენებლობა, ლიანდაგი და სალიანდაგო მეურნეობა"; „ხიდები და სატრანსპორტო გვირაბები"; „ელექტრული ტრანსპორტი"; „რკინიგზის ტრანსპორტის ავტომატიკა, ტელემექანიკა და კავშირგაბმულობა" – (ქართული და რუსული სექტორები): მათემატიკა (წერა); ფიზიკა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

„ტრანსპორტის მენეჯმენტი" – (ქართული სექტორი): მათემატიკა (წერა); უცხო ენა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

#### საავიაციო ინსტიტუტი:

(ქ. წამებულის ქ. №16, ტელ: 95-69-11)

„თვითმფრინავმშენებლობა"; „საფრენი აპარატებისა და ძრავების ტექნიკური ექსპლოატაცია"; „გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა საჰაერო ტრანსპორტზე"; „საჰაერო ხომალდების რადიოელექტრონული მოწყობილობების ტექნიკური ექსპლოატაცია"; „კომპიუტერული ტექნიკა და საჰაერო ხომალდების ფრენის კონტროლისა და მართვის ავტომატიზებული სისტემები" – (ქართული სექტორები); „საჰაერო ხომალდების ელექტრულ ხელსაწყოთა და საპილოტაჟო-სანავიგაციო კომპლექსების ტექნიკური ექსპლოატაცია" – (რუსული სექტორი): მათემატიკა (ზეპირი); ფიზიკა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

„საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი" – (ქართული სექტორი): მათემატიკა (ზეპირი); უცხო ენა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

„საერთაშორისო სამართალი (საბაჟო სამართალი; საფინანსო სამართალი; სატრანსპორტო სამართალი)" – (ქართული სექტორი): საქართველოს ისტორია (ზეპირი); უცხო ენა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

საავიაციო ინსტიტუტში ფუნქციონირებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო საჰაერო ძალების სამხედრო საავიაციო ფაკულტეტი.

#### ჰიდროსაინჟინრო ფაკულტეტი:

(მ. კოსტავს ქ. №68, I კორპუსი, II სართული, ოთახი 202-ა)

„ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროენერგეტიკული მოწყობილობები"; „შენობათა მიკროკლიმატი და გაზმომარაგება"; „წყალმომარაგება, წყალარინება, წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა" – (ქართული სექტორები); „ჰიდროენერგეტიკული მშენებლობა (სამდინარო ჰიდროტექნიკური ნაგებობები, საზღვაო ნაგებობები და ნავსადგურები)" – (ქართული და ინგლისური სექტორები): მათემატიკა (წერა); ფიზიკა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

„ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის მენეჯმენტი": მათემატიკა (წერა); უცხო ენა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

#### ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი:

(მ. კოსტავას ქ. №77, VI კორპუსი, IX სართული, ოთახი 909)

„საერთაშორისო ეკონომიკა"; „ტურიზმის მენეჯმენტი"; „საბანკო საქმე"; „აუდიტი" – (ქართული სექტორები): ტესტირება; მათემატიკა (წერა); უცხო ენა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

„სახელმწიფო მართვა (Public Administrations) – (ქართული სექტორი) გასაუბრება ინგლისურ ენაში; ტესტირება; საქართველოს ისტორია (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

„სამართალმცოდნეობა"; „საზოგადოებრივი ურთიერთობები (Public Relations) "; „სიძველეთა ტექნიკური ექსპერტიზა"; „საერთაშორისო და რეგიონული კონფლიქტები" – (ქართული სექტორები); „მთარგმნელი-რეფერენტი" – (ქართული და რუსული სექტორები). ტესტირება; საქართველოს ისტორია (ზეპირი); უცხო ენა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

„ტელე-ვიდეო რეჟისურა"; „რეპორტიორი (ტელე და ფოტო)" – (ქართული სექტორები): ტესტირება, გამოცდა სპეციალობაში; უცხო ენა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

„ტექნიკური დარგის ჟურნალისტიკა" – (ქართული და რუსული სექტორები): ტესტირება; მშობლიური ენა და ლიტერატურა (ზეპირი და წერა); უცხო ენა (ზეპირი).

„საერთაშორისო გერმანულენოვანი – ეკონომიკური სამართალი"; გერმანული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი); ტესტირება.

#### მეტალურგიული ფაკულტეტი.

(მ. კოსტავას ქ. №69, X კორპუსი, IV სართული, ოთახი 405)

„შავი ლითონების მეტალურგია"; „ფერადი ლითონების მეტალურგია"; „ლითონმცოდნეობა, ლითონების თერმული დამუშავების ტექნოლოგია და მოწყობილობა"; „შავი და ფერადი ლითონების მხატვრული და საკონსტრუქციო სხმულის წარმოება"; „კომპოზიციური და ფხვნილოვანი მასალები, დანაფარები, პრეციზიული მეტალურგია"; „ლითონების წნევით დამუშავების მანქანები და ტექნოლოგია (მასალების მხატვრული დამუშავების ტექნოლოგია)" – (ქართული სექტორები): „სამემდუღებლო წარმოების მეტალურგია და პროცესები" – (ქართული და რუსული სექტორები): მათემატიკა (ზეპირი); ფიზიკა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

#### კავშირგაბმულობის ფაკულტეტი:

(მ. კოსტავას ქ. №77, VIII კორპუსი, V სართული, ოთახი 501)

„კავშირგაბმულობის ქსელები და კომუტაციის სისტემები"; „რადიოტექნიკა" – (ქართული და რუსული სექტორები); „საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ტელეკომუნიკაცია" – (ქართული და ინგლისური სექტორები); „რადიოკავშირგაბმულობა, რადიომაუწყებლობა და ტელეხედვა"; „რადიოელექტრონულ საშუალებათა კონსტრუირება და ტექნოლოგია" – (ქართული სექტორები): მათემატიკა (წერა); ფიზიკა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

ამავე საგნებში ჩააბარებენ მისალებ გამოცდებს დაუსწრებელი სწავლების ქვემოთჩამოთვლილ სპეციალობებზე შემსვლელები.

### დაუსწრებელი სწავლება:

#### სოხუმის ფაკულტეტი:

(თბილისი, მ. კოსტავას ქ. №77, IV კორპუსი, ოთახი 251)

საერთაშორისო ეკონომიკა; მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი; მშენებლობის მენეჯმენტი; ტრანსპორტის მენეჯმენტი; ავტომობილების მოძრაობის ორგანიზაცია და უსაფრთხოება; მართვა და კომპიუტერული ავტომატიზაცია; სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა; საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ტელეკომუნიკაცია – (ქართული და რუსული სექტორები).

#### ცხინვალის ფაკულტეტი:

(ქ. ცხინვალი, მოსკოვის ქ. №8, გორი, საბჭოს ქ. №37)

ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა; საავტომობილო გზები და აეროდრომები; სამადუღრე წარმოების ტექნოლოგია; პურის, მაკარონის და საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლოგია – (ქართული და რუსული სექტორები).

#### რუსთავის ფაკულტეტი:

(ქ. რუსთავი, რუსთაველის ქ. №16)

შავი ლითონების მეტალურგია; ლითონების წნევით დამუშავების მანქანები და ტექნოლოგია; საავტომობილო გზები და აეროდრომები; არაორგანულ ნივთიერებათა და საყოფაცხოვრებო პროდუქტების ქიმიური ტექნოლოგია; თბოელექტროსადგურები; ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა; კვების პროდუქტების გადამუშავების, შენახვის და ტრანსპორტირების სამაცივრო ტექნიკა და ტექნოლოგია; მართვა და კომპიუტერული ავტომატიზაცია – (ქართული და რუსული სექტორები).

#### ჭიათურის ფაკულტეტი:

(ქ. ჭიათურა, გივი თხელიძის ქ. №14)

სასარგებლო წიაღისეულთა გამდიდრება; რადიოკავშირგაბმულობა, რადიომაუწყებლობა და ტელეხედვა; ხის დამუშავების ტექნოლოგია და სატყეოსაინჟინრო საქმე; ავტომობილების მოძრაობის ორგანიზაცია და უსაფრთხოება; საქალაქო მშენებლობა და მეურნეობა; მშენებლობის მენეჯმენტი; პურის, მაკარონის და საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლოგია – (ქართული და რუსული სექტორები).

#### თბილისის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტი:

(მ. კოსტავას ქ. №68, I კორპუსი, IV სართული)

მშენებლობის მენეჯმენტი; მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი; ტრანსპორტის მენეჯმენტი; ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავება, ნავთობგაზსადენების და ნავთობგაზსაცავების ექსპლოატაცია; სამრეწველო საწარმოთა და ქალაქების ელექტრომომარაგება; მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია; ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა; ეკონომიკური ინფორმატიკა; ამწე-სატრანსპორტო, სამშენებლო, საგზაო მანქანები და მოწყობილობანი; ინფორმაციის დამუშავების და მართვის ავტომატიზებული სისტემები; კავშირგაბმულობის ქსელები და კომუტაციის სისტემები; საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ტელეკომუნიკაცია; გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა რკინიგზის ტრანსპორტზე; პურის, მაკარონის და საკონდიტრო ნაწარმთა ტექნოლოგია; სამადუღრე წარმოების ტექნოლოგია; სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა; ჰიდროენერგეტიკული მშენებლობა; საავტომობილო გზები და აეროდრომები – (ქართული და რუსული სექტორები).

#### სამცხე-ჯავახეთის ფაკულტეტი

(ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №91)

სამრეწველო საწარმოთა და ქალაქების ელექტრომომარაგება; სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა; ხის დამუშავების ტექნოლოგია და სატყეოსაინჟინრო საქმე; გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე – (ქართული და რუსული სექტორები).

#### შენიშვნა:

ა) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სამცხე-ჯავახეთის, თელავის, სენაკის და მარნეულში განთავსებული საერთაშორისო ნავთობგაზსადენების ექსპლოატაციის ფაკულტეტებზე მიღება გამოცხადდება ადგილობრივ პრესაში და გამოცდები ჩატარდება ადგილზე.

ბ) უცხო ენის გამოცდა ყველა სპეციალობებზე (გარდა ტურიზმის მენეჯმენტის სპეციალობისა) ბარდება – ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებში, ხოლო ჰუმანიტარულ ტექნიკური ფაკულტეტის ტურიზმის მენეჯმენტის სპეციალობაზე უცხო ენის გამოცდა ბარდება მხოლოდ ინგლისურ ენაში.

გ) სამშენებლო, ჰიდროსაინჟინრო, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების, კავშირგაბმულობის ფაკულტეტების ფრანგულ და ინგლისურ სექტორებზე შემსვლელები 21 ივლისს 10 საათზე გაივლიან გასაუბრებას შესაბამის უცხო ენაში.

დ) ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტზე შემსვლელთათვის ტესტირება აბიტურიენტის ზოგადი განათლების დადგენის მიზნით ჩატარდება 17 ივლისიდან. აბიტურიენტები, რომლებიც ტესტირების შედეგად ვერ დააგროვებენ სათანადო ქულებს, კარგავენ ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტზე შესვლის უფლებას და საშუალება მიეცემათ გადაიტანონ საბუთები სხვა ფაკულტეტებზე.

ე) არქიტექტურის სპეციალობაზე გასაუბრება მათემატიკაში ჩატარდება 21 ივლისს 10 საათზე.

## ბ) ფასიან სექტორზე:

ფასიან სწავლებაზე მიღება იწარმოებს ზემოთ ჩამოთვლილი ფაკულტეტების ყველა სპეციალობასა და სპეციალიზაციაზე (სპეციალიზების ჩამონათვალი გამოქვეყნებული იქნება ფაკულტეტებზე) ქართულ და რუსულ სექტორებზე. ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის „საზოგადოებრივი ურთიერთობების (Public Relations) ; „სახელმწიფო მართვის (Public Administrations); „ტელე-ვიდეო რეჟისურის"; „რეპორტიორის (ტელე და ფოტო)"; „სიძველეთა ტექნიკური ექსპერტიზის",; „საერთაშორისო და რეგიონული კონფლიქტების"; „ტურიზმის მენეჯმენტის"; „საბანკო საქმის" და „აუდიტის" სპეციალობებზე მიღება იწარმოებს მხოლოდ ქართულ სექტორებზე, ხოლო „მთარგმნელ-რეფერენტის"; „ტექნიკური დარგის ჟურნალისტიკის"; „სამართალმცოდნეობის" და „საერთაშორისო ეკონომიკის" სპეციალობებზე – ქართული და რუსული სექტორები.

ჩამოთვლილი სპეციალობების გარდა მიღება გათვალისწინებულია ფასიანი სექტორის შემდეგ სპეციალობებზე:

იხ. მე-10 გვ.

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## 1999-2000 სასწავლო წლისათვის მიღებას განახორციელებს შემდეგი ფაკულტეტების საბიუჯეტო და ფასიან სექტორებზე:

(მეცხრე გვერდიდან)

**სამშენებლო ფაკულტეტზე** – „სეისმომედეგი მშენებლობა“; **სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე** – „ნავთობის ჭაბურღილების ბურღვა“; „გამოყენებითი მინერალოგია, გეოქიმია და პეტროგრაფია“; „ნავთობგაზსაცავებისა და ნავთობგაზსადენების დაპროექტება და მშენებლობა“; „ეკოლოგია, წარმოებისა და ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხოება“; **ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის ფაკულტეტზე** – „ნავთობპროდუქტებისა და გაზის წარმოების ტექნოლოგია“; „პანო- და ფუნქციონალურ-გრადიენტული კომპოზიციური მასალების ქიმიური ტექნოლოგია“; **მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე** – „მსუბუქი მრეწველობის სპეციალობები (ხალხური მხატვრული რეწვა, რესტავრაცია, ოქრომჭედლობა და დიზაინი; ტყავისა და ბეწვეულის დამუშავება, ტექნოლოგია და მენეჯმენტი)“; „პოლიგრაფიული მრეწველობის სპეციალობა (ბეჭდვითი ნაწარმის ტექნოლოგია და მენეჯმენტი)“; **არქიტექტურის ინსტიტუტში** – „ლანდშაფტის არქიტექტურა“; „დიზაინი (არქიტექტორი-დიზაინერი, სამრეწველო ნაწარმის დიზაინერი; დიზაინერი-სტილისტი)“; **ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე** – „მართვა და კომპიუტერული ავტომატიზაცია (ადმინისტრაციული მართვა)“ – ქართული, რუსული და ინგლისური სექტორები; „ეკონომიკური ანალიზი“; **სატრანსპორტო ფაკულტეტზე** – „საბაჟო საქმე სახმელეთო ტრანსპორტზე“; „საწარმო სატრანსპორტო საშუალებების, მექანიკური ამძრავებისა და მოწყობილობების საინჟინრო პროექტირება“; **საავიაციო ინსტიტუტში** – „აეროპორტების მშენებლობა და ექსპლოატაცია“; „აეროპორტების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა ტექნიკური ექსპლოატაცია“; **მეტალურგიის ფაკულტეტზე** – „მეტალურგიის მენეჯმენტი“; „მასალათმცოდნეობის მენეჯმენტი“; **ჰიდროსაინჟინრო ფაკულტეტზე** – „დასახლებული ადგილებისა და სამრეწველო ობიექტების წყლით უზრუნველყოფის ექსპერტიზა და მართვა“. „შენობების სანტექნიკური მოწყობილობები და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება“.

**რუსთავის ფაკულტეტზე** (დღის სწავლების ფორმით) – კომპიუტერული სისტემები და ქსელები; ავტომობილების მოძრაობის ორგანიზაცია და უსაფრთხოება; მთარგმნელი-რეფერენტი (ინგლისური, გერმანული); საერთაშორისო ეკონომიკა; ბიოტექნიკური და სამედიცინო აპარატურა და სისტემები; ფარმაცია; საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ტელეკომუნიკაცია.

**სოხუმის ფაკულტეტზე** (დღის სწავლების ფორმით) – საერთაშორისო ეკონომიკა; მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი; მშენებლობის მენეჯმენტი; ტრანსპორტის მენეჯმენტი; სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსთა დარგების მენეჯმენტი; ავტომობილების მოძრაობის ორგანიზაცია და უსაფრთხოება; მართვა და კომპიუტერული ავტომატიზაცია; საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ტელეკომუნიკაცია; სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა; სამართალმცოდნეობა; საერთაშორისო სამართალი (საბაჟო სამართალი); მთარგმნელი-რეფერენტი; ფარმაცია; ტექნიკური დარგის ჟურნალისტიკა; პროდუქციის ხარისხის ექსპერტ-აუდიტორი მარკეტინგისა და საბაჟო სისტემებში; კვებისა და ფარმაცევტული მრეწველობის პროდუქციის ექსპერტიზა და სერტიფიკაცია; საერთაშორისო და რეგიონული კონფლიქტები.

**სამცხე-ჯავახეთის ფაკულტეტზე** (დაუსწრებელი სწავლების ფორმით) – საერთაშორისო ეკონომიკა; სამართალმცოდნეობა.

**ცხინვალის** ფაკულტეტზე (დღის სწავლების ფორმით) – ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა; საავტომობილო გზები და აეროდრომები; პურის, მაკარონის და საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლოგია; სამადუღრე წარმოების ტექნოლოგია; ტექნიკური დარგის ჟურნალისტიკა; მთარგმნელი-რეფერენტი; სამართალმცოდნეობა; მართვა და კომპიუტერული ავტომატიზაცია; ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის ავტომატიზებული სისტემები.

**ჭიათურის ფაკულტეტზე** (დაუსწრებელი სწავლების ფორმით) – საერთაშორისო სამართალი; ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავება, ნავთობგაზსადენების და ნავთობგაზსაცავების ექსპლოატაციის; გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე; ტექნიკური დარგის ჟურნალისტიკა.

**საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ფასიან სექტორზე შემსვლელები:**

სამშენებლო, ენერგეტიკის, სამთო-გეოლოგიურ, მექანიკა-მანქანათმშენებლობის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების, სატრანსპორტო, ჰიდროსაინჟინრო, მეტალურგიულ, კავშირგაბმულობის ფაკულტეტებზე და საავიაციო ინსტიტუტში ჩააბარებენ გამოცდას მათემატიკაში ტესტით.

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის ფაკულტეტზე შემსვლელები ჩააბარებენ გამოცდას ქიმიაში ტესტით.

არქიტექტურის ინსტიტუტში შემსვლელები ჩააბარებენ გამოცდას ხატვაში.

ფიზიკა-ტექნიკის და ელექტრონიკის ფაკულტეტზე შემსვლელები ჩააბარებენ გამოცდას ფიზიკაში ტესტით.

ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტზე ჩააბარებენ ერთ გამოცდას ტესტით.

### მიღების წესები

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი.

უმაღლეს სასწავლებელში შესელისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებით.

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელებს შეაქვთ შემდეგი საბუთები:

– განცხადება (დადგენილი ფორმის ბლანკი გაიცემა შესაბამის ფაკულტეტზე);

– საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი;

– სამედიცინო ცნობა ფორმა №086 (გაიცემა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიკლინიკის მიერ, შეღავათიან ფასებში);

– 6 ფოტოსურათი, ზომით 3X4.

– პასპორტს და სამხედრო დოკუმენტს აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.

### აბიტურიენტების განცხადებები მიიღება:

○ საერთაშორისო გერმანულენოვან-ეკონომიკური სამართლის სპეციალობაზე (როგორც საბიუჯეტო, ასევე ფასიან სექტორებზე) – 15 ივნისიდან 6 ივლისამდე. გამოცდები ჩატარდება 7 ივლისიდან;

○ ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტზე – 1 ივლისიდან 16 ივლისის ჩათვლით; ტესტირება ჩატარდება 17 ივლისიდან; მისაღები გამოცდები – 23 ივლისიდან;

○ ყველა დანარჩენ ფაკულტეტებზე (დღეზე და დაუსწრებელზე) – საბუთები მიიღება 1 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით, მისაღები გამოცდები ჩატარდება 23 ივლისიდან.

○ ფასიან სექტორზე განცხადებები მიიღება 1 ივლისიდან 5 აგვისტომდე. გამოცდები ჩატარდება – 6 აგვისტოდან.

უნივერსიტეტის საბიუჯეტო სექტორზე ჩარიცხვა მოხდება შემსვლელთა მიერ საკონკურსო გამოცდებზე დაგროვილ ქულათა რაოდენობის მიხედვით. ფასიან სექტორზე ჩაირიცხებიან ის აბიტურიენტები, რომლებიც მისაღებ გამოცდებზე დადებით შეფასებას დაიმსახურებენ. აქ მისაღები გამოცდების მიზანია უმაღლეს სკოლაში შემსვლელთა სწავლის უნარის დადგენა.

ფასიანი სექტორის ყველა სპეციალობებზე მისაღები ადგილების ნახევარი, პირადი განცხადებისა და ხელშეკრულების საფუძველზე, დაკავებული იქნება იმ აბიტურიენტების მიერ, რომლებიც საბიუჯეტო სექტორზე მისაღები გამოცდების შედეგების მიხედვით ვერ გაელენ კონკურსში.

ფასიანი სწავლების სექტორზე სტუდენტად ჩარიცხვის ბრძანება დაიწერება სათანადო ხელშეკრულების გაფორმებისა და სწავლების პირველი წლის საფასურის გადახდის შემდეგ: დღის სწავლებაზე არა უგვიანეს 28 აგვისტოსი, დაუსწრებელზე კი 15 სექტემბრამდე.

გამოცდაზე აბიტურიენტის პასუხის (ნაშრომის) შეფასება იწარმოებს ათბალიანი სისტემით. 5 (ხუთი) და ნაკლები შეფასება ითვლება არადამაკმაყოფილებლად და აბიტურიენტი იხსნება გამოცდებიდან. დადებითი შეფასებაა 6 და 6-ზე მეტი ნიშანი.

○ კონკურსი ჩატარდება სპეციალობების მიხედვით. არქიტექტურის სპეციალობაზე, ქართულ და რუსულ სექტორებზე შემსვლელთათვის, საკონკურსო ადგილები არ განცალკევდება და კონკურსი საერთო იქნება.

○ ქართულ და უცხოენოვან სექტორებზე შემსვლელები მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში აბარებენ ქართულს, ხოლო რუსულ სექტორებზე შემსვლელები – რუსულს. სხვა საგამოცდო საგნები აბიტურიენტმა შეიძლება ჩააბაროს მისთვის სასურველ ენაზე.

○ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მაპროფილებელ საგანში გასაუბრების საფუძველზე, მხოლოდ საინჟინრო სპეციალობებზე, ჩაირიცხებიან საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი, სოროსისა და რესპუბლიკური მოსწავლეთა მათემატიკური ოლიმპიადების ფინალური ტურის გამარჯვებული, მოსწავლეთა რესპუბლიკური შემოქმედებითი კონფერენციის პირველი და მეორე ხარისხის დიპლომებით დაჯილდოებული მე-11 კლასის მოსწავლეები, რომელთაც საბუთები შესაბამის სპეციალობებზე უნდა შეიტანონ 20 ივლისამდე. გასაუბრება ჩატარდება 22 ივლისს 10 საათზე.

○ კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზოუკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა მეუღლეები და შვილები (საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 27 დეკემბრის №5064-რს დადგენილება).

მისაღები გამოცდების მომზადებისა და ჩატარებისათვის გაწეული ხარჯების ნაწილობრივ ანაზღაურებისათვის შემსვლელებმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბუღალტერიაში უნდა გადაიხადონ 15 (თხუთმეტი) ლარი. ეს თანხა მათ გამოცდებზე გამოუცხადებლობის ან ჩაჭრის შემთხვევაში უკან არ დაუბრუნდებათ. განრიგის მიხედვით დანიშნულ დროს გამოცდაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში აბიტურიენტი შემდეგ გამოცდაზე არ დაიშვება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბიუჯეტო და ფასიანი სექტორების სტუდენტებს გადაუვადდებათ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა უნივერსიტეტის დამთავრებამდე, ხოლო დღის სწავლების იმ სტუდენტებს, რომლებიც მათი სურვილისამებრ გაივლიან სწავლებას სამხედრო მომზადების კათედრაზე, უნივერსიტეტის დამთავრებისას მიენიჭებათ თადარიგის ოფიცრის წოდება.

**სწავლა იწყება 1 სექტემბერს.**
**დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას:**
**მ. კოსტავას ქ. № 77,**
**VI კორპუსი, IV სართული.**

**30 ივნისს, 14 საათზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში (მ. კოსტავას ქ. 77. ადმინისტრაციის კორპუსი) აბიტურიენტთათვის ჩატარდება ღია კარის დღე.**

**მიმღები კომისია.**

## სასამართლო

# „ეს სასამართლო შეცდომაა“

არა და არ დაადგა საშველი განსასჯელ თამაზ ელიზბარაშვილის სისხლის სამართლის საქმეზე ჩვენი მართლმსაჯულების ორგანოების მიერ საბოლოო სიტყვის თქმას.

ყველასათვის ცნობილი მიზეზების გამო გაჭიანურებულ წინასწარ გამოძიებას აღნიშნული საქმის საქართველოს უზენაეს სასამართლოში არსებითად განსახილველად გადაგზავნა კი მოჰყვა (ა.წ. 16 მარტს), მაგრამ ახლა ის გახდა სადავო, თუ ვინ უნდა განიხილოს და დაასრულოს ეს საქმე – საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, თუ თბილისის ახლადშექმნილმა საოლქო სასამართლომ. არადა, სადავო აქ ნამდვილად არაფერი არ უნდა ყოფილიყო, რადგან კანონმდებელმა ნათლად, არაორაზროვნად მოაწესრიგა ეს საკითხი. კერძოდ:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 1999 წლის 28 მაისს ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შემდეგ 86-ე ორი პრიმა მუხლის მე-6 პუნქტში ჩაიწერა: „საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში მიღებული ის საქმეები, რომლებიც საქართველოს ახალი საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით ექვემდებარება თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების განსჯადობას და რომელთა სასამართლო განხილვა დაიწყო, მაგრამ არ დამთავრებულა 1999 წლის 15 მაისამდე, განიხილოს და დაამთავროს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ“.

განსასჯელ ელიზბარაშვილის საქმე, ზემოთქმულიდან გამომდინარე, თბილისის საოლქო სასამართლოს განსჯადი იქნებოდა, 15 მაისამდე რომ არ მოსწრებულიყო უზენაეს სასამართლოში:

ა) ბრალდებულ ელიზბარაშვილის საქმის წარმოებაში მიღება და განსასჯელად მისი ცნობა; ბ) 12 მაისს რომ არ გამართულიყო აღნიშნულ საქმეზე სასამართლოს პირველი სხდომა, რომლის გახსნის მომენტიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 433-ე მუხლის თანახმად, ითვლება კიდეც საქმის განხილვის დაწყების ვადად.

ამრიგად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის ნახსენები მუხლის მოთხოვნები რომ დაეცვათ, საქართველოს უზენაეს სასამართლოს თავადვე უნდა განეგრძო განსასჯელ ელიზბარაშვილის საქმის განხილვა და დაესრულებინა კიდეც. მაგრამ 8 ივნისს ეს საქმე თბილისის საოლქო სასამართლოსთვის გადაუგზავნიათ „განსჯადობის“ შესაბამისად. მოტივი – ამ საქმის განხილვა ჩვენ ჯერ არ დაგვიწყიაო.

ფირმა „ომეგას“ ინტერესების დამცველი ადვოკატი თემურ გვიშიანი უზენაეს სასამართლოს ამგვარ გადაწყვეტილებას სასამართლო შეცდომად თვლის და აცხადებს, რომ მათ რატომღაც „აეიწყდებათ“ 12 მაისს გახსნილი სასამართლო სხდომის იურიდიული მნიშვნელობა. სასამართლო განხილვის შემადგენელი პროცესუალური მოქმედებების ჩატარება სასამართლოს სწორედ ამ მომენტიდან შეუძლია და, შესაბამისად, საქმის განხილვაც უკვე დაწყებულია. თბილისის საოლქო სასამართლოს საწინააღმდეგო მე არაფერი მაქვს, – დასძინა ადვოკატმა, – მაგრამ ეს საქმე უზენაესი სასამართლოს დასამთავრებელია და მანვე უნდა განაგრძოს კიდეც მისი განხილვა, რადგან ამ საქმის განხილვის აცილებით ისეთი ვითარება იქმნება, რომ უფრო მეტად გაჭიანურდეს მისი სასამართლო წესით განხილვა.

– ამიტომაც მე, – განაგრძო ადვოკატმა, – საჩივრით მივმართავ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საზედამხედველო პალატის თავმჯდომარეს ჯიმი ყიფიანს აღნიშნული სასამართლო შეცდომის დროულად გამოსწორების მიზნით. თუ ამ საკითხის მომწესრიგებელი კანონთა მუხლებს წაიკითხავენ და სწორად გაიგებენ, (რაშიც ეჭვი არ მეპარება), გამოსწორებას წინ არაფერი დაუდგება. ბატონი ჯიმი უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესიონალია და, ვიმედოვნებ, ისე გადაწყვეტს საკითხს, როგორც კანონი გვიკარნახებს.

**თამაზ ძველაძე.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლობა შპს „პრესა-98“-მა ხელმისაწვდომ ფასებში ცალკე ბროშურად დასტამბა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული კანონები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ბროშურის შეძენა შეუძლიათ: თბილისში — წიგნის მაღაზიებსა და სს „მაცნეს“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე, უშუალოდ გამომცემელთან (თბილისი, მ. კოსტავას 14. ტელ: 93-26-33), დედაქალაქის ფარგლებს გარეთ კი — შპს „საქპრესის“ საგაზეთო ჯიხურებში.

## განცხადება

მიმდინარე წლის 30 ივნისს დღის 12 საათზე გაიმართება სს „ზუგდიდის ქაღალდი“-ს აქციონერთა კრება.

დღის წესრიგი:

1. 1998 სამეურნეო წლის შედეგების შესახებ დირექტორატის ანგარიში;
2. პრივატიზაციის შედეგების განხილვა და საზოგადოების დამფუძნებლების უფლებამოსილების მოხსნის შესახებ;
3. აქციონერ ა. თოდუას განცხადებაზე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ;
4. სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხები.

მისამართი: ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №1

სს „ზუგდიდის ქაღალდი“-ს დირექტორატი.

## ხსოვნა

### რამაზ ნიკოლაძე



გარდაიცვალა რამაზ ნიკოლაძე, საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი.

რამაზ ნიკოლაძე დაიბადა 1957 წელს, თერჯოლის რაიონის სოფელ ნახშირღელეში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, 1981 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს ავტობაზაში მორიგე მექანიკოსად. მოკრძალებულმა ახალგაზრდამ იმთავითვე გამოიჩინა თავი შრომისმოყვარეობით, საქმისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით და იგი მალევე დააწინაურეს ავტობაზის კოლონის უფროსად, სადაც ნათლად გამოვლინდა მისი ორგანიზატორული ნიჭი, მაღალმოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, კოლექტივთან ურთიერთობის უნარი... ყოველივე ამის შედეგი იყო ის, რომ სრულიად ახალგაზრდა კაცი ტრანსპორტის სამმართველოს უფროსად დანიშნეს. ამ თანამდებობაზე მუშაობდა თითქმის 10 წელი. მისთვის არ არსებობდა გადაუწყვეტელი სამსახურებრივი პრობლემა. განსაკუთრებული გულისხმიერებით ეპყრობოდა თანამშრომლებს და მათ მორისაც ასეთივე სიყვარულით სარგებლობდა.

სულ რაღაც 42 წელი იცოცხლა, მაგრამ უებრო პიროვნული ღირსებებით წარუშლელი კვალი დატოვა ყველაზე, ვისაც ერთხელ მაინც შეხვდა; სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურში ყოველთვის განსაკუთრებით აღნიშნავდნენ მასზე, როგორც ნიჭიერ ხელმძღვანელზე, კარგ მეგობარზე, გულისხმიერ ადამიანზე; ვაი, რომ ყველა ეს გრძნობა დღეს ერთ დიდ ტკივილად იქცა და მას რამაზ ნიკოლაძის ხსოვნა დაერქვა. ვინ შესძლებს ანუგეშოს მისი ოჯახი, დედა, მეუღლე, ერთადერთი შვილი... ყველა, ვისაც ასე უყვარდა და ასე ატკინა გული?

რამაზ ნიკოლაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

**საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური.**

### გენო ჩხაიძე



გარდაიცვალა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიის მემცენარეობის დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების სწავლული მდივანი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი გენო ივანეს ძე ჩხაიძე.

გენო ჩხაიძე დაიბადა 1930 წელს ოზურგეთის რაიონის სოფ. შრომაში.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობას იწყებს სრულიად საკავშირო ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ მუშაკად, ხოლო 1957-1960 წლებში ამავე ინსტიტუტში ასპირანტია. 1961 წელს გ. ჩხაიძემ დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. 1962-1973 წლებში ამავე ინსტიტუტში იგი ნაყოფიერად მუშაობდა, როგორც უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მეჩაიეობის აგროტექნიკის სფეროში. 1973 წელს ბატონ გენო ჩხაიძეს, როგორც კონკურსში გამარჯვებულს, ირჩევენ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მეჩაიეობის კათედრის გამგედ, სადაც მან დაჰყო 1993 წლის ოქტომბრამდე.

1973 წელს მას მიენიჭა უფროსი მეცნიერი მუშაკის, 1977 წელს დოცენტის წოდება; 1983 წლის ნოემბერში უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მას მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიანიჭა, ხოლო 1984 წელს – პროფესორის წოდება.

1993 წელს გენო ჩხაიძე მუშაობას იწყებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც იგი 1992 წელს აირჩიეს აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1995 წლის 7 სექტემბერს მას ერთხმად ირჩევენ ამავე აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

ბატონი გენო ჩხაიძე იყო მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მეჩაიეობისა და სუბტროპიკული კულტურების წარმოების დარგში, ამასთან, მას გააჩნდა ამ დარგებში ღრმა თეორიული ცოდნა, რომელსაც შემოქმედებითად იყენებდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების ინტერესებისათვის. მან დიდი ღვაწლი დასდო მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდის საქმეს. მისი ხელმძღვანელობით 19 ასპირანტმა და მაძიებელმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, მათ შორის ხუთმა ვიეტნამის რესპუბლიკიდან. ერთმა კი მისი კონსულტაციებით სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. ბატონ გენო ჩხაიძეს გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, 4 სახელმძღვანელო (რუსულ და ქართულ ენებზე), რომელთა შორის ერთს (პროფესორ ა. მიქელაძესთან ერთად) 1992 წელს მიენიჭა აკადემიკოს ქ. ბახტაძის სახელობის პრემია.

გენო ჩხაიძის, როგორც უმწიკვლო მეცნიერისა და მოქალაქის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტებისა და ყველა მათ ხსოვნაში, ვინც მას ახლოს იცნობდა.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია,**
**საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი,**
**ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.**



მამა შალვა, და მაია ზაუტაშვილი, მეუღლე ბადრი გვალია, შვილები გიორგი, გვანცა, სალომე, დედამთილი ნელი, მამამთილი ჯონდო გვალიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მაგდა შალვას ასული ზაუტაშვილი.

პანაშვიდები 14,15,16 VI, 5 სთ. გამოსვენება 17 VI, 2 სთ. გამრეკელის ქ. №6ა.

ჯონდო, ამირან, ტარიელ, ბექან, სულხან გვალიები ულრმეს სამძიმარს გამოთქვამენ

მაგდა ზაუტაშვილის გარდაცვალების გამო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული, სტომატოლოგიური და პროფ. მედიცინის ფაკულტეტთა ნერვულ სნეულებათა კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სამკურნალო ფაკულტეტის ნერვულ სნეულებათა კათედრის პროფესორი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის და ნიუ-იორკის აკადემიის წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ავთანდილ ნიკოლოზის ძე ლაჭყეპიანი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი – შპს „პრესა-98“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ანზორ ბასილაია.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.